


178
1961/2

ბიბლიოთეკის
სიმბოლო

საბჭოთა სამართალი





საბჭოთა სამართალი

№ 6

ნოემბერი—დეკემბერი

1961 წელი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, პროკურატურისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისიის ორგანო
ო რ თ ვ ი უ რ ი ქ უ რ ნ ა ლ ი

შ ი ნ ა ა რ ს ი

8578

მთწინავე—უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტი საბჭოთა კანონმდებლობის განვითარებაში	3
ვ. აბაშმაძე—სკკპ XXII ყრილობა და სოციალისტური სახელმწიფოს საკითხები	13
თ. ლილაუშვილი—იურიდიული ინტერესი და მისი მნიშვნელობა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში	22

წერილები ახალ კოლმეხვზე

ა. ფალიაშვილი—სასამართლო ექსპერტიზის საკითხები საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით	29
გ. ლეჟავა—სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში დამცველის მონაწილეობის ეხთი საკითხის გამო	36
თ. მგელაძე—ხელმოწერის კრიმინალისტური ექსპერტიზის შეფასების ერთი საკითხისათვის	39

საარბიტრაჟო პრაქტიკა


ლ. ჩორგოლაშვილი—ხილბოსტნეულის კონსერვების მიწოდების განსაკუთრებული პირობების მე-9 პუნქტის შეფასების საკითხისათვის	42
---	----

ნაკრვევი

ზ. მესხეგიხერი—მის გულში კვლავ გაზაფხულია	44
ხ. პრაგა—„სოპი“	51

ძარტული სამართლის ისტორიიდან

ვ. სიღამონიძე—XVIII საუკუნის განაჩენი	68
ოფიციალური მასალა	71
კრიტიკა და ბიბლიოგრაფია	81
ინფორმაცია	85
საპროკურორო ზედამხედველობის პრაქტიკა	93





СО Д Е Р Ж А Н И Е

Передовая—Важнейшая веха в развитии советского законодательства	3
В. Абашмадзе—XXII съезд КПСС и вопросы социалистического государства	13
Т. Лилуашвили—Юридический интерес и его значение в процессе советского гражданского права	22

СТАТЬИ О НОВЫХ КОДЕКСАХ

А. Палиашвили—Вопросы судебной экспертизы по новому уголовному процессуальному кодексу Грузинской ССР	29
Г. Лежава—По поводу одного вопроса участия защитника в уголовном судопроизводстве	36
О. Мгеладзе—Вопрос оценки криминалистической экспертизы подписи	39

АРБИТРАЖНАЯ ПРАКТИКА

Л. Чорголашвили—К вопросу оценки 9-го пункта особых условий доставки фруктовых и овощных консервов	42
--	----

ОЧЕРКИ

З. Месенгисер—В её сердце опять весна	44
С. Прага—„Соп“	51

ИЗ ИСТОРИИ ГРУЗИНСКОГО ПРАВА

В. Сидамонидзе—Приговор XVIII века	63
Официальный материал	71
Критика и библиография	81
Информация	85
Практика прокурорского надзора	93

შუკ. № 212 ტირაჟი 5.100 შუ 03159	სარედაქციო კოლეგია მ. ლომიძე (რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი, პ. ბერძენიშვილი, მ. ვეფხვაძე, გ. ინწკირველი, ი. კაციტაძე (რედაქტორის მოადგილე), ე. ტაკიძე, თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.
--	--

რედაქციის მისამართი: თბილისი, ათარბევოვს ქ. № 32. ტელეფონი—3-09-62

გადაეცა წარმოებას 27/I-62 წ.; შედოწერილია დასაბეჭდად 2/III-62 წ. აბაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×1.8; პირობით ფორმათა რაოდენობა 8,2; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 6.

საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,
 თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Коммунисти“ издательства ЦК КП Грузии
 Тбилиси, ул. Ленина № 14

შენიშვნათა შესახებ ნიშანსაკვირ საბჭოთა კანონმდებლობის განვითარებაში

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობის მიერ მიღებული პარტიის პროგრამა — ჭეშმარიტად წარმოადგენს ჩვენი საუკუნის კომუნისტურ ძანიფესტს.

პარტიის ახალი პროგრამით დიდი ამოცანებია დასახული იურიდიული ფრონტის წინაშე. ესაა: სოციალისტური მართლმსაჯულების შემდგომი განმტკიცება, იმ სამართლებრივი ნორმების სრულყოფა, რომლებიც სამეურნეო-ორგანიზატორულ და კულტურულ-აღმზრდელობით საქმიანობას აწესრიგებენ, რომლებიც კომუნისტური მშენებლობისა და პიროვნების ყოველმხრივი აყვავების ამოცანის გადაწყვეტას ემსახურებიან.

1961 წლის 6—8 დეკემბერს მოსკოვში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესია, რომელმაც განიხილა და დაამტკიცა კანონი სსრ კავშირის 1962 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. ბიუჯეტი შემუშავებულია პარტიის XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების შესაბამისად და ფულადი სახსრებით სრულად უზრუნველყოფს საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობისა და კულტურის ამაღლებას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას.

სესიამ მიიღო კანონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1962 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, რომელშიც დასახულია გრანდიოზული ამოცანები შვიდწლედის მეოთხე წლისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მიიღო აგრეთვე ორი დიდმნიშვნელოვანი საკანონმდებლო აქტი — „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები“ და „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლები“.

ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ კანონების მიღების ისტორიული მნიშვნელობა. ისინი წარმოადგენენ იურიდიული ფრონტის წინაშე კომუნისტური პარტიის პროგრამით დასახული ამოცანების კონკრეტულ რეალიზაციას. მიღებული კანონები პირველი საერთო-საკავშირო კოდიფიცირებული აქტებია საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში. ოცინ წლებში შემუშავებული სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსები, მიუხედავად მათში შეტანილი ცვლილებებისა, სერიოზულად მოძველდნენ.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების პრეამბულაში განსაზღვრულია ის მიზნები, რაც დასახულია სამოქალაქო კანონმდებლობის წინაშე სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში.



საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა აქტიურად უწყობს ხელს მეურნეობის სოციალისტური სისტემის, სოციალისტური საკუთრების განმტკიცებას და მისი ფორმების განვითარებას ერთიან კომუნისტურ საკუთრებად, საგეგმო და სახელშეკრულებო დისციპლინის, სამეურნეო ანგარიშის განმტკიცებას, პროდუქციის ხარისხის განუზრვლად გაუმჯობესებას, კაპიტალურ მშენებლობის გეგმების შესრულებას, საბჭოთა ვაჭრობის განვითარებას, მოქალაქეთა მატერიალური და კულტურული ინტერესების დაცვას და ამ ინტერესების სწორ შეხამებას მთელი საზოგადოების ინტერესებთან, შემოქმედებითი ინიციატივის განვითარებას მეცნიერებისა და ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგში.

„საფუძვლები“ განსაზღვრავენ საბჭოთა სამოქალაქო სამართლის საგანს. ამით კი ბევრი სადაო თეორიული საკითხი წყდება სამართლის სისტემასთან დაკავშირებით.

საბჭოთა სამოქალაქო სამართალი აწესრიგებს ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც სასაქონლო ფულადი ფორმის გამოყენებითაა შეპირობებული. ქონებრივი ურთიერთობა წარმოიშვება როგორც სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის, ასევე ამ ორგანიზაციებსა და ცალკეულ მოქალაქეებს შორის. საკითხის ამგვარი გადაწყვეტა გულისხმობს იმას, რომ ცალკე არ იქნება გამოყოფილი ნორმები, რომლებიც სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის წარმოშობილ ქონებრივ ურთიერთობებს არეგულირებენ. ამგვარად, უარყოფილ იქნა „სამეურნეო სამართლის“ შექმნის კონცეპცია. რა თქმა უნდა, საბჭოთა სამოქალაქო სამართალი ვერ მოაწესრიგებდა უკლებლივ ყველა ქონებრივ ურთიერთობას, რომელიც ჩვენს საზოგადოებაში წარმოიშვება. ამიტომაც „საფუძვლების“ მეორე მუხლი განსაზღვრავს, რომ იმ ქონებრივ ურთიერთობას, რომელსაც საფუძვლად უდევს ერთი მხარის ადმინისტრაციული დაქვემდებარება მეორე მხარისადმი, აგრეთვე საგადასახადო და საბიუჯეტო ურთიერთობის მიმართ, სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობა არ გამოიყენება. ასევე შესაბამისი ნორმები არეგულირებენ იმ ქონებრივ ურთიერთობებს, რომელიც საოჯახო, შრომის, მიწის და საკოლმეურნეო კანონმდებლობიდან გამომდინარეობენ. ყველაფერი ეს მიუთითებს იმის შესახებ, რომ „ტრადიციული“ ცივილისტურ ურთიერთობათა ნაწილი ჩვენს საზოგადოებაში რეგულირდება იმ ნორმებით, რომლებიც სოციალისტური სამართლის ერთიანი სისტემის სრულყოფილებიანი დარგები გახდნენ.

„საფუძვლებში“ გამიჯნულია საერთო-საკავშირო და რესპუბლიკური კანონმდებლობის თანაფარდობა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსი როდი იქნება ისეთი აქტი, რომელიც ამოწურავს მთლიანად ამ დარგის კანონმდებლობას მოკავშირე რესპუბლიკაში. ასევე „საფუძვლებით“ არ ამოიწურება საერთო-საკავშირო კანონმდებლობა. სსრ კავშირის მასშტაბით „საფუძვლების“ შესაბამისად მოწესრიგებული იქნება ურთიერთობა სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის პროდუქციის მიწოდებისა და კაპიტალური მშენებლობის დარგში, ურთიერთობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვის დარგში, რკინიგზის, საზღვაო, საჰაერო, სამდინარო, მილსადენი ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და საკრედიტო დაწესებულებათა ურთიერთობებს კლიენტურასთან და ერთმანეთს შორის, ურთიერთობა სახელმწიფო დაზღვევის

დარგში, ურთიერთობა, რომელიც წარმოიშობა აღმოჩენებთან, გამოგონებებთან და რაციონალიზატორულ წინადადებებთან დაკავშირებით.

„საფუძვლები“ მთელ რიგ საკანონმდებლო სიახლეს ითვალისწინებენ. შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობის ისტორიაში პირველად „საფუძვლებშია“ მოცემული სამოქალაქო უფლებისა და მოვალეობათა წარმოშობის, სამოქალაქო უფლებათა დაცვის ფორმების კლასიფიკაცია.

საბჭოთა სამოქალაქო სამართალი, ქონებრივ ურთიერთობებს გარდა, რომელსაც წამყვანი და უპირატესი მნიშვნელობა აქვს, აწესრიგებს ზოგიერთ პირად, არაქონებრივ ურთიერთობას. ამ თვალსაზრისით სამოქალაქო კანონმდებლობისათვის სიახლეს წარმოადგენს „საფუძვლების“ მეშვეობით მუხლი. ამ მუხლით მოქალაქეს, ან ორგანიზაციას უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს გზით მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფით. თუ კი ასეთი ცნობების გამავრცელებელი ვერ დაამტკიცებს, რომ ისინი შეესაბამებიან სინამდვილეს. იმ შემთხვევაში, თუ მსგავსი ცნობები პრესაში გავრცელებული, სინამდვილისადმი მათი შეუსაბამობის შემთხვევაში ისინი უარყოფილ უნდა იქნენ ისევე პრესაში. სხვა შემთხვევაში გაბათილების წესს დაადგენს სასამართლო. ღირსების ამგვარ დაცვას, რა თქმა უნდა, არა აქვს ქონებრივი ხასიათი. კანონმდებლობა არ ცნობს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებას, ჯარიმა, რომელიც შეიძლება პატივისა და ღირსების შემლახველს დაედოს, არ წარმოადგენს ფულად საზღაურს. მით უმეტეს, რომ ჯარიმის გადახდა არ ათავისუფლებს დამრღვევს მოვალეობისაგან—შეასრულოს სასამართლოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული მოქმედება.

სოციალისტური საზოგადოების გამარჯვების ფაქტიდან გამომდინარე, განსაზღვრულია მოქალაქეთა უფლებათუნარიანობა.

სამოქალაქო სამართლის მეცნიერების მიღწევების შესაბამისად მოცემულია იურიდიული პირის განსაზღვრება. იურიდიულ პირებად აღიარებული არიან არა მარტო სრულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი სახელმწიფო საწარმოები, არამედ დაწესებულებანი და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან და აქვთ დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვა, რომელთა ხელმძღვანელები სარგებლობენ კრედიტების განკარგვის უფლებით.

სიახლეს წარმოადგენს საკოლმეურნეობათაშორის ორგანიზაციების იურიდიულ პირებად ცნობა. საკუთრების სოციალისტური ფორმების დაახლოების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია სახელმწიფო-საკოლმეურნეო და სხვა სახელმწიფო-კოოპერაციული ორგანიზაციების იურიდიულ პირებად აღიარება.

„საფუძვლების“ მე-19 მუხლში მოცემულია საკუთრების ზოგადი ცნების განმარტება. მესაკუთრის უფლებამოსილება კვლავაც „ტრიალით“ არის განსაზღვრული. მესაკუთრეს ეკუთვნის კანონით დადგენილ ფარგლებში ქონების მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგულების უფლება. სოციალისტური საკუთრების ფორმების დახასიათება გულისხმობს პროფკავშირების და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას. იგი მოიცავს ამ ორგანიზაციათა საწარმოების, შენობების, ნაგებობის, სანატორიუმების, დასასვენებელი სახლების, კულტურის სახლების, კლუბების, სტადიონების, პიონერთა ბანაკებისა და ა. შ. საკუთრებას.

სათანადო სისრულითაა მოწესრიგებული პირადი საკუთრების საკითხები.



იმ მიზნით, რათა პირად საკუთრების კერძო საკუთრებად გადაქცევის ტენდენციების წინააღმდეგ ქმედითი სამართლებრივი ღონისძიებები იქნეს მიღებული, „საფუძვლების“ პრეამბულაში მითითებულია, რომ პირადი საკუთრება გამომდინარეობს სოციალისტურ საკუთრებისაგან და ამდენად იგი სოციალისტური ბუნებისაა; პირადი საკუთრება განხილულია მოქალაქეთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ერთ-ერთ საშუალებად. კომუნიზმისაკენ წინსვლის კვალობაზე მოქალაქეთა პირადი მოთხოვნილებანი სულ უფრო მეტად დაკმაყოფილდება საზოგადოებრივი ფონდების ხარჯზე. მათი როლი ამჟამადც საგრძნობია, ყველაფერი ეს აუცილებლობით მოითხოვს პირადი საკუთრების ინსტიტუტის შესწავლას საბჭოთა სამართლის სხვა ინსტიტუტებთან ურღვევ კავშირში.

„საფუძვლები“ მიუთითებს პირად საკუთრების მოხმარების ხასიათზე და ადგენს, რომ ქონება, რომელიც მოქალაქის პირად საკუთრებაშია, „არ შეიძლება გამოყენებული იქნეს არა შრომითი შემოსავლის მისაღებად“.

დაზუსტებულია საცხოვრებელ სახლზე პირადი საკუთრება. მოქალაქეს შეუძლია პირად საკუთრებაში ჰქონდეს ერთი საცხოვრებელი სახლი. ერთად მცხოვრებ მეუღლეებს და მათ არასრულწლოვან შვილებს შეუძლიათ ჰქონდეთ ერთი საცხოვრებელი სახლი, რომელიც პირადი საკუთრების უფლებით შეიძლება ეკუთვნოდეს ერთ-ერთ მათგანს, ან იყოს მათ საერთო საკუთრებაში. მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობით უნდა განისაზღვროს პირად საკუთრებაში მყოფ საცხოვრებელი სახლის ფართობის ზღვრული ზომა. „საფუძვლები“ იძლევიან სახელმძღვანელო დებულებებს საკოლმეურნეო კომლის საკუთრების თაობაზე. მთელი რიგი სიახლეა შეტანილი საკუთრების დაცვის სამოქალაქო-სამართლებრივ მეთოდში. მაგალითად 28-ე მუხლის ძალით, თუ კი ქონება შექმნილია უსასყიდლოდ იმ პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი განსჯის უფლება, მესაკუთრე უფლებამოსილია მოითხოვოს ქონება ყველა შემთხვევაში.

არამართლზომიერად გასხვისებული სახელმწიფო ქონება, აგრეთვე კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს ყოველი შემძენისაგან.

მესაკუთრეს უფლება აქვს მოითხოვოს ყოველგვარი დარღვევის აღკვეთა, თუნდაც ეს დარღვევები არ იყოს დაკავშირებული მფლობელის ჩამორთმევასთან.

„საფუძვლები“ განსაზღვრავენ მფლობელის უფლების დაცვას, ხელშეკრულებით ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტს. ის უპატრონო ქონება, რომელიც საკოლმეურნეო კომლს ეკუთვნოდა, გადადის არა სახელმწიფო საკუთრებაში, როგორც ეს ადრე იყო, არამედ კოლმეურნეობის საკუთრებაში. მთელი რიგი ახალი დებულებებია გათვალისწინებული ვალდებულებითი სამართლით. სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის ვალდებულების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ფორმად გამოცხადებულია გარანტია. განსაზღვრულია სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის.

კანონით ან ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემთხვევები, როცა დასაშვებია გადახდევინება მხოლოდ პირსამტეხლოსი (ჯარიმა, საურავი) და არა ზარალისა, როცა ზარალი შეიძლება გადახდევინებულ იქნეს სრული თანხით პირსამტეხლოს ვარდა, როცა კრედიტორის არჩევნით შეიძლება გადახდევინებული იქნეს ან პირსამტეხლო (ჯარიმა, საურავი) ან ზარალი.

აღიარებულია ვალდებულების რეალური შესრულების პრინციპი. ყიდვის გაყიდვის ხელშეკრულების ერთერთ სახედ გამოცხადებულია საქონლის გაყიდვა კრედიტად.

მიწოდების ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი პირობები მოცემულია „საფუძვლებში“.

„საფუძვლები“ აწესრიგებენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან პროდუქციის სახელმწიფო შესყიდვას კონტრაქტაციის ხელშეკრულების გზით. საცხოვრებელ ბინაზე მოქალაქეთა უფლებების ყოველმხრივი დაცვის იდეითაა შემუშავებული საცხოვრებელი შენობის ქირავნობის ხელშეკრულება.

საბჭოთა საბინაო კანონმდებლობის ჰუმანიზმზე მიუთითებს „საფუძვლების“ 63-ე მუხლი, რომლითაც „მოქალაქეთა გამოსახლება ადმინისტრაციული წესით არ დაიშვება“. ამ წესიდან მხოლოდ ორი გამონაკლისია გათვალისწინებული: ერთი, როცა პირი თვითნებურად იკავებს საცხოვრებელ ფართობს, მეორე კი, — როცა პირი გამოსახლებულ უნდა იქნეს იმ სახლებიდან, რომელსაც ჩამონგრევა ემუქრება. ამ უკანასკნელ შემთხვევაში მას ეძლევა „სხვა კეთილმოწყობილი ბინა“.

„საფუძვლებში“ ნარდი სამუშაოს ხელშეკრულებები გათვალისწინებულია მთელი მისი მრავალგვარობით. ასევე დახასიათებულია გადაზიდვის ხელშეკრულებების ძირითადი დებულებები; საანგარიშსწორებლო და საკრედიტო ურთიერთობანი.

მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი შემნახველ საღაროებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკში მოქალაქეთა ანაბრებზე გადახდევინების მიქცევის წესებში. ადრე ამგვარი გადახდევინება შეიძლებოდა მხოლოდ და მხოლოდ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენის საფუძველზე. „საფუძვლებით“ შეიძლება მოქალაქეთა ანაბრებზე გადახდევინების მიქცევა ალიმენტების გადახდევინებისა, ანდა იმ ანაბრის გაყოფის შესახებ სარჩელების საფუძველზეც, რომლებიც მეუღლეების ერთობლივი ქონებაა.

დელიქტური ვალდებულებების თავში საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მეცნიერების განზოგადოებების გამოყენებით პასუხისმგებლობის მთელი რიგი საკითხები ახლებურადაა ახსნილი.

88-ე მუხლით ხაზგასმულია ორგანიზაციის ვალდებულება აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიყენებულია მისი მუშაკების მიზეზით შრომითი (სამსახურბრივი) მოვალეობის შესრულების დროს. საფუძვლების 89-ე მუხლით სახელმწიფო დაწესებულებანი პასუხს აგებენ საერთო საფუძველზე ზიანისათვის, რომელიც მოქალაქეებს მიაყენა მათი თანამდებობის პირების არასწორმა სამსახურბრივიმა მოქმედებამ ადმინისტრაციული მმართველობის დარგში, რამდენადაც სპეციალური კანონით გათვალისწინებული არ არის სხვა რამ.

პასუხისმგებლობის წანამძღვრად დელიქტურ ვალდებულებაში კვლავაც ბრალია გათვალისწინებული. 90-ე მუხლი უშვებს გამონაკლისს. ის ორგანიზაციები და მოქალაქენი, რომელთა საქმიანობა დაკავშირებულია მომეტებულ საფრთხესთან გარშემო მყოფთათვის, მოვალენი არიან აანაზღაურონ მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანი, თუკი ვერ დაამტკიცებენ, რომ ზიანი წარმოიშვა დაუძლეველი ძალის ან დაზარალებულის განზრახვის გამო.

„საფუძვლების“ 95-ე მუხლი ითვალისწინებს სრულიად ახალი სახის ვალ-



დებულებას, რომელიც ჩვენმა სინამდვილემ წარმოშვა: ესაა მოქალაქისათვის იმ ზარალის ანაზღაურება; რომელიც მან განიცადა სოციალისტური ქონების საფრთხისაგან გადარჩენის გამო.

საავტორო სამართლის მნიშვნელოვანი დებულებებია მოწესრიგებული „საფუძვლებით“.

ავტორის მემკვიდრეების უფლების ფარგლები დადგენილ უნდა იქნეს მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. კერძოდ, მათთვის საავტორო გასამრჯელოს მიცემის ფარგლები, მაგრამ იმ პირობით, რომ გასამრჯელო არ სჭარბობდეს იმის 50 პროცენტზე მეტს, რასაც თვით ავტორი მიიღებდა.

მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის საფუძველზე დასაშვებია საავტორო უფლების გამოსყიდვა სახელმწიფოს მიერ. „საფუძვლების“ ცალკე კარი აქვს მიძღვნილი აღმოჩენის ავტორობის უფლების მოწესრიგებას. მოქმედი კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის განზოგადებით მოცემულია ძირითადი დებულებები საგამომგონებლო სამართლიდან.

მეტად საინტერესო საკანონმდებლო ნოველებია მემკვიდრეობით სამართალში. სამკვიდროს დამტოვებლის შვილიშვილები და შვილთაშვილები კანონით მემკვიდრეები არიან, თუ მემკვიდრეობის გახსნის დროისათვის ცოცხალი არ არის მათი მშობელთაგანი, რომელიც მემკვიდრე იქნებოდა. ისინი მემკვიდრეობენ თანაბრად იმ წილით, რაც მათ გარდაცვლილ მშობლებს შეხვდებოდათ კანონით მემკვიდრეობის დროს.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა ანდერძით მემკვიდრეობის ფარგლები. თვითეულ მოქალაქეს შეუძლია ანდერძით დაუტოვოს მთელი თავისი ქონება, ანდა მისი მნიშვნელოვანი ნაწილი ერთ ან რამდენიმე პირს, რომლებიც შედიან ან არ შედიან კანონით მემკვიდრეთა წრეში, აგრეთვე სახელმწიფოს ან ცალკეულ სახელმწიფოებრივ, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციას.

საანდერძო განკარგულების ფარგლები შეზღუდულია სავალდებულო წილით. ამ ნაწილზე უფლება აქვს სამკვიდროს დამტოვებელ არასრულწლოვან და შრომისუუნარო შვილებს, დარჩენილ მეუღლეს, მშობლებს და კმაყოფაზე მყოფთ, რომელთაც ანდერძის შინაარსის მიუხედავად, უფლება აქვთ მოითხოვონ მემკვიდრეობა სამემკვიდრეო ქონების არნაკლებ ორ მესამედზე.

„საფუძვლების“ ბოლო მე-8 კარი მიძღვნილია უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არა მქონე პირთა უფლებაუნარიანობის რეგულირებისადმი. როგორც ცნობილია ამ საკითხს ამჟამად უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა აქვს.

უცხოელი მოქალაქეები სარგებლობენ სამოქალაქო უფლებაუნარიანობით საბჭოთა მოქალაქეების თანაბრად. ამავე კარში განსაზღვრულია უცხოეთის სახელმწიფოთა კანონების შეფარდების პირობები სსრ კავშირში. უცხოეთის კანონების შეფარდება ჩვენში დაუშვებელია, თუ მისი გამოყენება ეწინააღმდეგება საბჭოთა წყობილების საფუძვლებს.

შესაძლებელია საერთაშორისო შეთანხმება, რომელშიც სსრ კავშირი მონაწილეობს, ადგენს სხვა წესებს, ვიდრე მათ საბჭოთა სამოქალაქო კანონმდებლობა შეიცავს, ამ შემთხვევაში „საფუძვლების“ 129 მუხლით გამოიყენება საერთაშორისო ხელშეკრულების, ან საერთაშორისო შეთანხმების წესები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლო-

ბის „საფუძვლები“ გამარჯვებული სოციალისტური საზოგადოების ქონებით და პირადი არაქონებრივი ურთიერთობის პრინციპული პრობლემის გადაწყვეტის სისრულით ხასიათდებიან. ისინი არამარტო კანონიერების განმტკიცების ამოცანებიდან გამომდინარეობენ, არამედ, ამასთან ერთად, საბჭოთა ცივილისტური მეცნიერების განვითარების მაღალი დონის დადასტურებას წარმოადგენენ.

სამოქალაქო სამართლის მატერიალური კანონმდებლობის ფუძემდებლური დებულების გადაწყვეტასთან ერთად, საბჭოთა კანონმდებლობის განვითარებისათვის მეტად დიდმნიშვნელოვანია „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების“ მიღება. სოციალისტური კანონიერების დაცვა არ შეიძლება მხოლოდ სისხლის სამართლის კანონების ზუსტად შეფარდებით ამოიწუროს. კანონიერების დაცვის მნიშვნელოვანი სფეროა სამოქალაქო სასამართლო წარმოების ზუსტად განხორციელება. ამას ნათლად ადასტურებს სამოქალაქო საქმეების ხვედრითი წონა სასამართლოების საქმიანობაში. როგორც ეროვნებათა საბჭოს საკანონმდებლო განზრახულებათა კომისიის თავმჯდომარე დ. რასულოვი აღნიშნავდა მეშვიდე სესიაზე სასამართლოების მიერ განხილული საქმეებიდან 80 პროცენტზე მეტს შეადგენს სამოქალაქო საქმეები.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლები გამომდინარეობენ მართლმსაჯულების განხორციელების იმ პრინციპებიდან, რომლებიც სასამართლო წყობილებასა და სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების მიღებულ საკავშირო და რესპუბლიკურ კანონმდებლობის შემუშავებიდან გამომდინარეობენ, რა თქმა უნდა, სამოქალაქო პროცესის სპეციფიკურობის გათვალისწინებით.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლები განსაზღვრავენ სამოქალაქო პროცესის ძირითად პრინციპებსა და დებულებებს, პროცესის მონაწილეთა უფლებებს და მოვალეობებს.

„საფუძვლების“ მეორე მუხლით სამოქალაქო სასამართლო წარმოების ამოცანაა სამოქალაქო საქმეების სწორი და სწრაფი განხილვა და გადაწყვეტა იმ მიზნით, რათა დაცულ იქნეს სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება, მეურნეობის სოციალისტური სისტემა და სოციალისტური საკუთრება, მოქალაქეთა პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა პირადი და ქონებრივი უფლებები და კანონით დაცული ინტერესები.

სამოქალაქო სასამართლო წარმოება ხელს უნდა უწყობდეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას, სამართლის დარღვევის თავიდან აცილებას, მოქალაქეთა აღზრდას საბჭოთა კანონების განუხრელი შესრულებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით.

„საფუძვლებში“ გათვალისწინებულია რიგი პროცესუალური ღონისძიებები, რომლებიც აღიარებული პროცესუალური უფლებების გარანტირებას იძლევიან. ამასთან ერთად, 24-ე მუხლში მითითებულია, რომ მხარეები ვალდებული არიან კეთილსინდისიერად ისარგებლონ საპროცესო უფლებებით. ამით ხაზგასმულია სამართლებრივი და მორალური ნორმების უმჭიდროესი კავშირი სოციალიზმის დროს. სამოქალაქო სასამართლო წარმოება არა მარტო კანონიერების განმტკიცებას უნდა უწყობდეს ხელს, არამედ, ამასთან ერთად, ხელს უნდა უწყ-



ყოფიდას სამართალდარღვევის თავიდან აცილებას. სამოქალაქო სამართლის დარღვევის აუცილებელ და დემოკრატიულ პრინციპს წარმოადგენს კანონის და სამართლის ანალოგიის დაშვება. ეს შემდეგნაირად არის ფორმულირებული „საფუძვლების“ მე-12 მუხლში: „თუ არ არის კანონი, რომელიც აწესრიგებს სადავო ურთიერთობას, სასამართლო უფარდებს კანონს, რომელიც მსგავს ურთიერთობას აწესრიგებს, ხოლო ასეთი კანონის უქონლობის დროს სასამართლო ემყარება საბჭოთა კანონმდებლობის ზოგად საწყისებსა და აზრს“.

ანალოგიის გარეშე, რომელიც სამართლის სივრცეში მდებარეობს, შეუძლებელი იქნებოდა სამოქალაქო სასამართლო წარმოების სწორად განხორციელება.

საბჭოთა სასამართლო აქტიურად ზრუნავს მოქალაქეთა უფლებებისა და ინტერესების დაცვაზე. ამიტომ იგი არ სჯერდება წარმოდგენილი მასალებითა და ახსნა-განმარტებით, და ღებულობს კანონით გათვალისწინებულ ყველა ზომას, რათა ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად გამოირკვიოს საქმის ნამდვილი გარემოებანი, მხარეთა უფლება-მოვალეობანი. ჭეშმარიტების დადგენაში სასამართლოს აქტიური ჩარევა ნათლად ჩანს 24-ე მუხლით, რომლითაც სასამართლო არ მიიღებს მოსარჩელის უარს სარჩელზე, მოპასუხის მიერ სარჩელის ცნობას და მხარეთა მორიგეობას, თუ ეს მოქმედება ეწინააღმდეგება კანონს ან არღვევს ვისიმე უფლებებს და კანონით დაცულ ინტერესებს.

„საფუძვლები“ განსაზღვრავენ პროკურატურის ორგანოების აქტიურ მონაწილეობას სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში. პროკურორს შეუძლია წარადგინოს სარჩელი, ანდა ჩაებას საქმეში პროცესის ყველა სტადიაზე. პროკურორი მოვალეა სამოქალაქო სასამართლო წარმოების ყველა სტადიაზე დროულად მიიღოს კანონით გათვალისწინებული ღონისძიებანი კანონის ყველა დარღვევის აღსაკვეთად, ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს ეს დარღვევა. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში აუცილებელია პროკურორის მონაწილეობა სამოქალაქო პროცესში. ასეთი მონაწილეობის საჭიროება შეუძლია დაადგინოს სასამართლომაც.

პროკურორს შეუძლია შეიტანოს პროტესტი სასამართლოს უკანონო ან დაუსაბუთებელ გადაწყვეტილებაზე, მიუხედავად იმისა, მონაწილეობდა თუ არა იგი ამ საქმეში.

საბჭოთა სამოქალაქო პროცესის დემოკრატიულობა ყველაზე მეტად ჩანს მასში საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა კოლექტივების აქტიურ მონაწილეობაში.

მოქალაქეთა შორის წარმოშობილი ცალკეული დავები და უთანხმოებანი უფრო მეტად და მეტად წყდება საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩარევით. ამას უაღრესად დიდი აღმზრდელი მნიშვნელობა აქვს. კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში სამოქალაქო საქმეები ამხანაგური სასამართლოების გზით განიხილება. ამასთან ერთად, ყველა მოქალაქეს აქვს შესაძლებლობა გარანტირებული უფლებების სასამართლოს გზით დაცვისა.

მშრომელთა კოლექტივებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც არ არიან მხარეებად საქმეში, სასამართლოს დადგენილებით შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქმის ვარჩევაში, მოახსენონ სასამართლოს განსახილველ საქმეზე წარმოდგენილი ორგანიზაციისა და კოლექტი-

ტივების აზრი. მათ შეუძლიათ აღძრან საქმე მშრომელთა დარღვეული უფლებების დასაცავად.

„საფუძვლების“ შესაბამისად სამოქალაქო საქმეების განხილვის ძირითად სასამართლო ორგანოს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლო. საქმის გარემოებათა გამორკვევის მიხედვით სასამართლოს შეუძლია გასცდეს მოსარჩელის მოთხოვნათა ფარგლებს, თუ კი ეს აუცილებელია სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, კოლმეურნეობათა და სხვა კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ან მოქალაქეთა უფლებებისა და კანონით გარანტირებული ინტერესების დასაცავად.

სასამართლოს გადაწყვეტილება კანონიერ ძალაში შედის იმ ვადის გასვლის შემდეგ, რაც საკასაციო გასაჩივრებისა და გაპროტესტებისათვის არის დადგენილი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებანი კანონიერ ძალაში შედიან დაუყოვნებლივ მათი გამოცხადების დღიდან. საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციებს შეუძლიათ ქვემდგომი სასამართლო ორგანოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებების საფუძვლიანობის შემოწმებისას გააუქმონ ეს გადაწყვეტილებანი მხოლოდ და მხოლოდ კანონით ზუსტად გათვალისწინებული პირობების არსებობის დროს. მათ აქვთ უფლება სასამართლოს გადაწყვეტილების მთლიანად ან ნაწილობრივ გაუქმების დროს დააბრუნონ საქმე ხელახლა განხილვისათვის, ანდა მოსპონ საქმე წარმოებით. იმ შემთხვევაში, როცა საჭირო არ არის ახალი დამამტკიცებელი საბუთების შეკრება, ანდა დამატებითი შემოწმება, როცა საქმის გარემოებანი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილია სრულად და სწორად, მაგრამ შეცდომა დაშვებულია მატერიალური სამართლის ნორმების გამოყენებაში, საკასაციო ინსტანციას განჩინება საქმის ხელახლად განსახილველად გადაცემის გარეშე გამოაქვს. დასახელებული საფუძვლის არსებობისას მსგავსი უფლება მინიჭებული აქვს იმ შემდგომ სასამართლოს, რომელიც საქმეს ზედამხედველობის წესით იხილავს. მას შეუძლია აგრეთვე ძალაში დატოვოს მოცემულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილებებიდან, განჩინებებიდან და დადგენილებებიდან ერთ-ერთი. „საფუძვლები“ არეგულირებენ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ძირითად საკითხებს.

სასამართლო გადაწყვეტილება იმ საქმეზე, რომელშიც თუნდაც ერთი მხარე მოქალაქეა, შეიძლება წარდგენილ იქნეს იძულებითი აღსრულებისათვის სამი წლის განმავლობაში მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან, ხოლო ყველა დანარჩენ საქმეზე — ერთი წლის განმავლობაში.

მოქალაქეთაგან გადახდევინება მიიქცევა მოვალის პირად ქონებაზე, აგრეთვე მის წილზე საერთო საკუთრებაში.

გადახდევინება დანაშაულით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად შეიძლება მიქცეულ იქნეს მეუღლეთა თანაზიარ ქონებაზე, საკოლმეურნეო კომლის ან ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის ქონებაზე, თუ სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი განაჩენით დადგენილია, რომ ეს ქონება შეძენილი იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებული სახსრებით.



გადახდევინების მიქცევა მოვალის ხელფასზე ან სხვა შემოსავალზე, პენსიასა და სტიპენდიისზე წარმოებს იმ შემთხვევაში, თუ მოვალეს არ აქვს ქონება, ან მისი ქონება არ კმარა სრული გადახდევინებისათვის.

„საფუძვლებს“ 23-ე მუხლის ძალით სასამართლოს, ან მოსამართლეს, მოქალაქის ქონებრივი მდგომარეობის მიხედვით, უფლება აქვს გაათავისუფლოს იგი სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების ბოლო, მეექვსე კარი აწესრიგებს უცხოეთის მოქალაქეთა და მოქალაქეობის არ მქონე პირთა სამოქალაქო-საპროცესო უფლებებს, სარჩელებს უცხო სახელმწიფოებისადმი — უცხოეთის სასამართლო დავალებებს და გადაწყვეტილებებს, საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმების ზემოქმედებას სამოქალაქო სასამართლო წარმოებისადმი.

სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობისა და სამოქალაქო სასამართლო წარმოების საფუძვლების მიღება უმნიშვნელოვანესი ნიშანსვეტია საბჭოთა კანონმდებლობის განვითარებაში. ამ კანონების მიღებას წინ უძღოდა მათი პროექტების ფართო განხილვა, რომელიც 1957 წლიდან დაიწყო. მასში მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა ადამიანებმა.

საერთო-საკავშირო საფუძვლების მიღებით საკოდიფიკაციო მუშაობა სამოქალაქო სამართალსა და პროცესში სრულიადაც არ დამთავრებულა. წინააღმდეგობრივი და საპატიო ამოცანა: მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო სამართლისა და საპროცესო კოდექსების შემუშავება. ამ ამოცანის გადაწყვეტისთვის კანონპროექტების ფართო განხილვითაა შესაძლებელი. ცენტრალურ და რესპუბლიკურ იურიდიულ ჟურნალებში გაკეთებულია მრავალი სასარგებლო შენიშვნა და წინადადება, რომლებმაც, ბუნებრივია, ვერ ჰპოვეს სრული ასახვა „საფუძვლებში“, მაგრამ რომელთაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ სამოქალაქო სამართლისა და საპროცესო კოდექსების დროულად და სრულყოფილად შემუშავებაში.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ „საბჭოთა სამართლის“ მკითხველები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შემუშავებაში, ღრმად შეისწავლიან რა ამ მიზნით 1961 წლის 3 დეკემბერს მიღებულ საერთო-საკავშირო კანონმდებლობის საფუძვლებს, რომლებიც მშრომელეებზე ზრუნვით, პიროვნების ყოველმხრივი აყვავების ჰუმანური იდეებითაა გამსჭვალული.

სკკპ 22-ე ყრილობა და სოციალისტური სახელმწიფოს საკითხები

8. აბაზმაძე

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სკკპ XXII-ე ყრილობა, რომელმაც დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გრანდიოზული ამოცანები, მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის მოვლენაა. პარტიის XXII-ე ყრილობაზე ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებში, აგრეთვე ყრილობის მიერ მიღებულ დოკუმენტებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მთელი საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მოცემულია თანამედროვე ეპოქის ძირითადი პროცესების დახასიათება, მეცნიერული სიზუსტითაა განსაზღვრული მსოფლიოს შემდგომი განვითარების პერსპექტივები.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სკკპ ახალ პროგრამაში თანამედროვე ისტორიული ეპოქის შინაარსისა და ხასიათის მეცნიერულ განსაზღვრას. პროგრამაში თანამედროვე ისტორიული ეპოქა დახასიათებულია როგორც კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი ეპოქა, რომელსაც დასაბამი მისცა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. „თანამედროვე ეპოქა, რომლის ძირითადი შინაარსია კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა, არის ორი ერთმანეთის მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი სისტემის ბრძოლის ეპოქა, სოციალისტური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი რევოლუციების ეპოქა, იმპერიალიზმის მსხვერვის, კოლონიური სისტემის ლიკვიდაციის ეპოქა, სოციალიზმის გზაზე სულ ახალი ხალხების გადასვლის, მსოფლიო მასშტაბით სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ეპოქა. თანამედროვე ეპოქის ცენტრში დგანან საერთაშორისო მუშათა კლასი და მისი მთავარი ქმნილება — სოციალიზმის მსოფლიო სისტემა“.¹ სკკპ პროგრამის ეს დასკვნა ემყარება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობაში უკანასკნელ ხანს მომხდარ უდიდეს ისტორიულ ცვლილებებს. ჩვენს ქვეყანაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძლევაშლილი გამარჯვებით კაცობრიობის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო — სოციალიზმისა და კომუნისმის ერა; ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სახალხო დემოკრატიული რევოლუციებისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შედეგად სოციალიზმი მსოფლიო სისტემად გადაიქცა. ამრიგად, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლა კაცობრიობის განვითარების თანამედროვე ეპოქის ძირითად კანონზომიერებას წარმოადგენს.

სოციალიზმის ქვეყნებში კაპიტალიზმის დამხობამ და ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებამ და განმტკიცებამ კაცობრიობის ისტორიული პროგრესის ფართო შესაძლებლობები შექმნა. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე შრომას და მეცნიერებას შეუძლია უზრუნველყოს მთელ მსოფლიოში მატერიალური და სულიერი სიკეთის სიუხვე, მაგრამ კაპიტალიზმი აფერხებს საზოგადოების განვითარებას, ხელს უშლის კაცობრიობის პროგრესს. სკკპ პროგრამაში ნათქვამია, რომ კაპიტალიზმი უკანასკნელი ექსპლოატატორული წყობილებაა, რომელმაც ამოწურა თავისი თავი და გადაიქცა უდიდეს დაბრკოლებად საზოგადოებრივი პროგრესის გზაზე. ჩვენს

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 7 - 8.

დროში მხოლოდ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა უზრუნველყოფს კაცობრიობის პროგრესს, მის შემდგომ წინსვლას.

სკკპ პროგრამაში აღნიშნულია, რომ კაცობრიობის პროგრესს აუცილებლად მიყვებართ უკლასო საზოგადოებამდე, რომ კომუნიზმი მთელი კაცობრიობის ნათელი მომავალია.

კომუნიზმის აშენება უდიდეს რევოლუციურ გადატრიალებას მოახდენს კაცობრიობის ისტორიაში, საზოგადოებრივ წარმოებაში და საერთოდ ადამიანთა საქმიანობის ყველა დარგში. კომუნიზმის დროს იქნება მატერიალური და სულიერი სიმდიდრე ისეთი სიუხვით, რაც საჭიროა თავისუფალი, ყოველმხრივ განვითარებული ადამიანისათვის.

სკკპ პროგრამაში აღნიშნულია, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის მთავარ იარაღს საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო წარმოადგენს. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგში საბჭოთა სახელმწიფოს მრავალფეროვანი მოღვაწეობის შედეგად ჩვენს ქვეყანაში ლიკვიდირებულ იქნენ ექსპლოატატორული კლასები, გაიმარჯვა მეურნეობის სოციალისტურმა სისტემამ. საბჭოთა სახელმწიფომ წარმატებით განახორციელა რა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური გარდაქმნები, სოციალიზმის მშენებლობის პროცესში თვითონ განიცადა ცვლილებები, კერძოდ ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციასთან ერთად დაიწყო პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს გადაზრდა სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციად. ასევე, საბჭოთა სოციალისტურმა სახელმწიფომ, რომელიც კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის მთავარი იარაღია, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში მოპოვებული წარმატების შედეგად, არ შეიძლება არ განიცადოს ცვლილებები. სკკპ პროგრამაში სსრ კავშირში მომხდარი ეკონომიური და პოლიტიკური გარდაქმნების მეცნიერული განზოგადოების საფუძველზე, შემოქმედებითად არის განვითარებული სოციალისტური სახელმწიფოს თეორიის საკითხები.

* * *

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შემოქმედებითად განვითარების საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სკკპ პროგრამის დებულებებს, რომლებიც შეეხებიან საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ფაზებისა და ძირითადი ფუნქციების, პროლეტარიატის დიქტატურისა და სოციალისტური სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულებს, სოციალისტური დემოკრატიათა შემდგომი განვითარების საფუძველზე საბჭოთა სახელმწიფოებრიობის კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად გარდაქმნის საკითხებს. მათი სწორი გაგებისათვის საყურადღებოა პროგრამაში მოცემული საბჭოთა საზოგადოების განვითარების შემდეგი დახასიათება: „სოციალისტური რევოლუციით შობილმა პროლეტარიატის დიქტატურამ მსოფლიო-ისტორიული როლი შეასრულა, უზრუნველყო სოციალიზმის გამარჯვება სსრ კავშირში, ამავე დროს სოციალიზმის აშენების პროცესში მან თვითონ განიცადა ცვლილებები. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით გაქრა მათი წინააღმდეგობების დათრგუნვის ფუნქცია. ყოველმხრივ განვითარდა სოციალისტური სახელმწიფოს მთავარი ფუნქციები — სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმშრდელითი ფუნქციები. სოციალისტური სახელმწიფო შევიდა თავისი განვითარების ახალ პერიოდში. დაიწყო პროცესი სახელმწიფოს გადაზრდისა სოციალისტური საზოგადოების მშრომელთა საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციად, პროლეტარული დემოკრატია სულ უფრო მეტად იქცეოდა საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ დემოკრატიადა“.¹

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961 წ. გვ. 134.

პერიოდი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებულადან ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამდე, რომელიც საბჭოთა საზოგადოების ისტორიაში კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის სახელწოდებითაა ცნობილი, საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზას წარმოადგენს. თავისი განვითარების პირველ ფაზაში საბჭოთა სახელმწიფოს ამოცანებსა და ფუნქციებს განსაზღვრავდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკისა და პოლიტიკის თავისებურებანი.


კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა ხასიათდება როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის არსებობით. სწორედ ამიტომ იგი არ არის მთლიანად არც კაპიტალისტური და არც სოციალისტური. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდს არ გააჩნია განსაკუთრებული ეკონომიური წყობილება, არამედ იგი არის კაპიტალისტური ბაზისის ლიკვიდაციისა და სოციალისტური ბაზისის შექმნის პერიოდი. მეურნეობის სხვადასხვა ფორმების არსებობის მიუხედავად ჩვენი ქვეყნის ეკონომიკა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ერთიანი იყო, რაც იმას ნიშნავს, რომ თითოეული ეკონომიური წყობა ცალკე აღებული არ წარმოადგენდა დამოუკიდებელს და დასრულებულს. არცერთ საზოგადოებრივ-ეკონომიურ წყობას არ შეეძლო არსებობა ერთმანეთთან მჭიდრო კავშირის გარეშე.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში ჩვენი ქვეყნის ეკონომიური წყობილება მთლიანად განსაზღვრავდა სსრ კავშირის კლასობრივ შემადგენლობას. ამ პერიოდის ძირითად საზოგადოებრივ კლასებს წარმოადგენდნენ მუშათა კლასი და მშრომელი გლეხობა, რომელთა შორის მტკიცე კავშირის საფუძველს შეადგენდა ექსპლოატაციის მოსპობისა და სოციალიზმის გამარჯვების საერთო ინტერესები. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი ეპოქის დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს ექსპლოატატორული კლასების — ბურჟუაზიისა და კულაკობის არსებობა.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ეკონომიური და პოლიტიკური წყობილების თავისებურებებმა განაპირობა საბჭოთა/სახელმწიფოს განვითარების პირველ ფაზაში მწვავე კლასობრივი ბრძოლის არსებობა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში არსებული კლასობრივი ბრძოლის ხასიათი და ფორმები არსებითად განსხვავდებიან კაპიტალიზმის ეპოქისათვის დამახასიათებელი კლასობრივი ბრძოლისაგან. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში მუშათა კლასი წარმოადგენს პოლიტიკურად გაბატონებულ კლასს, რომელიც ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ ბრძოლაში ემყარება სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას.

საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო თავისი განვითარების პირველ ფაზაში წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს. მუშათა კლასი მშრომელი ხალხის ინტერესების შესაბამისად სახელმწიფოებრივ ხელისუფლებას იყენებდა ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობათა დასათრგუნავად. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგ საბჭოთა სახელმწიფოს მიერ გამოყენებული ძალადობა პროლეტარიატის დიქტატურის ძირითად შინაარსს არ წარმოადგენს. ვ. ი. ლენინი მრავალგზის მიუთითებდა, რომ პროლეტარიატის დიქტატურა, ისე როგორც ყოველგვარი დიქტატურა უაზრობაა ძალადობის გარეშე, მაგრამ პროლეტარიატის დიქტატურაში მაინც მთავარია მუშათა კლასის ხელმძღვანელი, მორგანიზებული როლი. პროლეტარიატის დიქტატურის ეს ორი მხარე — ძალდატანებითი და ორგანიზატორული მხარე, მთლიანობაში შეადგენს პროლეტარიატის დიქტატურას.

სოციალისტური სახელმწიფოს წარმოშობა ხდება პროლეტარიატის დიქ-



ტატურის გამარჯვებასთან ერთად. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოსა და პროლეტარიატის დიქტატურის ცნებები ძირითადად ერთმანეთს ემთხვევა. საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოსა და პროლეტარიატის დიქტატურის ურთიერთდამოკიდებულების გარკვევის საკითხში არსებითი მნიშვნელობა აქვს სკკპ პროგრამის მითითებას იმის შესახებ, რომ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში სოციალისტური სახელმწიფო და პროლეტარიატის დიქტატურა განუყოფელია ერთმანეთისაგან. პროლეტარიატის დიქტატურა როგორც ისეთი საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ტიპი, რომელშიც ადგილი აქვს კლასობრივ ბრძოლას, თავის პირდაპირ და უშუალო გამოხატულებას პოპულობს სახელმწიფოში. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ პროლეტარიატის დიქტატურას მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აპარატი ახორციელებს. პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემა აერთიანებს როგორც სახელმწიფოებრივ, ისე არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს, რომელთაც ხელმძღვანელობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. პროლეტარიატის დიქტატურის ძალდატანებითი მხარე ხორციელდება არა საზოგადოებრივი ორგანიზაციების, არამედ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ორგანოების მიერ არმია, სასამართლო და ა. შ.). ამდენად, რადგანაც დიქტატურა საერთოდ არის სახელმწიფოებრივი ცნება, პროლეტარიატის დიქტატურაც წარმოუდგენელია სოციალისტური სახელმწიფოს გარეშე. სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გამოცდილება ცხადყოფს ბურჟუაზიული რეფორმისტებისა და რევოიონისტების მტკიცების უსაფუძვლობას იმის შესახებ, რომ თითქოს პროლეტარიატის დიქტატურა შეიძლება არსებობდეს სახელმწიფოს გარეშე, რომ სახელმწიფო შეიძლება მოკვდეს პროლეტარიატის დიქტატურაზე ადრე.

კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობათა დათრგუნვა, სოციალისტური ეკონომიკის შექმნა, მშრომელთა შეგნებულობისა და კულტურულობის ამაღლება, იმპერიალისტური სახელმწიფოების სამხედრო თავდასხმისაგან ჩვენი ქვეყნის სამხედრო დაცვა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსის განხორციელება.

საბჭოთა მთავრობამ და კომუნისტურმა პარტიამ, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდისათვის „ლენინის ხელმძღვანელობით... შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის ძირეული გარდაქმნის გეგმა, სოციალიზმის აშენების გეგმა, ლენინმა მოგვცა ღრმა მეცნიერული და საბუთება პროლეტარული სახელმწიფოს პოლიტიკისა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე მთელი გარდამავალი პერიოდისათვის. მან შეიმუშავა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებდა სოციალიზმის გამარჯვებას. ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოოპერირება, კულტურული რევოლუცია — ასეთია სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინური გეგმის ძირითადი რგოლები“.¹

ვ. ი. ლენინის მიერ დასახული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო თავისი განვითარების პირველ ფაზაში ახორციელებდა დამხობილი ექსპლოატატორული კლასების წინააღმდეგობათა დათრგუნვის ფუნქციას, სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმზრდელი მუშაობის ფუნქციებს და აგრეთვე, გარედან თავდასხმისაგან ქვეყნის სამხედრო დაცვის ფუნქციასა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის ფუნქციას.

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 17.

პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს შემოქმედებითი მუშაობის შედეგად სსრ კავშირში წარმატებით იქნა განხორციელებული სოციალიზმის მშენებლობის საშინაო ამოცანები. უმოკლეს ვადაში ლიკვიდირებული იქნა ექსპლოატატორული კლასები. 1937 წელს მუშებისა და მოსამსახურეების რაოდენობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 36,2 პროცენტს შეადგენდა. გლეხობა და კოლპერირებული კუსტარები — 57,9 პროცენტს, ერთპიროვნული გლეხების რიცხვი შემცირდა 5,9 პროცენტამდე, რაც შეეხება მემამულეებს, ქალაქის მსხვილ და წვრილ ბურჟუაზიას, ვაჭრებსა და კულაკებს, ე. ი. ექსპლოატატორულ კლასებს, ისინი 1937 წელს ჩვენს ქვეყანაში უკვე აღარ არსებობდნენ.¹

ამასთან ერთად, საბჭოთა სახელმწიფომ ბრწყინვალედ გადაჭრა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ეკონომიკის შექმნისა და მშრომელთა კულტურული დონის ამაღლების ამოცანები. მეურნეობის სოციალისტური სისტემის მოწყობა და კულტურული რევოლუციის განხორციელება როგორც ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის ერთი მთლიანი პროცესის ორი სხვადასხვა მხარე, ერთდროულად გადაწყდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში. ახალი, სოციალისტური საზოგადოების აშენება შეუძლებელი იყო მშრომელთა ფართო მასების შეგნებულობის დონის ამაღლების გარეშე. „კომუნისტური ეკონომიკის ჩამოყალიბება, — აღნიშნავდა ნ. ს. ხრუშჩოვი მოხსენებაში სკკპ XXII ყრილობაზე, — საზოგადოებრივ ურთიერთობის განვითარება, ახალი ადამიანის ფორმირება ურთიერთდაკავშირებული პროცესებია“.²

საბჭოთა სახელმწიფოს უდიდესი სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ-აღმშრდებლობითი საქმიანობის შედეგად სსრ კავშირი მსხვილი ინდუსტრიული და მოწინავე სოფლის მეურნეობის ქვეყანა გახდა.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვების საქმეში უდიდესი როლი შეასრულა საბჭოთა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკურმა საქმიანობამ. თავისი განვითარების პირველ ფაზაში საბჭოთა სახელმწიფო მისთვის დამახასიათებელი საგარეო ფუნქციების — გარედან თავდასხმისაგან ქვეყნის სამხედრო დაცვის ფუნქციისა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის ფუნქციის საშუალებით, ხელსაყრელ საგარეო პირობებს ქმნიდა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის.

ამრიგად, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალ პერიოდში საბჭოთა სახელმწიფოს ფართო შემოქმედებითი მუშაობის შედეგად უდიდესი ეკონომიური და პოლიტიკური ცვლილებები მოხდა. „სოციალიზმი, რომლის გარდუვალობა მეცნიერულად იწინასწარმეტყველეს მარქსმა და ენგელსმა, სოციალიზმი, რომლის აშენების გეგმა დასახა ლენინმა, საბჭოთა კავშირში რეალური სინამდვილე გახდა“.

* * *

სსრ კავშირში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციითა და სოციალიზმის გამარჯვებით დაიწყო სოციალისტური სახელმწიფოს განვითარების ახალი ფაზა.

თავისი განვითარების მეორე ფაზაში საბჭოთა სოციალისტური სახელმწი-

¹ იხ. Народное хозяйство СССР, Статистический сборник, М., 1956, с. 19.

² ვაზ. „კომუნისტი“, 1961 წლის 20 ოქტომბერი.

³ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1962, გვ. 19.



ფოს პოლიტიკური ბუნების გაგებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს ექსპლოატორული კლასების ლიკვიდაციას.


ექსპლოატორული კლასები, რომელთაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ მეფის თვითმპყრობელობის დროს, აფერხებდნენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და პოლიტიკურ განვითარებას. თვითმპყრობელობის უკიდურესად რეაქციული პოლიტიკური სისტემა, მემამულური მიწათმოქმედების არსებობა, ეკონომიკაში უცხოეთის კაპიტალის ბატონობა, რუსეთს დასავლეთის განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებზე დამოკიდებულ ქვეყნად ხდიდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შედეგად ჩვენი ქვეყანა განთავისუფლდა ნახევრადკოლონიური მდგომარეობიდან და შეიქმნა ყოველგვარი პირობა რუსეთის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის ლიკვიდაციისათვის. კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახა სახალხო მეურნეობის აღმავლობისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის კონკრეტული ღონისძიებანი, მაგრამ დამახობილი ექსპლოატორული კლასები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აწყობდნენ შეთქმულებასა და აჯანყებებს, ხელს უშლიდნენ რუსეთის ეკონომიურ გარდაქმნებს. დამახობილი ექსპლოატორული კლასები წინააღმდეგობას უწევდნენ რა საბჭოთა მთავრობასა და კომუნისტურ პარტიას სოციალისტური გარდაქმნების განხორციელების საქმეში, ფაქტიურად იცავდნენ რუსეთის ეკონომიურ ჩამორჩენილობას. ექსპლოატორული კლასების ლიკვიდაციამ მოამზადა სათანადო წანამძღვრები ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და რუსეთის საუკუნეობრივი ჩამორჩენილობის აღმოფხვრისათვის.

ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატორული კლასების ლიკვიდაციის უმნიშვნელოვანეს შედეგს წარმოადგენს ისიც, რომ პარაზიტული კლასების მოსპობამ გამოიწვია აგრეთვე „...იმ მიზეზების ლიკვიდაცია, რომლებიც წარმოშობენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას“.¹ ექსპლოატორული კლასების ლიკვიდაციამ მშრომელთა ფართო მასები გაათავისუფლა საზოგადოების პარაზიტული ელემენტების შენახვის ხარჯებისაგან. რუსეთში ექსპლოატორული კლასები, რომლებიც მთელი მოსახლეობის 15,9 პროცენტს შეადგენდნენ, მთელი სახალხო შემოსავლის 75 პროცენტს ითვისებდა, მაშინ, როდესაც მოსახლეობის დანარჩენი 84,1 პროცენტი სახალხო შემოსავლიდან მხოლოდ 25 პროცენტს ღებულობდა. ექსპლოატორული კლასების ლიკვიდაციის შედეგად სსრ კავშირში კაცობრიობის არსებობის ისტორიაში პირველად მოელო ბოლო ასეთ უსამართლობას.

ექსპლოატორული კლასების ლიკვიდაციის შედეგად წარმოების საშუალებები მთლიანად გადავიდა საზოგადოების ხელში და მოისპო ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, რამაც ძირფესვიანად შეცვალა შრომის ხასიათი. იმის გამო, რომ სსრ კავშირში ადგილი არა აქვს სხვისი შრომის ექსპლოატაციას, შრომა გახდა ღირსებისა და პატივის საქმე.

სსრ კავშირში ექსპლოატორული კლასების ლიკვიდაციამ გამოიწვია ქვეყნის შიგნით კლასობრივი ანტაგონიზმის აღმოფხვრა, რამაც გადაწყვეტი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის დაახლოების საქმეში. საუკუნეების განმავლობაში მტრულად განწყო-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 19.



ბილი საზოგადოება პირველად ჩვენს ქვეყანაში გახდა მორალურ-პოლიტიკურად ერთიანი. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შემდეგ კლასობრივი ბრძოლის ნაცვლად საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალა გახდა ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა და მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციამ ჩვენს ქვეყანაში არსებითი ცვლილებები გამოიწვია საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარებაში. სკკპ პროგრამაში ნათქვამია, რომ ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციითა და კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის ამოცანების წარმატებით განხორციელებით „დაიწყო პროცესი სახელმწიფოს გადაზრდისა სოციალისტური საზოგადოების საყოველთაო-სახალხო ორგანიზაციად“.¹


თავისი განვითარების მეორე ფაზაში, რომელიც იწყება ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციითა და სოციალიზმის გამარჯვებით, საბჭოთა სახელმწიფო ერთი კლასის მეორე კლასზე ბატონობის იარაღიდან თანდათანობით იქცევა მთელი ხალხის ნებისა და ინტერესების გამომხატველ პოლიტიკურ დაწესებულებად. „სახელმწიფო, რომელიც წარმოიშვა, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფო, ახალ, თანამედროვე ეტაპზე გადაიქცა საერთო-სახალხო სახელმწიფოდ, მთელი ხალხის ინტერესებისა და ნების გამომხატვის ორგანოდ“.² ამასთან ერთად, საბჭოთა სახელმწიფო თანდათანობით კარგავს სახელმწიფოებრიობის ნიშნებს, იწყებს კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობად გადაზრდას. საბჭოთა სახელმწიფოს მოღვაწეობაში ადმინისტრაციულ-იძულებითი საქმიანობის ნაცვლად ფართოვდება ორგანიზატორულ-აღმზრდელობითი საქმიანობა, საბჭოთა სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქციის განხორციელება ეკისრება საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მშრომელთა კოლექტივებს.

სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს სკკპ პროგრამის მითითებას იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს საყოველთაო-სახალხო სახელმწიფოდ გადაქცევასთან ერთად პროლეტარიატის დიქტატურამ „შეასრულა თავისი ისტორიული მისია და შინაგანი განვითარების ამოცანების თვალსაზრისით აუცილებელი აღარ არის სსრ კავშირში.“³ სკკპ პროგრამას სახელმწიფოს შესახებ მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაში საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ისტორიული გამოცდილების საფუძველზე შეაქვს სრულიად ახალი დებულება იმის შესახებ, რომ პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა სახელმწიფოს კვდომა ერთდროულად არ განხორციელდება, არამედ მუშათა კლასის დიქტატურა აუცილებელი აღარ იქნება ჯერ კიდევ მანამდე, სანამ სახელმწიფო მოკვდებოდეს. პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა ქრება ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის, სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისა და კომუნისტური საზოგადოების გაშლილ მშენებლობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, სახელმწიფო კი, როგორც საერთო-სახალხო ორგანიზაცია, რჩება კომუნისმის სრულ გამარჯვებამდე. როგორც სკკპ პროგრამაშია ნათქვამი საერთო-სახალხო სახელმწიფოს ამოცანას წარმოადგენს კომუნისმის მა-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 139.

² იქვე, 1961, გვ. 134-135.

³ იქვე, გვ. 134.



ტერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სოციალისტურ ურთიერთობათა უკანა დაქმნა კომუნისტურ ურთიერთობად, შრომისა და მოხმარების ოდენობაზე კონტროლის განხორციელება, საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფა, საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და თავისუფლების და აგრეთვე სოციალისტური მართლწესრიგისა და სოციალისტური საკუთრების დაცვა, ხალხის მასების აღზრდა შეგნებული დისციპლინის და შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ჩვენი ქვეყნის თავდაცვისა და უშიშროების უზრუნველყოფა, სოციალისტურ ქვეყნებთან ძმური თანამშრომლობის განვითარება, საყოველთაო მშვიდობის საქმის დაცვა და ყველა ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის განმტკიცება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ამოცანების შესაბამისი ფუნქციები, რომლებსაც სოციალიზმის პირობებში ახორციელებს საერთო-სახალხო სახელმწიფო, პოლიტიკურ ხასიათს ატარებენ, რადგან სსრ კავშირში ჯერ კიდევ არ არის ლიკვიდირებული განსხვავებანი პირველყოვლისა მუშათა კლასსა და გლეხობას შორის და შემდეგ, ამ კლასებსა და ინტელიგენციას შორის. გარდა ამისა, საერთაშორისო ასპარეზზე ადგილი აქვს ორი სისტემის — სოციალიზმისა და კაპიტალიზმის სისტემის შეჯიბრებას. ამიტომაც ცხადია, რომ საერთო-სახალხო სახელმწიფო კომუნისმის აშენებისა და ჩვენს ქვეყანაში კლასობრივ განსხვავებათა უკანასკნელი ნაშთების აღმოფხვრამდე არ შეიძლება მთლიანად გადაიხარდოს საზოგადოებრივ თვითმმართველობად. სკკპ პროგრამაში ნათქვამია, რომ საერთო-სახალხო სახელმწიფო დარჩება „კომუნისმის სრულ გამარჯვებამდე“¹.

სოციალიზმიდან კომუნისმზე თანდათანობით გადასვლისას, მას შემდეგ რაც პროლეტარიატის დიქტატურამ შეასრულა თავისი ისტორიული მისია, სახელმწიფოს არსებობას განაპირობებს სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პირობები.

საშინაო პირობების მიხედვით, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ინტერესების შესაბამისად, მთელი რიგი ფუნქცია, რომელსაც საზოგადოება ახორციელებს, ჯერ კიდევ პოლიტიკური ხასიათისაა და მისი განხორციელება შეუძლებელია სახელმწიფოს გარეშე. ასეთ ფუნქციებს განეკუთვნება სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ აღმზრდელობითი მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას, სოციალისტური საკუთრებისა და სოციალისტური მართლწესრიგის დაცვას, რომელიც მიზნად ისახავს სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობების განმტკიცებას და ა. შ. სოციალიზმიდან კომუნისმზე გადასვლის პერიოდში მართალია საბჭოთა სახელმწიფო საერთო-სახალხო ინტერესებს გამოხატავს, მაგრამ სახელმწიფოს ზოგიერთი ფუნქცია პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, რადგან საჭიროების შემთხვევაში საერთო-სახალხო ნების განხორციელება უნდა მოხდეს ძალდატანების საშუალებითაც.

საერთო-სახალხო სახელმწიფოს არსებობის საგარეო პირობებში გულისხმობენ იმპერიალისტური სახელმწიფოების არსებობას. კაპიტალისტური სახელმწიფოების იმპერიალისტური წრეები, რომლებიც მოგების მიღების მიზნით ცდილობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენარჩუნებას, აწყობენ სსრ კავშირზე სამხედრო თავდასხმის გეგმებს. სკკპ პროგრამაში განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ჩვენი ქვეყნის შეიარაღებული ძალებისა და თავ-

¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, 1961, გვ. 135.

დაცვისუნარიანობის განმტკიცების საქმეს. ამასთან ერთად საბჭოთა სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობაში თანმიმდევრულ ბრძოლას აწარმოებს სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიური სისტემის ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსის განხორციელებისათვის.

სახელმწიფოებრივი ხასიათი აქვს აგრეთვე ევროპისა და აზიის სოციალისტურ ქვეყნებთან მეგობრულ თანამშრომლობას, რომელიც მიზნად ისახავს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებას და საყოველთაო მშვიდობის დაცვას მთელ მსოფლიოში.

მაგრამ ყოველივე ზემოთქმულის მიუხედავად უდავოა, რომ საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო თავისი პოლიტიკური ბუნებით მნიშვნელოვნად განსხვავდება კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის საბჭოთა სახელმწიფოსაგან. მართალია თავისი შინაარსით საბჭოთა საზოგადოების განვითარების ორივე ეტაპზე საბჭოთა სახელმწიფო სოციალისტურია, მაგრამ მის პოლიტიკურ ბუნებაში არსებითი ცვლილება მოხდა ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატორიული კლასების ლიკვიდაციის და სოციალიზმის გამარჯვების შედეგად. თავისი განვითარების პირველ ფაზაში საბჭოთა სახელმწიფო გამოხატავდა საზოგადოებაში გაბატონებული კლასის — პროლეტარიატის ინტერესებს და ამდენად წარმოადგენდა პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოს. ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციის შემდეგ, როდესაც გაქრა ჩვენს ქვეყანაში პროლეტარიატის დიქტატურის აუცილებლობა, საბჭოთა სახელმწიფო საზოგადოების ყველა კლასის ინტერესებს გამოხატავს და ამდენად იგი საერთო-სახალხო სახელმწიფოა. თანამედროვე საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკური ბუნების დახასიათებისათვის ახლა უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს სახელმწიფოს კლასიკურ განსაზღვრას, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო არის ერთი კლასის მეორე კლასზე პოლიტიკური ბატონობის ორგანო. ჩვენს ქვეყანაში ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციისა და სოციალიზმის სრული გამარჯვების შემდეგ, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო არის საყოველთაო-სახალხო ხელისუფლების ორგანო, რომელიც გამოხატავს რა მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს, თავის საქმიანობას წარმართავს სსრ კავშირში კომუნისმის მშენებლობის საშინაო და საგარეო ამოცანების განხორციელებისაკენ.

იურიდიული ინჰერენსი და მისი მნიშვნელობა საბჭოთა სამოქალაქო სამართლის პროცესში

თ. ლილუაშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საბჭოთა პროცესუალური კანონმდებლობით, ყოველი დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს თავისი დარღვეული ან სადაოდ გამხდარი უფლების დაცვისათვის. მაგრამ სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლებამოსილების ნამდვილად განხორციელებისათვის საჭიროა გარკვეული პირობები, რომლებიც პროცესუალურ ლიტერატურაში იწოდებიან სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობებად ანუ წინამძღვრებად. სასამართლოში სარჩელით მიმართვის უფლების წინაპირობებია მავალითად, მოსარჩელისა და მოპასუხის პროცესუალური უფლებათა უარსაობა, მოცემული საქმის სასამართლოსადმი დაქვემდებარება, მოვალესთან პრეტენზიის წინასწარ შეთანხმება და ა. შ. თუ ასეთი წინაპირობები არ არსებობენ სასამართლომ უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს სასარჩელო განცხადების მიღებაზე და მის არსებითად განხილვაზე.

მაშასადამე საკითხს იმის შესახებ თუ რა და რა წინაპირობებია საჭირო იმისათვის, რათა სასამართლომ მიიღოს და არსებითად გადაწყვიტოს სარჩელი, მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

მოცემულ სტატიაში ჩვენ შევჩერდებით მხოლოდ ერთ საკითხზე, რომელიც დავას იწვევს საბჭოთა პროცესუალურ ლიტერატურაში, სახელდობრ, შეიძლება თუ არა იურიდიული ინტერესი პროცესში განხილული იქნეს, როგორც სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობა.

იურიდიული ინტერესი, როგორც ასეთი არის სამოქალაქო უფლების დარღვევის ან მისი სადაოდ გახდომის შედეგად წარმოშობილი ინტერესი.

თუ უფლება დარღვეულია ვისმეს მიერ ანსადაოდაა გამხდარი წარმოიშ-

ვება იურიდიული ინტერესი პროცესისადმი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლომ თავისი ავტორიტეტული გადაწყვეტილებით აღადგინოს დარღვეული უფლება ან შეიტანოს გარკვეულობა უფლებრივ მდგომარეობაში, თუ ის უფლება მართალია ჯერჯერობით დარღვეული არ არის, მაგრამ მოსარჩელეს ეცილებიან ამ უფლებაში და მაშასადამე არის საშიშროება მომავალში ამ უფლების დარღვევისა.

ამრიგად იმისათვის, რომ სასამართლომ გააკეთოს დასკვნა აქვს თუ არა მოსარჩელეს იურიდიული ინტერესი საქმის არსებითად განხილვა გადაწყვეტისათვის, მან უნდა დაადგინოს დარღვეულია თუ არა მოსარჩელის უფლება ან ედავებიან თუ არა მოსარჩელეს ამ უფლებაში.

ასეთია მოკლედ იურიდიული ინტერესის შინაარსი.

იბადება კითხვა: შეიძლება თუ არა იურიდიული ინტერესი განვიხილოთ, როგორც სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობა ე. ი. სასამართლომ მოსარჩელეს უარი უნდა უთხრას სარჩელის მიღებაზე თუ აღმოჩნდება, რომ მას არ გააჩნია იურიდიული ინტერესი საქმის არსებითად განხილვა გადაწყვეტისათვის?

საბჭოთა პროცესუალურ ლიტერატურაში სხვადასხვანაირად უპასუხებენ ამ კითხვაზე. პროფ. ვ. მ. გორდონი გამომდინარეობს მიზანშეწონილობის პრინციპიდან და სთვლის, რომ თუ მოსარჩელეს არ გააჩნია იურიდიული ინტერესი საქმის გადაწყვეტისათვის ე. ი. თუ მოსარჩელის უფლება არც დარღვეულა და არც არავინ მას ამ უფლებაში არ ედავება, რაღა საჭიროა საქმის არსებითად განხილვა და გადაწყვეტა, ამიტომ პროცესის აღმოცენებისათვის

მოსარჩელემ წინასწარ უნდა დაამტკიცოს რომ მას აქვს იურიდიული ინტერესი, ე. ი. რომ მისი უფლება დარღვეულია ან სადაოდაა გამხდარი. უფლების დარღვევის ფაქტები ანუ როგორც სხვანაირად უწოდებენ მათ, სარჩელის საბაზი ფაქტები არ ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნას და არ შედიან ამ უკანასკნელის საფუძველში.¹

ასეთია მოკლედ პროფ. ვ. მ. გორდონის მოსაზრება მოცემულ საკითხზე.

ანალოგიურ შეხედულებას იზიარებს ამ საკითხზე დოქ. ვ. პ. ჩაპურსკი. მისი აზრითაც სარჩელის საბაზი ფაქტები (უფლების დარღვევის ან მისი სადაოდ გახდომის ფაქტები) არ ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნას, არ შედიან სარჩელის საფუძველში და წარმოდგენენ მხოლოდ პროცესის აღმოცენებისა და მისი განვითარების პირობებს.²

იურიდიული ინტერესის სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობად განხილვის წინააღმდეგ გამოვიდა პროფ. მ. ა. გურვიჩი. მისი მოსაზრება ამ საკითხისადმი მოკლედ მდგომარეობს შემდეგში: თუ მოსარჩელეს არ გააჩნია იურიდიული ინტერესი, მაშასადამე მას აღუძრავს უსაფუძვლო სარჩელი, უსაფუძვლო სარჩელი კი არყევს მოპასუხის უფლებებზე მდგომარეობას, რაც ამ უკანასკნელს ე. ი. მოპასუხეს უქმნის იურიდიულ ინტერესს, რათა სასამართლომ უარი უთხრას მოსარჩელეს სარჩელზე მისი უსაფუძვლობისა გამო. მოპასუხის ინტერესები კი ისევე უნდა იქნეს დაცული, როგორც მოსარჩელის, ამიტომ გადაწყვეტილების გამოტანა, რომ უმიზნო არ ვახდეს საკმარისია რომ იურიდიული ინტერესი გააჩნდეს ერთ-ერთ მხარეს. ასეთი მდგომარეობა კი ყოველთვის იქმნება თუ სარჩელი აღძრულია ყველა საერთო წესების დაცვით.³

ამ ბოლო დროს იურიდიული ინტერესის სარჩელის აღძვრის უფლების წი-

ნაპირობად განხილვის მომხრედ გამოვიდა იურიდიული მეცნიერებთა კანდიდატი ს. ვ. კურილევი. ეს უკანასკნელი პროფ. ვ. მ. გორდონისა და ვ. ს. ჩაპურსკის მსგავსად გამომდინარეობს მიზანშეწონილობის პრინციპიდან და ამტკიცებს, რომ თუ მოსარჩელეს არ გააჩნია იურიდიული ინტერესი, პროცესი იქნება უმიზნო.

თავის ამ შეხედულებას ს. ვ. კურილევი ასაბუთებს აგრეთვე იმით, რომ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მეორე მუხლი თითქოს გამომდინარეობს იურიდიული ინტერესის პროცესუალური გაგებიდან.⁴ პროცესუალური ინტერესი განაგრძობს ს. ვ. კურილევი — მდგომარეობს არა უფლებრივი სარგებლობის გადაწყვეტილებით შექმნაში, არამედ მისი შექმნის შესაძლებლობაში. ინტერესი კი როგორც შესაძლებლობა შეიძლება დადგენილი იქნეს პროცესის დასაწყისშიც, ის არსებობდა მხოლოდ საქმის გადაწყვეტამდე, ამასთან ასეთი ინტერესი გააჩნია არამარტო ერთ მხარეს არამედ ორივე მხარეს ერთდროულად.

ამის გამო იურიდიული ინტერესის როგორც პროცესუალური კატეგორიის არსებობის შესახებ დასკვნის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ არა უფლების დარღვევის ან მისი სადაოდ გახდომის ფაქტები, არამედ მხოლოდ ასეთი ფაქტების არსებობის ვარაუდი. სარჩელის აღძვრის დროს უფლების დარღვევის ან მისი სადაოდ გახდომის ვარაუდი დადგენილი უნდა იქნეს დამამტკიცებელი საბუთებით. თუ ასეთი ვარაუდის დადგენისათვის დამამტკიცებელი საბუთები არ არის, მაშასადამე მოსარჩელეს არ გააჩნია საქმის არსებითად გადაწყვეტის იურიდიული ინტერესი. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა უარი უთხრას მოსარჩელეს მისი სასარჩელო მოთხოვნის განხილვაში. ასეთი სასარჩელო მოთხოვნების განხილვაზე უარის

¹ იხ. В. М. Гордон, Право на судебную защиту по ГПК РСФСР; журн „Вестник советской юстиции“, 1924 г. № 1.

² იხ. Гражданский процесс, учебник, 1948 г., стр. 170.

³ М. А. Гурвич, Право на иск, М., 1949 г., стр. 77—79.

⁴ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის ასეთი ანალიზი არ არის სწორი. სინამდვილეში 2-ე მუხლი არ გამომდინარეობს იურიდიული ინტერესის არც პროცესუალურ და არც მატერიალურ სამართლებრივ გაგებიდან, ეს მუხლი უთითებს მხოლოდ სარჩელის აღძვრის სუბიექტურ უფლებაუნარიანობის საზღვრებზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქმას საფუძვლად ექნება ის რომ მოსარჩელეს არ გააჩნია იურიდიული (პროცესუალური ინტერესი)¹.

ასეთია მოკლედ მოსაზრებანი გამოთქმული საბჭოთა პროცესუალურ ლიტერატურაში იურიდიული ინტერესების შესახებ.

იურიდიული ინტერესი არ წარმოადგენს რაღაც განყენებულ და თავისთავად არსებულ კატეგორიას. იურიდიული ინტერესი წარმოიშვება გარკვეული ფაქტების საფუძველზე და იმისათვის, რომ გვავკეთოდ დასკვნა არსებობს თუ არა იურიდიული ინტერესი, უნდა დადგინდეს ეს ფაქტები. ასეთ ფაქტებს, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენენ უფლების დარღვევის ფაქტები სარჩელებში მიკუთვნების შესახებ და ამ უფლების სადაოდ გახდომის ფაქტი სარჩელებში ცნობის შესახებ ანუ დადგენით სარჩელებში.

ამრიგად თუ აღძრულია სარჩელი მიკუთვნების შესახებ, იურიდიული ინტერესს საფუძვლად უნდა ედოს უფლების დარღვევის ფაქტი, ეს გასაგებიცაა მიკუთვნების შესახებ სარჩელებში მოსარჩელე მოითხოვს დარღვეული უფლების აღდგენას მისი იძულებითი განხორციელების გზით. თუ ეს უფლება დარღვეული არ არის, მაშინ არც მისი იძულებითი განხორციელება შეიძლება და მაშასადამე, მოსარჩელეს არც უნდა ქონდეს იურიდიული ინტერესი უფლების იძულებითი სასამართლო წესით განხორციელებისათვის.

სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი სარჩელებში ცნობის შესახებ ანუ დადგენით სარჩელებში. ასეთი სახის სარჩელებში მოსარჩელე არ მოითხოვს უფლების იძულებითი განხორციელებას, არამედ მოითხოვს რათა სასამართლომ ცნოს, დაადგინოს სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა მოსარჩელეს და მოპასუხეს შორის ან კიდევ, სურს გარკვეულობა იქნეს შეტანილი მის უფლებრივ მდგომარეობაში. სწო-

რედ სასამართლო გადაწყვეტილებით უფლებრივ მდგომარეობაში გარკვეულობის შეტანა წარმოადგენს მოსარჩელის იურიდიულ ინტერესს სარჩელებში ცნობის შესახებ. ასეთი იურიდიული ინტერესი ცნობის შესახებ სარჩელებში წარმოიშვება მაშინ თუ მოსარჩელეს ვინმე ედავება ან ეცილება ამ უფლებებში ან კიდევ არსებობს საშიშროება ამ უფლების მომავალში დარღვევის. ამრიგად უფლების სადაოდ გახდომა ან ამ უფლების მომავალში დარღვევის საშიშროება წარმოადგენენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც საფუძვლად უდევს იურიდიულ ინტერესს სარჩელებში ცნობის შესახებ. როგორც ვხედავთ იურიდიული ინტერესის წარმოშობას საფუძვლად შეიძლება დაედოს თავისი ბუნებით სულ სხვადასხვაგვარი ფაქტები. ერთ შემთხვევაში ეს არის უფლების დარღვევა (სარჩელებში მიკუთვნების შესახებ). მეორე შემთხვევაში ეს არის ამ უფლების სადაოდ გახდომა (სარჩელებში ცნობის შესახებ). ამაში გამოიხატება აგრეთვე ერთერთი თავისებურება რომელიც ახასიათებს სარჩელებს ცნობის შესახებ განსხვავებით სარჩელებისა მიკუთვნების შესახებ.

ასეთი მდგომარეობა თავის მხრივ დაკავშირებულია იურიდიული ინტერესისადმი ინდივიდუალური მიდგომის აუცილებლობასთან სარჩელებში მიკუთვნების შესახებ და სარჩელებში ცნობის შესახებ.

აქედან გამომდინარე იურიდიული ინტერესის მნიშვნელობის სწორად დადგენისათვის აუცილებელია გაირკვეს იმ ფაქტების ბუნება და ხასიათი, რომელთა საფუძველზეც ეს იურიდიული ინტერესი წარმოიშვება.

როგორც აღვნიშნეთ სარჩელებში მიკუთვნების შესახებ იურიდიული ინტერესის წარმოშობას საფუძვლად

¹ С. В. Курплев, О праве на предъявление иска, журн. „Советское государство и право“, 1958 г. № 1, стр. 60.

უდევს იმ უფლებების დარღვევის ფაქტი, რომლის დაცვას მოსარჩელე შოიხნოვს, ამიტომ საჭიროა გაირკვეს თუ როგორი შედეგი (მატერიალური და პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით) შეიძლება მოყვეს ამ ფაქტების დადგენას.

ცნობილია, რომ სამოქალაქო უფლება აღჭურვილია უნარით განხორციელებული იქნეს იძულებითი წესით. უნარი განხორციელდეს იძულებითი წესით განუშორებელია თვით სამოქალაქო უფლებისაგან. ეს ორი ცნება — სამოქალაქო უფლება და უნარი განხორციელებული იქნეს იძულებითი წესით — არ შეიძლება არსებობდნენ განცალკევებით, ვინაიდან უფლება მოწყვეტილი უნარისაგან განხორციელდეს იძულებითი წესით აღარ იქნება უფლება (რატომ უნდა როგორც იურიდიული კატეგორია) და პირიქით, უნარი განხორციელდეს იძულებითი წესით მოწყვეტილი უფლებისაგან დაკარგავს თავის შინაარსს.

კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში, სამართლებრივი ურთიერთობის აღმოცენებასთან ერთად გარკვეულ პირებს ექმნებათ უფლებამოსილება იმ უფლებათა იძულებითი სასამართლოს წესით განხორციელებისათვის, რომლებიც ამ სამართლობრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობენ.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ რადგან უფლების უნარი განხორციელდეს იძულებითი წესით წარმოიშვება ამ უფლების წარმოშობასთან ერთად, ის შეიძლება განხორციელდეს ყოველგვარ შემთხვევაში, რატომაუნდა არა იმისათვის, რომ უფლება განხორციელდეს იძულებითი წესით, საჭიროა, რომ ეს უფლება დაირღვეს. რეალიზაცია უფლების უნარისა განხორციელდეს იძულებითი წესით, შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ თუ ეს უფლება ვისმეს მიერაა დარღვეული. თუ უფლება არავის მიერ დარღვეული არ არის, ბუნებრივია,

მისი იძულებითი განხორციელება სრულიად უმიზნო და უსაფუძვლო იქნებოდა.

პრაქტიკაში საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როდესაც სასამართლო, მართალია აღგენს, რომ უფლება, რომლის აღდგენასაც ან რაც სულერთია, რომლის იძულებით განხორციელებასაც მოსარჩელე მოითხოვს მართლაც არსებობს, მაგრამ ეს უფლება მოპასუხის მიერ დარღვეული არ არის. ასეთ შემთხვევაში სასამართლოებს სრულიად სამართლიანად გამოაქვთ გადაწყვეტილება სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

მაშასადამე, უფლების დარღვევის ფაქტები ეს ისეთი ფაქტებია, რომლებიც შესაძლებელს ხდიან ამ უფლების იძულებითი განხორციელებისათვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ფაქტები არსებითად ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნებს, შედიან სარჩელის საფუძველში სხვა ფაქტებთან ერთად და მათი დადგენა პირდაპირ კავშირშია საქმის სწორად გადაწყვეტასთან. იმ შემთხვევაში თუ დადგინდება, რომ უფლება დარღვეული არ არის სასამართლომ როგორც ეს პრაქტიკაში სწორადაა მიღებული, უარი უნდა უთხრას მოსარჩელეს სარჩელზე მისი დაუსაბუთებლობის გამო.

როგორც ვხედავთ, უფლების დარღვევის ფაქტები, სარჩელეში მიკუთვნების შესახებ იწვევს მატერიალურ სამართლებრივ შედეგს. აქედან გამომდინარე იურიდიული ინტერესი, რომელიც ამ სარჩელის საბაზი ფაქტების საფუძველზე წარმოიშვება, განხილული უნდა იქნეს მატერიალურ-სამართლებრივი და არა პროცესუალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით, როგორც ამას აკეთებს დოც. ს. ვ. კურილევი.

რამდენადაც უფლების დარღვევის ფაქტები სარჩელეში მიკუთვნების შესახებ შედიან იმ ფაქტების ჯგუფში, რომლებიც ასაბუთებენ სასარჩელო მო-

თხოვნებს (სარჩელის საფუძველში), აძღენად ამ ფაქტების დადგენა უნდა მოხდეს საქმის არსებითად განხილვის პროცესში. ამ ფაქტების დადგენა სასარჩელო განცხადების მიღების დროს სხვას არა ნიშნავს თუ არა მსჯელობას სასარჩელო მოთხოვნების დასაბუთების თუ მისი დაუსაბუთებლობის შესახებ, მაგრამ ასეთ მსჯელობას კანონის თანახმად ადგილი უნდა ქონდეს საქმის არსებითად განხილვის შედეგად, სასამართლოს გადაწყვეტილებაში. დოც. ს. ვ. კურილევი, როგორც აღვნიშნეთ, ამტკიცებს, რომ სასარჩელო განცხადების მიღების დროს ან საერთოდ, პროცესის წარმართვამდე, სასამართლომ უნდა დაადგინოს მხოლოდ უფლების დარღვევის ფაქტის არსებობის ვარაუდი. თუ ასეთი ვარაუდის სასარგებლოდ დამამტკიცებელი საბუთები არ არის, მაშასადამე არ არსებობს დავის საგანიც, ხოლო აქედან გამომდინარე, იურიდიული ინტერესიც მისი განხილვა გადაწყვეტისათვის. ასეთ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა იქნება უსაგნო და არ ექვემდებარება სასამართლო განხილვას. ასეთი მოთხოვნების განხილვაზე უარის თქმის საფუძველი იქნება ის, რომ მოსარჩელეს არ აქვს იურიდიული ინტერესი.

დოც. ს. ვ. კურილევის ამ მოსაზრებას ჩვენ ვერ გავიზიარებთ შემდეგ გარემოებათა გამო: 1. ფაქტის არსებობის ან არ არსებობის შესახებ ვარაუდი შეიძლება შეესაბამებოდეს ჭეშმარიტებას, მაგრამ გამორიცხული არ არის რომ ის არ შეესაბამებოდეს მას. ასეთია ვარაუდის ბუნება. ამიტომ მოსარჩელის ნამდვილად სამართლიანი მოთხოვნა ვერასოდეს ვერ გახდება სასამართლოს განხილვისა და გადაწყვეტის საგნად თუ მოსამართლე ცდება თავის ვარაუდში იმის შესახებ, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ჯერ „მომწიფებული“ არ არის სასამართლო განხილვა გადაწყვეტისათვის.

2. უფლების დარღვევის ფაქტის არსებობის შესახებ ვარაუდის დადგენა ნიშნავს აგრეთვე იმას, რომ სასამართლო მსჯელობს სარჩელის დასაბუთების თუ მისი დაუსაბუთებლობის შესახებ, რაც როგორც აღვნიშნეთ დაუშვებელია, მითუმეტეს, რომ ასეთი ვარაუდის დადგენას შედეგად უნდა მოყვას ისეთი მიმე პროცესუალური შედეგი, როგორცაა მოსარჩელისათვის უარის თქმა მისი სარჩელის სასამართლო წესით განხილვაზე.

3. ერთი და იგივე ფაქტს ამ შემთხვევაში არ შეიძლება მიეცეს თავისი შინაარსით ორი სხვადასხვანაირი მნიშვნელობა. თუ უფლების დარღვევის ფაქტი არის იურიდიული ფაქტი, არსებითად ასაბუთებს სასარჩელო მოთხოვნას და შედის სხვა ფაქტებთან ერთად სარჩელის საფუძველში (ამას არც დოც. ს. ვ. კურილევი უარყოფს), მაშასადამე ამ ფაქტებს მატერიალურ-სამართლებრივი ხასიათი აქვთ, იწვევენ მატერიალურ სამართლებრივ შედეგს.

რატომ უნდა მეტად ხელოვნური იქნება თუ ამ უფლების დარღვევის ფაქტებს ამასთან ერთად მივანიჭებთ პროცესუალურ მნიშვნელობასაც ე. ი. განვიხილავთ როგორც პროცესის აღმოცენებისა და განვითარების წინაპირობად.

შემოთავაზებული საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ იურიდიული ინტერესი სარჩელებში მიკუთვნების შესახებ არ შეიძლება განვიხილოთ როგორც სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობა, ვინაიდან ფაქტები, რომლებიც ამ იურიდიულ ინტერესს უდევს საფუძველად შედიან სარჩელის საფუძველში, ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნებს და წარმოადგენენ მტკიცების საგანს. სხვანაირად რომ ვთქვათ უფლების დარღვევის ფაქტები სარჩელებში მიკუთვნების შესახებ წარმოადგენენ იურიდიულ ფაქტებს. იურიდიული ფაქტები კი როგორც წესი, იწვევენ მატერიალურ-სამართლებრივ შე-

დგეს. აქედან გამომდინარე მათი არსებობის თუ არ არსებობის დადგენა შეიძლება მხოლოდ საქმის არსებითად განხილვის პროცესში და მათი არ არსებობის დადგენის შემთხვევაში, სასამართლომ კი არ უნდა მოსპოს საქმე წარმოებით (პროცესუალური შედეგი) არამედ უარი უნდა უთხრას სარჩელზე მისი დაუსაბუთებლობისა გამო. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ მხარეს აქვს ნამდვილად იურიდიული ინტერესი, შეიძლება გადაწყდეს პროცესის შედეგად, სასამართლო გადაწყვეტილებით.

ასეთია ჩვენის აზრით ის ერთადერთი სწორი დასკვნა, რომელიც შეიძლება გაკეთდეს იურიდიული ინტერესის და მისი წარმოშობი ფაქტების მიმართ სარჩელებში მიკუთვნების შესახებ.

სულ სხვა ბუნებით ხასიათდება იურიდიული ინტერესი და ის ფაქტები, რომლებიც მას უდევს საფუძვლად სარჩელებში ცნობის შესახებ. იურიდიული ინტერესს სარჩელებში ცნობის შესახებ საფუძვლად უდევს არა უფლების დარღვევის ფაქტი არამედ ის, რომ ეს უფლება სადაოდაა გამხდარი, რომ მოსარჩელეს ვინმე ეცილება ამ უფლებაში. ასეთ შემთხვევაში მოსარჩელეს ებადება იურიდიული ინტერესი აღძრას სარჩელი რათა სასამართლომ გარკვეულობა შეიტანოს მის უფლებრივ მდგომარეობაში.

მაშასადამე სარჩელებში ცნობის შესახებ ანუ სხვანაირად, დადგენით სარჩელებში მოთხოვნის შინაარსი და ხასიათი სხვანაირია ვიდრე სარჩელებში მიკუთვნების შესახებ. თუ სარჩელებში მიკუთვნების შესახებ მოსარჩელეს სურს, რომ სასამართლომ ცნოს მისი უფლება და მოპასუხის შესაბამისი ვალდებულება და მოითხოვს ამ უფლების იძულებით განხორციელებას, სარჩელებში ცნობის შესახებ, მოსარჩელე იზღუდება მხოლოდ იმ მოთხოვნით, რომ სასამართლომ ცნოს მისი უფლება, ამ


უფლების იძულებითი განხორციელების გარეშე.

ისეთი ფაქტები, როგორცაა უფლების სადაოდ გახდომის ფაქტები ან ამ უფლების მომავალში დარღვევის საშიშროების ფაქტები, რომელთა საფუძველზე წარმოიშვება ცნობის შესახებ სარჩელების აღძვრისა და განხილვის იურიდიული ინტერესი, არავითარ როლს არ თამაშობენ სადაო უფლების და მოვალეობების აღმოცენებაში. იმ ფაქტს რომ უფლება სადაოდაა გამხდარი ან რომ არსებობს საშიშროება ამ უფლების მომავალში დარღვევისა, მატერიალური სამართლებრივი ნორმა არავითარ იურიდიულ შედეგს არ უკავშირებს. ამრიგად ეს ფაქტები, უფლების დარღვევის ფაქტებისაგან განსხვავებით, არ არიან იურიდიული ფაქტები. აქედან გამომდინარე სასამართლომ უნდა დააკმაყოფილოს სარჩელი თუ ის უფლება რომლის დადგენასაც მოსარჩელე მოითხოვს მართლა არსებობს ან, პირიქით, უარი უნდა უთხრას სარჩელზე თუ ის უფლება, რომლის დადგენასაც მოსარჩელე მოითხოვს სინამდვილეში არ არსებობს. ორივე შემთხვევაში საქმის არსებითად სწორად გადაწყვეტა არაფრით არ არის დამოკიდებული იმაზე მართლა ედავებიან მოსარჩელეს ამ უფლებაში თუ არა.

მიგვაჩნია, რომ უფლების სადავოდ გახდომის ფაქტები არ ასაბუთებენ სასარჩელო მოთხოვნებს და მაშასადამე არ შედიან სარჩელის საფუძველში.

მიგვაჩნია, რომ უფლების სადავოდ გახდომის ფაქტი და მის საფუძველზე წარმოშობილი იურიდიული ინტერესი სარჩელებში ცნობის შესახებ, შეიძლება განვიხილოთ როგორც სარჩელის აღძვრის უფლების წინაპირობა.

ამ ფაქტების დადგენა სასამართლომ უნდა აწარმოოს საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე და თუ დადგინდება, რომ მოსარჩელეს არავინ არ ედავება მის უფლებაში, მან უარი უნდა უთხ-



რას სასარჩელო განცხადების მიღებაზე. ხოლო თუ ასეთი ფაქტების არ არსებობა დადგინდება საქმის არსებითად განხილვის პროცესში. სასამართლომ საქმე წარმოებით უნდა მოსპოს იმ მოტივით, რომ მოსარჩელეს არ გააჩნია საქმის არსებითად განხილვა გადაწყვეტისათვის იურიდიული ინტერესი. რამდენადაც ეს ფაქტები სარჩელებში ცნობის შესახებ, არ ასაბუთებენ არსებითად სასარჩელო მოთხოვნებს, ამდენად ამ ფაქტების და მათთან დაკავშირებული იურიდიული ინტერესის დადგენა სავსებით შესაძლებელია საქმის არსებითად განხილვის დაწყებამდე, ვინაიდან ეს არ იქნებოდა მსჯელობა სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთების თუ მისი დაუსაბუთებლობის შესახებ.

ამრიგად, თეორიული მოსაზრებებით სავსებით შესაძლებელია მივიჩნიოთ იურიდიული ინტერესი ცნობის შესახებ სარჩელების აღძვრის უფლების წინაპირობად.

ამგვარად წყდება ეს საკითხი სასამართლო პრაქტიკაშიც.

გაუქმა რა ხარკოვის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილება და უკრაინის სსრ უმაღლესი სასამართლოს

სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინება, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ მიუთითა შემდეგი:

„სასამართლოს არ უნდა დაედგინა და დაემტკიცებინა პერლის ავტორობა ქარძრავა „ПД—3“ და „ПД—4“ გამოგონებაზე რადგან პერლის საავტორო უფლება ამ მანქანების მიმართ არ არის დარღვეული და მას არავინ არ ხდის სიდაოდ. ის რომ პერლის ამ გამოგონებებზე საავტორო მოწმობები აქვს უკვე წარმოადგენს მისი ავტორობის დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც არ საჭიროებს არავითარ დადგენას“.¹

იურიდიული ინტერესის ცნობის შესახებ სარჩელების აღძვრის უფლების წინაპირობად განხილვას მეტად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

იურიდიული ინტერესის არ არსებობის გამო ცნობის შესახებ სარჩელის მიღებაზე სასამართლოს მიერ უარის თქმით, გზა ეღობება უსაგნო სარჩელებით სასამართლოს გადატვირთვას, თავიდან ვიცილებთ პროცესუალური საშუალებებისა და დროის უმიზნო ხარჯვას.

¹ Судебная практика Верховного суда СССР, 1952 г. № 9, стр. 43—44.

სასამართლო ექსპერტიზის საკითხები საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საკოდექსო კოდექსის მიხედვით

ა. ფალიაშვილი

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

საქართველოს სსრ ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სასამართლო ექსპერტიზის საკითხები მოცემულია იურიდიული მეცნიერების მიღწევების გათვალისწინებით, საგამომძიებლო, სასამართლო და საექსპერტო ორგანოების მდიდარი პრაქტიკის შესაბამისად, აგრეთვე იმ კრიტიკული შენიშვნების გათვალისწინებით, რომლებიც გამოთქმული იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის პროექტის განხილვის დროს.

ძველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სასამართლო ექსპერტიზის საკითხები არ იყო სრულყოფილად მოცემული. ძველ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში და „დროებით წესებში“ ექსპერტიზის საკითხებს დათმობილი ჰქონდა სულ რამდენიმე მუხლი, ახალ კოდექსში ამ საკითხებს კი დათმობილი აქვს 46 მუხლი, აქედან 22 მუხლი სპეციალურად ეხება სასამართლო ექსპერტიზის საკითხების რეგლამენტაციას.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლში მოცემულია დამამტკიცებელი საბუთების ცნება; ამ მუხლის თანახმად სისხლის სამართლის საქმეში დამამტკიცებელ საბუთად ითვლება ყოველგვარი ფაქტიური მონაცემები, რომლებიც დადგინდება მოწმის ჩვენებით, დაზარალებულის ჩვენებით, ეჭვმიტანილის

ჩვენებით, ბრალდებულის ჩვენებით, ექსპერტის დასკვნით, ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთებით, საგამომძიებლო და სასამართლო მოქმედებათა ოქმებითა და სხვა დოკუმენტებით.

აღნიშნულიდან ნათელია, რომ ექსპერტის დასკვნა არის დამამტკიცებელი საბუთების ერთ-ერთი დამოუკიდებელი წყარო და იგი შეიძლება ცნობილი იქნას, როგორც დამამტკიცებელი საბუთი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეიცავს ფაქტიურ მონაცემებს, ე. ი. დაადგენს ამა თუ იმ ფაქტს კატეგორიულ ფორმაში. კანონის ასეთი მითითება საშუალებას გვაძლევს უარყოფითად გადავწყვიტოთ თეორიაში და პრაქტიკაში ისეთი მეტად სადაო საკითხი, როგორც არის ექსპერტის ალბათობითი დასკვნების დამტკიცებისა და მისი დამამტკიცებელ საბუთად ჩათვლის საკითხი. თავისთავად ცხადია, რომ ექსპერტის დასკვნა ალბათობით ფორმაში არ შეიძლება მიეკუთვნოს „ფაქტიურ მონაცემებს“, რადგან იგი არის მხოლოდ და მხოლოდ ექსპერტის სუბიექტური ვარაუდი ფაქტის შესახებ და არა ფაქტი.

ახალი კოდექსის 63-ე მუხლში მოცემულია დამამტკიცებელი საბუთების შეფასების პრინციპები, რომლის თანახმადც სასამართლო, პროკურორი, გამომძიებელი და მომკვლევე პირი დამამტკიცებელი საბუთების შეფასების დროს ხელმძღვანელობენ კანონით, სო-



ცილისტური მართლშეგნებითა და თავიანთი შინაგანი რწმენით, რაც ემყარება საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას მათ ერთობლიობაში. თავისთავად ცხადია, რომ შეფასება ექსპერტის დასკვნისა, როგორც მტკიცების ერთ-ერთი წყაროსი, უნდა მოხდეს აღნიშნული პრინციპების საფუძველზე.

საქართველოს სსრ ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით, ახალ კოდექსში განმარტებულია ტერმინის — „ექსპერტის“ გაგება. 25-ე მუხლში კერძოთ ნათქვამია, რომ ექსპერტია პირი, რომელიც დანიშნულია სასამართლოს, პროკურორის, მოკვლევის ან წინასწარი გამოძიების ორგანოს მიერ, დასკვნის მისაცემად სისხლის სამართლის საქმის წარმოების დროს წამოჭრილ საკითხებზე, რომელიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს. კანონის ასეთი მითითება საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ სასამართლო ექსპერტის პროცესუალური მდგომარეობა სხვა სახის ექსპერტებისგან.

სასამართლოს ექსპერტი უნდა იყოს აბსოლუტურად ობიექტური პირი, ე. ი. იგი არ უნდა იყოს დაინტერესებული განსახილველი საქმის შედეგით. ამ მნიშვნელოვანი პრინციპის შესაბამისად ახალმა კოდექსმა გააფართოვა ის შემთხვევები, როდესაც პირს არ შეუძლია გამოვიდეს ექსპერტად სისხლის სამართლის საქმეებში. კერძოთ 53-ე და 58-ე მუხლების თანახმად ექსპერტს არ შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საქმეში:

1. თუ არის დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩელე, სამოქალაქო მოპასუხე, აგრეთვე, თუ იგი მოცემულ საქმეში მონაწილეობს, როგორც მოწმე, თარჯიმანი, მომკვლევ პირი, გამოძიებელი, ბრალმდებელი, დამცველი, ბრალდებულის, დაზარალებულის, სამოქალაქო მოსარჩელის ან სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენელი;

2. თუ ექსპერტი არის პროცესში მონაწილე პირთა ნათესავი;

3. თუ ექსპერტი არის ნათესავი იმ პირის, რომელიც შედის სასამართლოს შემადგენლობაში და იხილავს მოცემულ საქმეს;

4. თუ ექსპერტს ჰქონდა ან აქვს სამსახურეობრივი ან სხვა დამოკიდებულება ბრალდებულთან, დაზარალებულთან, სამოქალაქო მოსარჩელესთან ან სამოქალაქო მოპასუხესთან;

5. თუ ექსპერტმა მოცემულ საქმეზე ჩაატარა რევიზია, ან შეაგროვა სხვა მასალები, რაც სისხლის სამართლის საქმის აღძვრის, ან სამოქალაქო სარჩელის წარდგენის საფუძველი გახდა;

6. თუ გამოემყდნენ, რომ ექსპერტი არაკომპეტენტურია;

7. თუ საქმეში მონაწილე პირები აღნიშნავენ სხვა გარემოებებს, რომლებიც საეჭვოდ ხდიან ექსპერტის ობიექტურობას.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ძველ საპროცესო კოდექსში არაფერი იყო ნათქვამი დამატებითი ექსპერტიზის შესახებ, ხოლო განმეორებითი ექსპერტიზა კი გამოითქმოდა არაზუსტი ტერმინით „ახალი ექსპერტიზა“, ცხადია, რომ ეს ტერმინი არ განსაზღვრავდა განმეორებითი ექსპერტიზის აზრს. ეს ნაკლი, გამოასწორა ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა, რომლის 70-ე მუხლში დაწვრილებით არის რეგლამენტირებული დამატებითი და განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარების წესი. აღნიშნული მუხლის თანახმად, დამატებითი ექსპერტიზის დანიშვნა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც ექსპერტის დასკვნა სათანადოდ ნათელი ან სრული არ არის. დამატებითი ექსპერტიზის ჩატარება შეიძლება დაფუძნდეს

იმავე ან სხვა ექსპერტს. დამატებითი ექსპერტიზისაგან განსხვავებით, განმეორებითი ექსპერტიზის ჩატარება ყოველთვის უნდა დაევალოს სხვა ექსპერტს ან სხვა ექსპერტებს. განმეორებითი ექსპერტიზის დანიშვნა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც პროკურორი, გამომძიებელი, მომკვლევ პირი ან სასამართლო არ ეთანხმებიან ექსპერტის დასკვნას დაუსაბუთებლობის მოტივით, ან მის სისწორეში ეჭვის შეტანის გამო.

სასამართლო ექსპერტიზა, მიუხედავად მისი სახეებისა, დაინიშნება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმის გამოკვლევის, ან სასამართლოში განხილვის დროს საჭიროა, მეცნიერული, ტექნიკური, ან სხვა სპეციალური ცოდნა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტის დასკვნა სავალდებულო არ არის პროკურორის, გამომძიებლის, მომკვლევ პირისა და სასამართლოსათვის. მაგრამ თუ ისინი არ ეთანხმებიან ექსპერტის დასკვნას, ეს გარემოება მათ მიერ დასაბუთებული უნდა იყოს შესაბამისად დადგენილებაში, განჩინებასა და განაჩენში (70-ე მუხლი).

ახალმა კოდექსმა გააფართოვა ის შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ ფაქტის დადგენა სავალდებულოა მხოლოდ ექსპერტიზის ჩატარების შედეგად. ახალი კანონის 71-ე მუხლის თანახმად ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა:

1. სიკვდილის მიზეზის, სხეულის დაზიანების ხასიათისა და სიმძიმის დასადგენად;

2. ექვმიტანილის ან ბრალდებულის ფსიქიკური მდგომარეობის გამოსაკვლევად იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მხრივ ეჭვი იბადება;

3. მოწმის ან დაზარალებულის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობის გამოსარკვევად იმ შემთხვევაში, როდესაც ამ მხრივ ეჭვი იბადება;

4. ექვმიტანილის, ბრალდებულის და


დაზარალებულის ასაკის დასადგენად იმ შემთხვევაში, როდესაც ამას საქმისათვის მნიშვნელობა აქვს და დოკუმენტი ასაკის შესახებ არ არის.

ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკების ახალი კოდექსები ზემოჩამოთვლილს უმატებენ სხვა შემთხვევებსაც. ასე მაგალითად, უზბეკეთის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლის თანახმად ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა დაზარალებულის სქესობრივი სიმწიფის დასადგენად, ხოლო აზერბაიჯანის სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის თანახმად ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როდესაც რევიზია ჩატარდა ბრალდებულის მონაწილეობის გარეშე და რევიზიის საბუთების სისწორეს, რომლის საფუძველზედაც აღიძრა სისხლის სამართლის საქმე, ბრალდებული თვლის სადაოდ.

ახალმა კოდექსმა მიუთითა, რომ მთელი რიგი სასამართლო ექსპერტიზები ჩატარდეს სახელმწიფო საექსპერტო დაწესებულებებში. ასე მაგალითად, 72-ე მუხლში პირდაპირ ხაზგასმულია, რომ სასამართლო-სამედიცინო, სასამართლო-ფსიქიატრიული, სასამართლო-საბუნჰალტრო, აგრეთვე კრიმინალისტიკურ ექსპერტიზას აწარმოებენ სათანადო დაწესებულებათა ექსპერტები. კანონის ეს მოთხოვნა არ გამორიცხავს იმ გარემოებას, რომ საჭიროების შემთხვევაში ექსპერტებათ შეიძლება დაინიშნონ სხვა პირებიც.

ახალმა კოდექსმა გაითვალისწინა ის სპეციფიკაც, რომელსაც ადგილი აქვს სახელმწიფო დაწესებულებებში ექსპერტიზის ჩატარების დროს.

თუ მაგალითად, გამომძიებელი ავალდებულს ექსპერტიზის ჩატარებას იმ პირს, რომელიც არ არის სამსახურში საქსპერტო დაწესებულებაში იგი ვალდებულია 191-ე მუხლის თანახმად დაიბაროს



ექსპერტი და საბუთების შემოწმების გზით გამოარკვიოს მისი პიროვნება, კვალიფიკაცია, კომპეტენტურობა, ობიექტურობა, განუმარტოს მას უფლებამოვალეობანი და გააფრთხილოს იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ დასკვნის მოცემაზე — უარის თქმის, თავის არიდების, ან წინასწარი შეცნობით ცრუ დასკვნის მიცემისათვის, ხოლო თუ კი ექსპერტიზა ტარდება საექსპერტო დაწესებულებაში გამოძიებელი პრაქტიკულად შეზღუდულია განახორციელოს ყველა შემოჩამოთვლილი კანონის მოთხოვნები. სწორედ, ამიტომაც ახალი კოდექსი ითვალისწინებს ექსპერტიზის სახელმწიფო დაწესებულებაში ჩატარების სპეციფიკასაც.

ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლის თანახმად საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელი ვალდებულია დაავალოს ექსპერტიზის ჩატარება ერთ ან რამოდენიმე ექსპერტს და გააფრთხილოს ექსპერტიზის ჩამტარებელი პირი (პირები) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ წინასწარი შეცნობით ცრუ დასკვნის მიცემისათვის.

განსაკუთრებულ შემთხვევაში ექსპერტებს აფრთხილებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ წინასწარი გამოძიების მონაცემების გამაჟრებლისათვის (მუხლი 139-ე).

ექსპერტიზის ჩატარების ყოველ შემთხვევაში, ექსპერტი დასკვნას იძლევა თავისი სახელით და პირადად პასუხისმგებელია მის მიერ მიცემული დასკვნისათვის (72-ე მუხლი).

ექსპერტის პირადი პასუხისმგებლობა შენარჩუნებულია იმ შემთხვევაშიც, როდესაც ექსპერტიზას ატარებს რამდენიმე პირი. სწორედ ამიტომაც კანონი (72-ე მუხლი) უფლებას ანიჭებს ექსპერტებს მოითათბირონ და მოაწირონ ხელი საერთო დასკვნას მხოლოდ იმ შემ-

თხვევაში, როდესაც ისინი შეთანხმდებიან საერთო დასკვნის მიცემაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, თითოეულმა ექსპერტმა ცალკე უნდა შეადგინოს თავისი დასკვნა.

ახალ კოდექსში შედარებით დაწვრილებით არის რეგლამენტირებული ექსპერტის უფლებანი და მოვალეობანი, სისხლის სამართლის პროცესში. კანონის თანახმად ექსპერტი მოვალეა: 1) გამოცხადდეს მომკვლევ პირთან, გამოძიებელთან, პროკურორთან და სასამართლოში; 2) მისცეს ობიექტური დასკვნა მის წინაშე დასმულ კითხვებზე; 3) ჩაატაროს სრული და ყოველმხრივი გამოკვლევა თავისი სპეციალური ცოდნის ფარგლებში.

ექსპერტს უფლება აქვს: 1) გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის მასალებს, რომლებიც შეეხება ექსპერტიზის საგანს;

2) აღძრას მოკვლევის ორგანოს, გამოძიებლის, პროკურორის ან სასამართლოს წინაშე შუამდგომლობა, რათა მას გადაეცეს დამატებითი მასალები, რაც საჭიროა დასკვნის მისაცემად;

3) დაეწროს პროკურორის, გამოძიებლის და მომკვლევ პირის ნებართვით ბრალდებულის ან მოწმის დაკითხვას და მისცეს მათი ნებართვით შეკითხვები ბრალდებულს და მოწმეს;

4) უარი თქვას დასკვნის მიცემაზე, თუ მისთვის წარდგენილი მასალები საკმარისი არ არის დასკვნის მისაცემად; ან თუ მას მიაჩნია, რომ არა აქვს ამისათვის საკმარისი ცოდნა (73-ე მუხლი);

5) მოითხოვოს გამოცხადებასთან დაკავშირებით გაწეული ხარჯების ანაზღაურება და გასამრჯელო თავისი მოვალეობათა შესრულებისათვის, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამ მოვალეობას ექსპერტი სამსახურეობრივი დავალებით ასრულებს (106-ე მუხლი);

6) საჭიროების შემთხვევაში გასცეს პასუხი ისეთ დამატებით კითხვებზე,

რომლებიც მის წინაშე დასმული არ იყო, თუ კი ამის საშუალებას იძლევა ექსპერტიზის მასალები (192-ე, 290-ე მუხლები).

ახალი კოდექსი ავალდებულებს საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს, რათა მათ დააკმაყოფილონ პროცესის მონაწილის შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ, თუ გარემოებებს, რომელთა დადგენის შესახებ შუამდგომლობენ პროცესის მონაწილენი შეიძლება მნიშვნელობა ჰქონდეს საქმისათვის. გამომძიებელი ვალდებულია ასეთი შუამდგომლობა განიხილოს სამი დღე-ღამის განმავლობაში, ხოლო უარის თქმის შემთხვევაში გამოიტანოს სათანადო დასაბუთებული დადგენილება მოტივების აღნიშვნით, რის შესახებაც ეცნობოს პირს, რომელმაც განაცხადა შუამდგომლობა (მუხლი 138-ე). ანალოგიურად სწყვეტს აღნიშნულ საკითხს სასამართლოც.

279-ე მუხლის თანახმად სასამართლომ უნდა განიხილოს შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და დაუყოვნებლივ გამოიტანოს ამ საკითხზე დასაბუთებული განჩინება.

სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების პროცესუალურ საბუთს წარმოადგენს გამომძიებლის დადგენილება ან სასამართლოს განჩინება. ამიტომაც ამ საბუთების სწორედ შედგენას დიდი მნიშვნელობა აქვს ექსპერტიზის სწორად და ოპერატიულად ჩატარებისათვის. აქედან გამომდინარე, ახალმა კოდექსმა სისხლის სამართლის ძველი საპროცესო კოდექსისაგან განსხვავებით 184-ე მუხლში ჩამოაყალიბა ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს დადგენილება (განჩინება) ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ. ძველი კოდექსისაგან განსხვავებით, ახალმა კანონმა 253-ე მუხლში პირდაპირ მიუთითა, რომ განჩინება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ სასამართლომ უნდა

გამოიტანოს, სათანადო ოთახში არა სასამართლოს სხდომაზე.

სრულიად ახალია და პრინციპიალურად სწორია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში 186-ე მუხლის შეტანა, რომელიც ეხება ნიმუშების მიღების საკითხს ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ ძველ კანონში არ იყო ანალოგიური მუხლი, რაც ზოგჯერ იწვევდა გაუგებრობას, ვინაიდან არ არსებობდა სამართლებრივი ნორმა, რომლის საფუძველზეც საგამომძიებლო და სასამართლო ორგანოებს შეეძლოთ სათანადო პირისათვის ჩამოერთვათ ხელწერის ნიმუშები, თითის ანაბეჭდები ან სხვა საჭირო ნიმუშები ექსპერტიზის ჩატარებლად. ახალმა კანონმა ეს ნაკლი გამოასწორა. 186-ე და 290-ე მუხლების თანახმად გამომძიებელს, სასამართლოს უფლება აქვს ჩამოართვას ბრალდებულს, ეჭვმიტანილს, დაზარალებულს, მოწმეს ხელწერის, კვალის ან სხვა ნიმუშები, რაც საჭიროა შედარებით გამოკვლევისათვის, კოდექსი ავალდებულებს გამომძიებელს სასამართლოს აღნიშნული მოქმედების ჩასატარებლად გამოიტანონ სპეციალური დადგენილება (განჩინება) და შეადგინონ ამის შესახებ სათანადო ოქმი 96-ე, 186-ე, 290-ე მუხლებით დადგენილი წესის გათვალისწინებით.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პრაქტიკის, სსრ კავშირის პროკურატურის მითითებების და აგრეთვე პრაქტიკის განზოგადოების საფუძველზე ახალმა კოდექსმა დაწვრილებით ჩამოაყალიბა პროცესის მონაწილეთა უფლებები სასამართლო ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით. კერძოდ იგი ფართო უფლებებს ანიჭებს ბრალდებულს (სამართალში მიცემულს) ექსპერტიზის დანიშვნის, ჩატარებისა და შეფასებასთან დაკავშირებით. ეს უფლებები იმაში გამოიხატება, რომ ბრალ-

დებულს (სამართალში მიცემულს) შეუძლია: 1) იშუამდგომლოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ; 2) მიუთითოს პირადად ექსპერტზე, რომელმაც უნდა ჩატაროს ექსპერტიზა, 3) წერილობით შეადგინოს ის კითხვები, რომელზედაც მას სურს, რომ ექსპერტმა გასცეს პასუხი, 4) წარუდგინოს ექსპერტს ჩასატარებლად დამატებითი მასალები, 5) დაათვალიეროს ექსპერტიზის ობიექტები და გამოთქვას ამასთან დაკავშირებით თავისი იშუამდგომლობა, 6) მისცეს ახსნა-განმარტება ექსპერტს საჭირო საკითხებზე, 7) საჭიროების შემთხვევაში დაესწროს გამოძიებლის (სასამართლოს) ნებართვით ექსპერტიზის ჩატარებას, 8) განაცხადოს ექსპერტის აცილების შესახებ, 9) ითხოვოს ექსპერტის დაკითხვის შესახებ, 10) გაეცნოს ექსპერტის დაკითხვის ოქმს, 11) პირადად გაეცნოს ექსპერტიზის მასალებს და დასკვნას, 12) იშუამდგომლოს დამატებითი, ან განმეორებითი ექსპერტის დანიშვნის შესახებ, 13) პირადად მისცეს ექსპერტს შეკითხვები, 14) იშუამდგომლოს ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ გამოძიების დამთავრების დროს, საქმის მასალების გაცნობასთან დაკავშირებით, 15) იშუამდგომლოს ექსპერტის სასამართლო დარბაზიდან გაყვანის შესახებ.

კანონის თანახმად სასამართლო, პროკურორი, გამოძიებელი და მომკვლვევი პირი მოვალენი არიან, განუმარტონ საქმეში მონაწილე პირებს მათი უფლებები ექსპერტიზის ჩატარებასთან დაკავშირებით და უზრუნველყონ ამ უფლებების რეალური განხორციელების შესაძლებლობა. ეს წესი გამოძინარეობს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მოთხოვნიდან. 187-ე მუხლში კი პირდაპირ ნათქვამია, რომ გამოძიებელი ვალდებულია გააცნოს ბრალდებულს დადგენილება ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ და განუმარტოს მას, ამ მუხლით დადგენილი მისი უფლებები. 187-ე მუხლის ამ მოთხოვნის

შესრულებას გამომძიებელი აღნიშნავს ექსპერტიზის დანიშვნის დადგენილებაში, რაც დასტურდება ბრალდებულის ხელმოწერით.

ახალი კანონის 52-ე, 187-ე მუხლების მოთხოვნის დაცვა იძლევა იმის სრულ გარანტიას, რომ პროცესის მონაწილეები რეალურად გამოიყენებენ კანონით მინიჭებულ ყველა უფლებებს სასამართლო ექსპერტიზის დანიშვნისა და ჩატარების დროს.

ექსპერტის დასკვნა არის სასამართლო მტკიცების დამოუკიდებელი წყარო. ამიტომ ყველა ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ექსპერტის დასკვნა, მოცემული უნდა იყოს კანონში. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ძველ საპროცესო კოდექსში ამის შესახებ საერთოდ არაფერი არ იყო ნათქვამი. ამჟამად, ეს ნაკლი გამოსწორებულია. ახალი კოდექსის 192-ე მუხლში მითითებულია ყველა იმ ძირითად მოთხოვნებზე, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყველა სახის ექსპერტის დასკვნა. კანონის ასეთი მითითება გააადვილებს ექსპერტის დასკვნის სწორ და კრიტიკულ შეფასებას, მეორეს მხრივ კი საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ექსპერტებიდან უფრო სრული და დასაბუთებული დასკვნა.

ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ ახალმა კოდექსმა დადებითად გადაჭრა ისეთი სადაო საკითხი, როგორცაა ექსპერტის უფლება საჭიროების შემთხვევაში დამატებით გასცეს პასუხი ისეთ კითხვებზე, რომელიც მის წინაშე, ამა თუ იმ მიზეზის გამო, არ იყო დასმული, თუ კი ამის საშუალებას მას აძლევს ექსპერტიზის მასალები. ექსპერტის ასეთი უფლება მოცემულია ახალი კანონის 192-ე და 290-ე მუხლებში.

არანაკლები ყურადღების ღირსია, მეორე სადაო საკითხის დადებითად გადაჭრა ახალ კოდექსში, სახელდობრ: ექსპერტიზის ჩატარების უფლება მანამდე სანამ პირი ბრალდებულის სახით

მიეცემოდეს პასუხისგებაში. პრაქტიკაში არაიშვიათია ისეთი შემთხვევები, რომ პირის ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემა დამოკიდებულია ექსპერტის დასკვნის შედეგებზე. ამიტომ ახალმა კანონმა 194-ე მუხლში დადებითად გადაჭრა აღნიშნული საკითხი და აღნიშნა ამ საგამომძიებლო მოქმედების თავისებურებაც.

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალმა საპროცესო კოდექსმა ექსპერტის დაკითხვას დაუთმო ცალკე მუხლები, როგორც გამოძიების დროს (193-ე მუხლი), ისე სასამართლოში (291-ე მუხლი). ექსპერტის დაკითხვა უნდა მოხდეს იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა ექსპერტის დასკვნის განმარტება, დაზუსტება, ან შევსება. კანონის თანახმად, დაკითხვის დაწყებამდე ექსპერტს უნდა განემარტოს მისი უფლება-მოვალეობანი და იგი გაფრთხილებული იქნას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. პასუხის გაცემაზე უარისათვის და წინასწარი შეცნობით ცრუ პასუხისათვის. გამოძიების დროს ექსპერტის დაკითხვა ფორმდება სპეციალური ოქმით, სასამართლოში კი ექსპერტისათვის მიცემული შეკითხვები და მის მიერ გაცემული პასუხი შეიტანება სამსჯავრო სხდომის ოქმში. სასამართლო სხდომაზე ექსპერტს შეკითხვას აძლევს ბრალმდებელი, დაზარალებული, სამოქალაქო მოსარჩლე, სამოქალაქო მოპასუხე, ან მათი წარმომადგენლები, დამცველი და სამართალში მიცემული. მოსამართლეს უფლება აქვს აწარმოოს ექსპერტის დაკითხვა სამსჯავრო გამოძიების ყველა მომენტში (291-ე მუხლი).

იურიდიულ ლიტერატურაში არა ერთხელ იყო დისკუსიის საგნად საკითხი, იმ პირის პროცესუალური მდგომარეობის შესახებ, რომელიც მონაწილეობს და კონსულტაციებს უწევს გამომძიებელს, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და საგამომძიებლო ექსპერი-

მენტის ჩატარების დროს წამოჭრილ სპეციალურ საკითხებზე. ამჟამად, საყოველთაოდ გაზიარებულია აზრი, რომ აღნიშნულ საგამომძიებლო მოქმედებების ჩატარების დროს მონაწილეობას იღებს სპეციალისტი და არა ექსპერტი, ვინაიდან, ეს უკანასკნელი, როგორც პროცესუალური ფიგურა გამოდის სისხლის სამართლის პროცესში, მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მას ჩაბარდება სასამართლოს განჩინება, ან გამომძიებლის დადგენილება ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. ამ სწორმა აზრმა თავისი გამოხატულება პპოვა ახალი კანონის 179-ე მუხლში, სადაც ნათქვამია, რომ „გამომძიებელს შეუძლია მოიწვიოს დათვალიერებაში მონაწილეობისათვის სპეციალისტები“.

სისხლის სამართლის საქმეების სასამართლოში განხილვის დროს, ექსპერტის მონაწილეობა სავალდებულო არ არის. საკითხს, ექსპერტის სასამართლო პროცესზე გამოძახების შესახებ, სწყვეტს მოსამართლე, სისხლის სამართლის საქმის სამსჯავრო სხდომაზე განსახილველად მომზადებისას (231-ე მუხლი). უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტის სასამართლოში გამოძახების შესახებ უშუამდგომლობის აღძვრის უფლება მინიჭებული აქვთ პროცესის მონაწილეებსაც, მგვრამ მათ უნდა დაასაბუთონ, თუ რა საკითხის დასადგენად სურთ მათ ექსპერტის სასამართლოში გამოძახება. თავისთავად იგულისხმება, რომ სასამართლოს უფლება აქვს, მიუხედავად იმისა, აღძრულია თუ არა უშუამდგომლობა, თავისი ინიციატივით გამოიძახოს ექსპერტები და დანიშნოს ექსპერტიზის ჩატარება.

როდესაც ექსპერტი ესწრება სასამართლო სხდომას, სასამართლოს თავმჯდომარე განუმარტავს მას თავის უფლება-მოვალეობებს და აფრთხილებს წინასწარი შეცნობით ცრუ დასკვნის მიცემისათვის პასუხისმგებლობის შესახებ (278-ე მუხლი). გარდა ზემოაღნიშ-



ნულისა, სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა განუმარტოს სამართალში მიცემულ პირს (საჭიროების შემთხვევაში პროცესის სხვა მონაწილეებსაც), ექსპერტის აცილების უფლების შესახებ. საკითხი ექსპერტის აცილების შესახებ წყდება სასამართლოს მიერ, სათათბირო ოთახში და უნდა გაფორმდეს სპეციალური განჩინებით (253-ე მუხლი).

უნდა აღინიშნოს, რომ მოწმისაგან განსხვავებით, ექსპერტი ესწრება და მონაწილეობს სამსჯავრო გამოძიებაში იმ საკითხებზე, რომელიც ეხება ექსპერტიზის საგანს. კანონის თანახმად (მუხლი 290-ე) ექსპერტს, სასამართლოს ნებართვით, შეუძლია მისცეს შეკითხვა სამართალში მიცემულს, დაზარალებულსა და მოწმეებს იმ გარემოებათა გამო, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ, მისი დასკვნის მისაცემად. თავის მხრივ, პროცესის მონაწილეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ წერილობითი სახის შეკითხვები, რომელზედაც ექსპერტმა უნდა გასცეს პასუხი. ასეთი სახის შეკითხვები სასამართლომ უნდა გამოაქვეყნოს და ამის შესახებ უნდა იქნას მოსმენილი პროცესის სხვა მონაწილეთა აზრი. სასამართლო იხილავს ამ შეკითხვებს, განარიდებს ისეთებს, რომლებიც საქმეს არ ეხება, ან ექსპერტის კომპეტენციას არ ეკუთვნის და აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში აყალიბებს ახალ შეკითხ-

ვებს. შეკითხვები, რომელიც ექსპერტმა უნდა განიხილოს და პასუხი გასცეს ქვეყნდება თავმჯდომარის მიერ და გადაეცემა ექსპერტებს წერილობითი სახით.

ექსპერტი, როდესაც ეს შესაძლებელია, ატარებს გამოკვლევას და ადგენს თავის დასკვნას სასამართლოში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. სხვა შემთხვევაში, როდესაც ექსპერტის წინაშე დასმული საკითხების გადასაწყვეტად საჭიროა ლაბორატორიული გამოკვლევის ჩატარება, დაკვირვება, ან დიდი დრო, ექსპერტიზა ტარდება სათანადო დაწესებულებებში, რაც იწვევს სასამართლო პროცესის მსვლელობის შეწყვეტას. ყველა შემთხვევაში, გამოკვლევის შედეგად ექსპერტი ადგენს თავის წერილობით დასკვნას, რომელიც 290-ე მუხლის თანახმად გამოქვეყნებული უნდა იქნეს ექსპერტის მიერ სამსჯავრო სხდომაზე, რაც ექსპერტის წინაშე დასმულ კითხვებთან ერთად ერთ-ერთს საქმეს. თავისთავად იგულისხმება, რომ დასკვნის გამოქვეყნების შესახებ, ექსპერტს შეიძლება მიეცეს შეკითხვები 291-ე მუხლის თანახმად.

ასეთია სასამართლო ექსპერტიზის ძირითადი საკითხები, რომელიც მოცემულია საქართველოს სსრ სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში.

სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში დამსჯელის აღმსარებლის ერთი საკითხის გამო

საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მნიშვნელოვნად აფართოებს დამსჯელის როლს სისხლის სამართლის სასამართლო წარმოებაში, იძლევა დაცვის უფლების რეგლამენტაციას, როგორც წი-

ნასწარ, ისე სამსჯავრო გამოძიების სტადიაში. დამცველი ასევე ცალკეულ შემთხვევებში დაშვებულია სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმეთა განხილვაში.

კანონით მოხაზულ საქმეების იმ სფერო-

როში, სადაც დაშვებულია დამცველის მონაწილეობა სისხლის სამართლის საქმეთა განხილვისას, სასამართლო პრაქტიკას, ჯერჯერობით არ მოუქცევია მთელი რიგი საქმეებისა, რომლებსაც სასამართლოები საერთო წესით იხილავენ.

ასეთია საქმეები განაჩენის აღსრულების განვადების შესახებ, ავადმყოფობის გამო სასჯელის მოხდისაგან განთავისუფლების თაობაზე, სასჯელისაგან ვადამდე და პირობით — ვადამდე განთავისუფლებისა და სასჯელის შეცვლის შესახებ უფრო მსუბუქი სასჯელით, თავისუფლების აღკვეთის მოხდის რეჟიმის შეცვლის, ნასამართლობის მოხსნისა და სხვ., რომლებიც წარმოებს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 373-376 და 381 მუხლების შესაბამისად.

ასეთ საქმეთაგან ერთგვარ გამოწვევის შეადგენს საქმეები ნასამართლობის მოხსნის შესახებ, რომლებზედაც პრაქტიკამ დასაშვებად აღიარა დამცველის მონაწილეობა. სხვა საქმეები კი, როგორც წესი, დამცველის მონაწილეობის გარეშე ტარდება.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა გასული წლის 28 თებერვალს — 4 მარტს განიხილა რა სასჯელისაგან პირობით-ვადამდე განთავისუფლების შესახებ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის საკითხი, აღნიშნა მთელი რიგი ნაკლოვანებანი სასამართლოების საქმიანობაში და შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებანი მისცა სასამართლოებს.

ამ მუშაობაში ნაკლოვანებათა ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია სასამართლოების მხრივ ამ საქმეებისადმი ერთგვარი ფორმალური მიდგომა. „ეს მაშინ, როცა არსებითად ეს საქმეები სხვა ჩვეულებრივი სისხლის სამართლის

საქმეებიდან არაფრით განსხვავდებიან და განხილულ უნდა იქნან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყველა მოთხოვნათა დაცვით“.¹

ამასთან დაკავშირებით საფუძველს არ იქნება მოკლებული თუ ვიტყვით, რომ სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა დამცველის მონაწილეობის გარეშე, არ შეიძლება ჩაითვალოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ყველა მოთხოვნათა დაცვად.

ზემოთ აღნიშნულ კატეგორიის საქმეებზე დამცველის მონაწილეობის შესახებ, თუმცა ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში სპეციალურად არაფერია თქმული, მაგრამ ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტისათვის სრული საფუძველი არსებობს.

საქართველოს სსრ ახალი საპროცესო კოდექსით დეტალურადაა რეგლამენტირებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენების, განჩინებებისა და დადგენილებების გადასინჯვის საკითხები. ამითვე გადაჭრილია ასეთ საქმეებში დამცველის მონაწილეობის საკითხიც.


საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 388 მუხლში აღნიშნულია: „სასამართლოს, რომელიც იხილავს საქმეს სასამართლო ზედამხედველობის წესით, უფლება აქვს, საჭირო შემთხვევაში, დაიბაროს სამსჯავრო სხდომაზე მსჯავრდებული, ან გამართლებული ან მათი დამცველი“.

ახალ საპროცესო კოდექსში ამ მუხლის შეტანა, ჩვენის აზრით, ნათელს ფენს ზემოთ დაყენებულ საკითხს.

სასამართლო ზედამხედველობის წესით წარმოებულ საქმეებზე დამცველის დამწევა სრულიად ახალია, მას „ძველი“ კოდექსი არ იცნობდა. კანონმდებელს საჭიროდ რომ მიეჩნია ასეთ საქმეებზე

¹ И. Гришанин, „Очередной Пленум Верховного Суда СССР“, „Советская Юстиция“, 1961. № 7.

Л. Смирнов. „Важные руководящие разъяснения“ Пленума Верховного Суда СССР. „Социалистическая законность“. 1961. № 4.



დამცველის მონაწილეობა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, აუცილებელიც არ იქნებოდა ამ საკითხის სპეციალური რეგლამენტირება ახალი კანონით.

რით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ სასამართლო ზედამხედველობის წესით წარმოებულ საქმეებზე დამცველის მონაწილეობა ერთგვარ ჩარჩოებშია ჩაყენებული; დამცველი დაიშვება სასამართლოს შეხედულებისამებრ მხოლოდ ზოგიერთ საქმეებზე და ისიც მხოლოდ ზეპირი განმარტებისათვის?

ჩვეულებრივად, როგორც წესი, სისხლის სამართლის საქმეების სწორად გადაწყვეტისათვის საკმარისი უნდა იყოს მათი წარმოება პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოში. სასამართლო ზედამხედველობის წესით საქმეების განხილვისას ყველა შემთხვევაში დამცველის დაშვება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ფაქტიურად მესამე ინსტანციის შემოღების მსგავსი იქნებოდა. ასეთ საქმეებზე დამცველის დაშვება „საჭირო შემთხვევაში“ უნდა გულისხმობდეს ისეთ შემთხვევას, სადაც საქმეზე ჰეშმარიტების დადგენისათვის ფაქტების იურიდიული შეფასება და ზოგჯერ თვით ამ ფაქტების დაზუსტებაც, აზრთა სხვადასხვაობისათვის ფართო სარბიელს იძლევა და ამაში დამცველს შეუძლია სამსახური გაუწიოს მართლმსაჯულების საქმეს.

რაც შეეხება საქმეებს, რომლებიც საპროცესო კოდექსის 373 — 376 და 381 მუხლების შესაბამისად წარმოებს სასამართლოში, ისინი არ წარმოადგენენ სასამართლო ზედამხედველობის წესით განსახილველ საქმეებთან გათანაბრებულს და თუმცა ამ შემთხვევაში საქმე არა გვაქვს არც ბრალდებულთან და არც სამართალში მიცემულთან, პირისაც ეს საქმე შეეხება, შეიძლება საჭი-

რობდეს მისი ინტერესების დაცვისათვის ციურ დაცვას.

ასეთი საქმეები, ზოგჯერ არასრულწლოვანებსაც შეეხება და მოითხოვს ისეთი ფაქტების დადგენას, რაც თავისთავად გამორკვეული და დაზუსტებული როდი მიდის სასამართლომდე. ასეთი ფაქტებია მაგალითად: დაამტკიცა თუ არა მსჯავრდებულმა შრომისაღში პატიოსანი დამოკიდებულებით გამოსწორება, ავადმყოფობის გამო სასჯელისაგან განთავისუფლების შემთხვევაში, ხომ არ აქვს ადგილი თვითდაზიანებას და სხვა, რომელთა ჩამოთვლაც შორს წავიყვანდა.

ასეთ და მსგავს საკითხებს ამ კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით სასამართლო წყვეტს პროცესზე ჩვეულებრივად პროკურორის მონაწილეობით, უფარდებს მას სისხლის სამართლის კანონს და შეუსაბამო იქნებოდა მსჯავრდებულისათვის დაცვის უფლების აღკვეთა.

აქვე უადგილო არ იქნება აღვნიშნოთ, რომ სასამართლო პრაქტიკას ჯერ ათვისებული არ აქვს თვით სასამართლო ზედამხედველობის წესით წარმოებულ საქმეებზე დამცველის მონაწილეობაც. თუმცა იგი პირდაპირაა გათვალისწინებული კანონით.

საჭიროა გაირკვეს კატეგორია იმ საქმეებისა, რომლებზედაც დაიშვება დამცველი. ამასთან, რამდენადაც დამცველი საერთოდ საქმეზე მონაწილეობს დაინტერესებულ პირის მოთხოვნის შესაბამისად, საჭიროა გაირკვეს როგორ უნდა იქნას გაგებული კანონში ნახმარი გამოთქმა „დაიბაროს“ (სასამართლომ) დამცველი და სხვა საკითხები, რაც დაკავშირებულია ასეთ საქმეებზე დაცვის უფლების პრაქტიკულად განხორციელებასთან.

გ. ლეჟავა

ადვოკატი.

ხელმოწერის კრიმინალისტური ექსპერტიზის შეფასების ერთი საკითხისათვის

კრიმინალისტური ლაბორატორიების პრაქტიკაში ყველაზე უფრო გავრცელებულია ხელმოწერის ექსპერტიზა, რის გამოც სასამართლო-პროკურატურის მუშაკებს ხშირად უხდებოდათ მისი შეფასება.

ხელმოწერის კრიმინალისტური ექსპერტიზის შეფასების საკითხები განხილულია საბჭოთა კრიმინალისტების შრომებში. ამ სტატიაში ჩვენ გვინდა შევჩერდეთ და კრიტიკულად განვიხილოთ ერთი ავტორის მიერ გამოთქმული მოსაზრება ხელმოწერის კრიმინალისტური ექსპერტიზის დასკვნის შეფასების შესახებ.

იურიდიული მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ა. სელივანოვი იხილავს რა ექსპერტ-კრიმინალისტის დასკვნის შეფასების საკითხს მოსამართლისა და გამომძიებლის მხრივ, წერს: „განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო იმ დასკვნის შეფასებისას როდესაც მცირე ხელნაწერია გამოკვლეული. საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ ის გარემოება, რომ რამდენიმე შტრიხისა ან ორი-სამი ასოს შემსრულებლის დადგენა კატეგორიულ ფორმაში ხელწერის ექსპერტიზის საშუალებით შეუძლებელია“.¹

ნ. ა. სელივანოვის ეს მტკიცება არ შეიძლება მართებულად ჩაითვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ასოების რაოდენობას ხელმოწერის კრიმინალისტური ექსპერტიზის ჩატარებისას დიდი მნიშვნელობა აქვს და ამას ჩვენ არ ვუარყოფთ, მაგრამ მხოლოდ რაოდენობა არ არის გადაწყვეტი ფაქტორი საკითხის გადაწყვეტის დროს.

ექსპერტ-კრიმინალისტს არა აქვს და


არც შეიძლება ქონდეს ასოების წინასწარ დადგენილი რაოდენობა, რომლის დროსაც შეიძლება კატეგორიული დასკვნის მიცემა. აქ ყველაფერი დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე და იმაზე თუ რაოდენ ინდივიდუალურია ხელის ნიშნების მიხედვით ესა თუ ის ასო. არის შემთხვევა როდესაც ხელმოწერა ექვსი-შვიდი ასოსაგან შესდგება, მაგრამ მის მიმართ რაიმე გარკვეული დასკვნის გამოტანა შეუძლებელია, რადგანაც ეს ხელმოწერა პრიმიტიული აგებულებისაა, უბრალოა შესრულების მხრივ, დაბალი გამომუშავებისა და არ შეიცავს ხელის ინდივიდუალურ-მყარ ნიშნებს. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ხელმოწერა ორი ასოსაგან შედგება, მაგრამ მასში აღბეჭდილია ინდივიდუალური ნიშნების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ის ერთობლიობა, რაც სავსებით საკმარისია კატეგორიული დასკვნის მისაცემად.

ამის დასადასტურებლად მოვიყვანო რამდენიმე მაგალითს ჩვენი ლაბორატორიის პრაქტიკიდან:


მოქ. ა-მ უარყო მისი სახელით შესრულებული ხელმოწერა ცნობაზე, რის გამოც პროკურატურის გამომძიებელმა დანიშნა ხელმოწერის კრიმინალისტური ექსპერტიზა, გასარკვევად იმისა — იყო თუ არა ეს ხელმოწერა შესრულებული თვით ა-ს მიერ.

გამოსაკვლევი ხელმოწერა მაღალი გამომუშავებისა და რთული აგებულების იყო, შესრულებული ჩქარ ტემპში, თავისუფალი მოძრაობებით. იგი შესდ-

¹ იხ. Н. А. Селиванов — „Оценка криминалистической экспертизы почерка“ („Советская криминалистика на службе следствия“) вып. девятый, стр. 161. Москва. Госюриздат, 1957 г.





გებოდა ასო „А“-სა და რამდენიმე შტრიხისაგან (იხ. ფოტო № 1).



ფოტო № 1, გამოსაკვლევი ხელმოწერა ა-ს სახელით ცნობაზე.

ამ ხელმოწერის გამოკვლევითა და მისი შედარებით ა-ს ხელმოწერის ნიმუშებთან მათ შორის დადგენილ იქნა თანდამთხვევები ხელის საერთო და კერძო ინდივიდუალურ ნიშნებში.

აღნიშნულმა თანდამთხვევებმა, ერთობლივად აღებულმა, საფუძველი მოგვცეს გაგვეკეთებინა კატეგორიული დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს ხელმოწერა შესრულებული იყო ა-ს მიერ (იხ. ფოტო № 2 და № 3).



ფოტო № 2 და № 3, ა-ს ხელმოწერის ნიმუშები.


კრიმინალისტური ექსპერტიზის ეს დასკვნა მთლიანად დაემთხვა გამოძიებით შეკრებილ მასალებს და დიდი მნიშვნელობა ქონდა საქმისათვის. ასე რომ, მიუხედავად იმისა, ხელმოწერა ერთი ასოსა და რამდენიმე შტრიხისაგან შედგებოდა, საგნებით შესაძლებელი გახდა მის მიმართ კატეგორიული დასკვნის მიცემა.

მოვიყვან მეორე მაგალითს ჩვენი პრაქტიკიდან:

ქ. თბილისის ერთერთ სახლზო სასამართლოდან მიღებულ იქნა სამოქალაქო საქმე ტ-ს სარჩელისა გამო გ-სთან. გამოკვლევის ობიექტს წარმოადგენდა საცხოვრებელი ფართობის პასპორტი, რაზედაც ხელმოწერას უარყოფდა მოპასუხე გ.

ექსპერტიზას უნდა გადაეწყვიტა საკითხი — გ-ს სახელით არსებული ხელმოწერა პასპორტზე, რომელიც შვიდი ასოსაგან შესდგებოდა, შესრულებული იყო თუ არა თვით გ-ს მიერ.

(იხ. ფოტო № 4).



ფოტო № 4, გამოსაკვლევი ხელმოწერა გ-ს სახელით პასპორტზე.

ამ ხელმოწერის გამოკვლევითა და მისი შედარებით გ-ს ხელმოწერის ნიმუშებთან, მათ შორის ვერ იქნა დადგენილი გაიგივებისათვის აუცილებელი ხელის ინდივიდუალური — მყარი ნიშნების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ერთობლიობა, რადგანაც თვით გამოსაკვლევი ხელმოწერა დაბალი გამომუშავებისა და პრიმიტიული აგებულების

იყო, შესრულებული იყო ნელ ტემპში, მარტივად, ხოლო ასოები არ შეიცავდნენ ინდივიდუალურ ნიშნებს.

ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ გამოსაკვლევი ხელმოწერა შეიძლება ასოსაგან შესდგებოდა, ვერ იქნა გადაწყვეტილი საკითხი შესრულებული იყო თუ არა თვით გ-ს ან სხვა პირის მიერ.

კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ესეც საკმარისია იმის დასადასტურებლად, რომ მხოლოდ ასოების რაოდენობას არა აქვს დამწყვეტი მნიშვნელობა და რომ საკითხის გადაწყვეტა ყოველ კონკრეტულ ხელმოწერაზე დამოკიდებული.

ამიტომ დასახელებული ავტორის კა-

ტეგორიულ ფორმაში გამოთქმულ საზრება იმის შესახებ, რომ რამდენიმე შტრიხისა ან ორი-სამი ასოს შემსრულებლის დადგენა კატეგორიულ ფორმაში ხელის წერაში ექსპერტიზის საშუალებით შეუძლებელიაო, მართებულად არ მიგვაჩნია, უფრო მეტიც — მას შეუძლია შეცდომაში შეიყვანოს სასამართლო-პროკურატურის მუშაკები ხელმოწერის კრიმინალისტური ექსპერტიზის აქტის, როგორც მტკიცების ერთ-ერთი სახის შეფასების დროს.

ო. მგელაძე,

თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი.

ხილ-ბოსტნეულის კონსერვების მიწოდების განსაკუთრებული პირობების მე-9 პუნქტის შეფარდების საქმისათვის

ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა კუთხეში იგზავნება საქართველოს რესპუბლიკაში დამზადებული საკონსერვო პროდუქცია, რის გამოც, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში დიდი რაოდენობით შემოდის საკონსერვო პროდუქციის მიწოდებასთან დაკავშირებული ქონებრივი დავები. ამ კატეგორიის დავებიდან მხარეებს შორის გაუგებრობას იწვევს ხილ-ბოსტნეულის კონსერვების მიწოდების განსაკუთრებული პირობების მე-9 პუნქტის გამოყენების საკითხი, რომელიც შეეხება გზაში ტრანსპორტირების დროს პროდუქციის მოსალოდნელი მტკრების დანაკარგის დასაფარავად 0,1 პროცენტის დათმობის შეფარდებას.

როგორც განხილული საქმეები გვიჩვენებს, მხარეთა ერთი ნაწილი სავსებით არ იცნობს და არც იყენებს განსაკუთრებული პირობების აღნიშნულ პუნქტს, ხოლო უმრავლესობას არასწორად ესმის ამ პუნქტიდან გამომდინარე მოთხოვნები.

პირველ ყოვლისა, სადაა რა თანხიდან უნდა მოახდინოს მიმწოდებელმა დათმობის პროცენტის გაანგარიშება.

უმრავლეს შემთხვევაში, სადაო ანგარიშებში დათმობა გაანგარიშებულია მხოლოდ საქონლის ღირებულების თანხიდან და მხედველობაში არ არის მიღებული მინის ტარის ღირებულება. ეს გარემოება იმით უნდა ავსხნათ, რომ თვით განსაკუთრებული პირობების მე-9 პუნქტი მითითებს დათმობის გაანგარიშებაზე საქონლის საცალო ფასების ღირებულებიდან და არაფერს ამბობს ტარის ღირებულებაზე. მაგრამ ტარის ღირებულებიდან დათმობის თანხის გაანგარიშების საკითხი გამომდინარეობს თვით ამ პუნქტის შინაარსიდან, რომლის მიხედვით მიმღებს დათმობა ეძლევა მინის ტარაში მოთავსებული საკონსერვო პროდუქციის მტკრევაზე და მათსადაამე, შეუძლებელია გაანგარიშების დროს არ გამოვიდოდეთ მინის ქილების ღირებულებიდანაც, რომელიც არ შედის საქონლის ფასში და რომლის გადახდევინება ანგარიშებში ხდება ცალკე, საცალო ფასებს ზევით.

განსაკუთრებული პირობების მე-9 პუნქტის გამოყენებისას ისმება კითხვა: თუ სადაო ან-

გარიშში მიმწოდებლის მიერ არ არის მიცემული დათმობა, აქვს თუ არა უფლება მყიდველს მოითხოვოს ამ თანხის გადახდევინება. ასეთ შემთხვევაში მიმღებს აქვს უფლება განაცხადოს პრეტენზია გზაში საკონსერვო პროდუქციის მტკრების დანაკარგის დასაფარავად დადგენილი დათმობის თანხის მიღებაზე, ხოლო პრეტენზიის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შემთხვევაში — წარადგინოს ძიება დადგენილი ქვემდებარეობის მიხედვით, მიუხედავად იმისა ჰქონდა თუ არა ადგილი ფაქტობრივ მტკრევას.

ზოგჯერ მიმღები ორგანიზაციები სასარჩელო განცხადებაში მოითხოვენ ფაქტობრივ მტკრების ღირებულების გადახდევინებას, რომელიც ბევრად აღემატება დათმობის თანხის ოდენობას, იმ მოტივით, რომ მიმწოდებელმა სადაო ანგარიშში არ გაითვალისწინა დათმობა მტკრევაზე. ეს მოთხოვნა უსწოროდ უნდა ჩაითვალოს. არბიტრაჟმა სარჩელი უნდა დააკმაყოფილოს მხოლოდ დათმობის თანხის ოდენობის ნაწილში, ვინაიდან ანგარიშში დათმობის პროცენტის გაუთვალისწინებლობა განხილულ უნდა იქნას როგორც მიმწოდებლის შეცდომა და შევებული ანგარიშის გამოწერის დროს.

აქედან გამომდინარეობდა სახელმწიფო არბიტრაჟი, როდესაც პალასოვსკის რაიკავშირის ძიება სამტრედიის საკონსერვო კომბინატის მიმართ ფაქტობრივ მტკრების ღირებულების ანაზღაურებაზე, პირველის მხრივ დათმობის პროცენტის მიუღებლობის გამო, დააკმაყოფილა მხოლოდ დათმობის თანხის ფარგლებში.

როგორ უნდა გადაწყდეს დავა, როდესაც ექსპერტისა და მიღების აქტებით დადგენილია მიმწოდებლის აშკარა ბრალი ნორმის ზევით მტკრევაში, რაც გამოიხატება ტარის უვარგისობაში, ტარის არასათანადო შეფუთვაში და სხვა. აქვს თუ არა უფლება მიმღებს ასეთ შემთხვევაში წარუდგინოს მიმწოდებლებს და საკონსერვო მრეწველობის საწარმოებს პრეტენზია 0,1 პროცენტის ზევით ზარალის ანაზღაურებაზე.

თუ მიმწოდებელი საკონსერვო პროდუქციას გზავნის არასათანადო ტარაში ან ცუდად შეფუთულს, მყიდველს უფლება აქვს გამოიყენ-

ნოს მიმწოდებლის მიმართ სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ დებულების 65-ე პუნქტით გათვალისწინებული სანქციები. ძიება ფაქტიური მტვრევის ღირებულების ანაზღაურებაზე ვერ იქნება დამაყოფილებელი, ვინაიდან ხილ-ბოსტნეულის კონსერვების მიწოდების განსაკუთრებული პირობები არ ითვალისწინებენ რაიმე გამოაკლისს, როდესაც მტვრევა 0,1 პროცენტს აღემატება.

აღნიშნულით ხელმძღვანელობდა სახელმწიფო არბიტრაჟი გადაწყვეტილების გამოტანის დროს, რომლითაც „როსბაკალიას“ ვოლოგდის კანტორას უარი ეთქვა ძიებაზე ქუთაისის საკონსერვო ქარხნის მიმართ კონსერვების ფაქტიური მტვრევის ღირებულების ანაზღაურების შესახებ. მოსარჩელე თავის ძიებას ასაბუთებდა იმით, რომ საქმის მასალების მიხედვით ნორმის ზევით მტვრევა მოხდა ტარის უვარგისობისა და ჩატვირთვის დაუდევრობის გამო, ე. ი. მოპასუხის ბრალით.

დაბოლოს, უნდა გავარკვიოთ დათმობის გამოყენების საკითხი, როდესაც პროდუქცია გაგზავნილია გამცილებლებით. ასეთ შემთხვევაში, ვინაიდან მიმღებზე საკუთრების უფლება გადადის გამცილებლის მიერ საქონლის გადაცემის მომენტში, მიმწოდებელსა და მყიდველს შორის ანგარიშსწორება ხდება ფაქტიურად ჩა-

ბარებული საქონლის რაოდენობიდან გამომდინარე და განსაკუთრებული პირობების მე-8 პუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებულია მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე ოცი დღის განმავლობაში მოახდინოს გადაანგარიშება მიმწოდებელთან, რის გამოც განსაკუთრებული პირობების მე-9 პუნქტით გათვალისწინებული დათმობა მყიდველს არ მიეცემა.

მიუხედავად ამისა, ხშირია შემთხვევა, როდესაც მიმწოდებლების მხრივ ადგილი აქვს აღნიშნული წესის დარღვევას. მაგალითად, ბოლნისის და მანარაძის საკონსერვო ქარხნების ანგარიშებში მიცემულია დათმობა მტვრევაზე, მაშინ როდესაც ორივე შემთხვევაში საქონელი გაგზავნილია გამცილებლებით.

ხილ-ბოსტნეულის კონსერვების მიწოდების განსაკუთრებული პირობების მე-9 პუნქტის სწორად გაგება უეჭველად შეამცირებს ამ პროდუქციის მიწოდებიდან გამომდინარე დავებს და სახელმწიფო არბიტრაჟში უსაფუძვლო სარჩელების აღძვრის შემთხვევებს.

ლ. ჩორბოლაშვილი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის სახელმწიფო არბიტრი.



მის გულში კვლავ განახლებულია

ნარკვევი

1

— შესანიშნავი პროპაგანდისტი და გულისხმიერი პარტიული მუშაკია ამხანაგო სერგო, აი როგორ დახასიათებას აძლევენ ბაქოს მეთერთმეტე არმიასთან ჩამოყალიბებული ქართული პოლკის მეთაურები. — აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა სერგო ორჯონიკიძეს წითელღერძიანი ქალაქი გადააწოდა.

სერგომ დინჯად გადაისვა უღვაშებზე ხელი, მიწოდებული ქალაქი თავის ხავერდოვანი ბარიტონით ნელა ჩაიკითხა.

— „ბაქოს მეთერთმეტე არმიასთან ჩამოყალიბებული ქართული პოლკის წერა-კითხვის მასწავლებელმა ნატალია ერმოლოვის ასულმა ლომთათიძემ მოკლე ხანში დაიმსახურა პოლკის შემადგენლობის სიყვარული და პატივისცემა. მან საუკეთესოდ, მაღალ დონეზე დააყენა პოლკში წერა-კითხვის სწავლების საქმე. ამხ. ნ. ლომთათიძე აგრეთვე გულისხმიერი ამხანაგი და მეგობარია. მისი მართალი სიტყვისა სჯერათ პოლკში.“

გთხოვთ დატოვოთ ნ. ე. ლომთათიძე პოლკის შემადგენლობაში

პოლკის პოლიტიკური კომისარი“.

— ყოჩაღი ქალი ყოფილა. სწორედ ასეთი კომუნისტები გვჭირდება ამჟამად საქართველოში სამუშაოდ, რომ უღლეური მენშევიკების ნამდვილი სახე დაანახონ ქართველ ხალხს.

სერგომ გაიარ-გამოიარა კაბინეტში და ფანჯარასთან გაჩერდა. იგი ჩაფიქრებული გასცქეროდა ბაქოს პანორამას. შორს ჰორიზონტზე მოჩანდა ცადაწვდილი ნავთობის კოშკურები.

სიჩუმე ისევ სერგო ორჯონიკიძემ დაარღვია. იგი მობრუნდა და მოსაუბრეს მიმართა:



— მაშ ასე, მოგვიხსენებთ უარი ვუთხრათ პოლკის ხელმძღვანელობას. იქ სხვა ამხანაგი შევარჩიოთ. ამხანაგი ლომთათიძე კი საქართველოში, გურიამი უნდა გაემგზავროს, ქალია, უფრო თავისუფლად შეძლებს მენშევიკურ საქართველოში შესვლას და ამხანაგებთან კავშირის დამყარებას. — სერგო საწერ მაგიდასთან მივიდა, ასანთი აიღო და ჩამქრალ ჩიბუხს მოუკიდა. შემდეგ მტკიცე ხმით წარმოთქვა: — საქართველოში ამჟამად დიდი მუშაობაა ჩასატარებელი. ქართველი ხალხი მალე ამოისუნთქებს მენშევიკების ბატონობისაგან და თბილისში აფრიალდება წითელი დროშა.

— თვითონ ამხანაგი ნატალია ლომთათიძე აქ არის ამხანაგო სერგო, ჩვენს მიერ არის გამოძახებული.

სერგო ორჯონიკიძემ ზარის დილს

თითი დააჭირა. მორიგე წითელარმი-
ელი კარებთან გაჩერდა.

— ამხანაგ ლომთათიძეს სთხოვეთ.

კარები გაიღო და ახალგაზრდა შავ-
გვრემანი ქალი, მორიდებით იქვე გა-
ჩერდა.

სერგო ორჯონიკიძე ღიმილით მიე-
გება შემოსულს და სავარძელზე მიუ-
თითა.

— აი თურმე როგორი ყოფილხართ,
ყოჩაღი, გამბედავი. სწორედ ასეთები
სჭირდება ამჟამად რევოლუციას. —
სერგომ ჩიბუხი ხელის გულზე დაიბერ-
ტყა და ნ. ლომთათიძეს მიმართა, —
დაუყოვნებლივ უნდა გაემგზავროთ სა-
ქართველოში. მართლა, რომელი წლი-
დან ხართ ბოლშევიკური პარტიის წევ-
რი?

— 1919 წლიდან.

— ძალიან კარგი. შესძლებთ ჩვენი
დავალების შესრულებას?

— რასაც პარტია დამავალებს...

— დიდი მუშაობა მოგელით. პარ-
ტიულ ამხანაგებთან უნდა დაამყაროთ
კავშირი, თანაც სიფრთხილე გმართებთ.
მენშევიკებმა რომ ხელში ჩაგიგდონ,
ხომ იცით, არ დაგინდობენ. — სერგომ
გამომცდელად ჩაანგდა თვალეში ახალ-
გაზრდა ქალს, — ხომ არ გეშინია?

— კომუნისტს შიშისა და დაბრკო-
ლების არ ეშინია. დარწმუნებული იყა-
ვით გავამართლებ თქვენს ნდობას, ამ-
ხანაგო სერგო.

— გვჯერა, აბა, ბედნიერი მგზავრო-
ბა. სათანადო ინსტრუქტაჟს, დოკუ-
მენტებს დღეს სადამოს გადმოგცემენ.
ახლა კი, გამგზავრების წინ დაისვენეთ.

სერგო ორჯონიკიძის ვეება ხელში
ჩაიმალა ნ. ლომთათიძის პატარა, თბი-
ლი ხელი.

2

დეკემბრის სუსხიანი დღე იყო. ნა-
ტალია ლომთათიძე ვაგონის ფან-
ჯარასთან მიმდგარიყო და დაფიქრებუ-
ლი გასცქეროდა ნაცნობ სერებსა და
ქედებს. კისერზე შემოხვეულ თხელ
თავშალს ქარი უწეწავდა. აი, გამოჩნდა
გურიის მთავარიანი სოფლები, სერებ-
ზე წამოსკუბებული კოპწია ოდა სასლე-

ბით. ნატალიას სახე გაუბრწყინდა.
მშობლიური გურიის დანახვაზე და
თითქოს გადაავიწყდა ის სამკვირიანი
ტანჯვა-წვალეობა და ფათერაკით სავეს-
გზა, რაც ბაქოდან მგზავრობისას თავს
გადახდა.

მაღე ნაცნობი სადგურიც გამოჩნდა.
ნატალიამ პატარა ფთუა მკლავქვეშ
ამოიღო, ბაქანი მიათვალ-მოათვალა, თა-
ვშალის ბოლო თვალეზამდე აიფარა
და გზას დაადგა.

3

ელიზბარ კალანდაძე საშუალოზე მა-
ღალი კაცი იყო. მის ცეცხლივით მო-
ელვარე თვალეზს კაცი ძნელად თუ
გაუსწორებდა თვალს, რაც ძალაუნებუ-
რად მისადმი პატივისცემას გაგრძობი-
ნებდა. პირდაპირ გასაოცარი იყო, სად
ქონდა ამ კაცს ამდენი ძალა და ენერ-
გია. იგი აქტიურ არალეგალურ მუშაო-
ბას ეწეოდა გურიის რევოლუციურ
კომიტეტში მენშევიკების წინააღმდეგ
ბრძოლაში.

კარგა ხნის შედამებული იყო. ელიზ-
ბარ კალანდაძის დაბალი, ფიცრული
ოდიდან სინათლე გამოდიოდა. თვითონ
მასპინძელი კერასთან მიმდგარიყო და
გულდასმით უსმენდა ნ. ლომთათიძეს,
რომელიც ამ უკანასკნელს ბაქოს ამ-
ბებსა და ს. ორჯონიკიძის დავალებს
აცნობდა.

ელიზბარმა კერას ფიხი შეუკეთა.
ერთხანს გარინდებული იყო და შემ-
დეგ ნატალიას მიუბრუნდა.

— დიდმა რუსმა ხალხმა უკვე თავი-
სუფლად ამოისუნთქა. თავისუფლების
მზე ახლა ჩვენსკენ მოიწევს. შევასრუ-
ლებთ პარტიის დავალებას. ჰო, ასე გა-
ვაკეთოთ. ხვალვე ჩვენს ხალხს დავაგ-
ზავნი მთელ დასავლეთ საქართველო-
ში, ხელმძღვანელ ბოლშევიკთა შეკრება
უნდა მოვაწყოთ. მომავალი მუშაობისა
და მოქმედების შესახებ მოხსენებით
შენ გამოხვალ. მე კიდევ ადგილებზე
არსებული მდგომარეობის შესახებ ვი-
ლაპარაკებ. აბა, ახლა ყოჩაღად იყავი,
ჩვენი ამხანაგი გავაცილებს. ჰო, იქ
ნიღისთავში როგორ მოეწყვე, კმაყო-
ფილი ხარ მასწავლებლობით. იცოდე



ფრთხილად იყავი, მენშევიკების გვარდიელები თვალს გადავცნებენ. ვიცი, ვიცი, — არ აცალა სიტყვის თქმა ნატალიას ელიზბარმა, — რომ ფრთხილად ხარ, მაგრამ ზედმეტი კონსპირაცია და გაფრთხილება საქმეს არ აწყენს. ახლა კი ღამე მშვიდობის. მომავალ შეხვედრამდე.

ელიზბარი კიდევ დიდ ხანს იდგა ეზოში ხის ჩრდილს შეფარებული და მთვარის შუქზე გაპყურებდა სოფლის ორღობეში მიმავალს.

4

წინა ღამით დიდი თოვლი მოვიდა. ხეები თოვლის სიმძიმისაგან მიწამდე დაიხარა. გურული კოპწია ოდა სახლები თითქმის თოვლმა დაფარა. არემარე ერთიან თეთრ ველს მოაგონებდა კაცს, მაგრამ ოდა სახლების საკვამურებიდან ამოსული ბოლი ამ ილუზიას აქარწყლებდა.

დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკთა კრება სოფელ ხიდისთავში მოსეცხობის ბინაში იყო დანიშნული.

საათის ისარი თერთმეტს უახლოვდებოდა. პატარა ოთახი ნელნელა ივსებოდა მომსვლელებით. ჩამოსული პარტიული ამხანაგები კრების დაწყებამდე გულთბილად ესაუბრებოდნენ ერთმანეთს, უზიარებდნენ ადგილებზე არსებულ მდგომარეობას.

როდესაც ელიზბარ კალანდაძემ სიტყვა ნატალია ლომთათიძეს მისცა, ახალგაზრდა ქალმა მაგიდასთან დაიკავა ადგილი. იგი ორიოდ წამს შეჩერდა, თითქოს ფიქრობს საიდან დაიწყოსო, მაგრამ სიტყვები შემდეგ თავისთავად წამოვიდა და ნატალია ნათლად, გასაგებად ლაპარაკობდა, აცნობდა შეკრებილთ საბჭოთა აზერბაიჯანის მდგომარეობას.

— დიდი ლენინის სახელით სერგო ორჯონიკიძემ რწმენა გამოთქვა, რომ ქართველი ბოლშევიკები, მთელი ხალხი ამ დღეებში იარაღს მოკიდებენ ხელს

და დღემოკლე მენშევიკების ბატონობას ბოლოს მოუღებენ.

კრება კარგა ხანს გაგრძელდა. ჩამოსული ამხანაგები კრებას აცნობდნენ ადგილებზე არსებულ მდგომარეობას, სახავდნენ მომავალი მოქმედების გეგმას.

ზამთრის გრძელ, კუნაპეტ ღამეს ფერი დაეკარგა, ფანჯრებში აისმა შემოანათა. კრების მონაწილენი თითო-თითოდ ნელ-ნელა იშლებოდნენ. თან მიჰქონდათ მომავალი მოქმედების გეგმა, რწმენა ხვალინდელი დღისა.

საქართველოში ქარიშხლის სუნი ტრიალებდა. ყველა გრძობდა ბრძოლის მოახლოვების დღეებს. მშრომელი ხალხი იარაღს ისხამდა, მენშევიკებსაც როდი ეძინათ, გრძობდნენ რა აღსასრულის მოახლოვებას, შემოდგომის ბუზივით მწარედ იკბინებოდნენ. საუკეთესო რევოლუციონერებს სასტიკად უსწორდებოდნენ, ციხეებში ჰყრიდნენ, საქართველოდან ასახლებდნენ, ხოლო ვისაც ხელში ვერ მოიხელთებდნენ სახლ-კარს ცეცხლში უზუგავდნენ.

დეკემბრის სუსხიანი დღე იყო. დილით ბევრი მოეთოვა. ახლა კი მოწმენდილ ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არ ჩანდა. ნატალია სოფელ ხიდისთავისაკენ მიდიოდა. იგი ხარბად ისუნთქავდა სუფთა ჰაერს. გულთან ბათუმიდან ახლახან მიღებული დამიფრული წერილი მიეკრა, სადაც შეიარაღებული მოქმედების დაწყების დრო იყო ნაჩვენები. — მაშ ასე, — ფიქრობდა ნატალია, — უკვე დადგა მოქმედების დრო. სიხარულისაგან და ყინვისაგან სახეაწითლებულმა ნატალიამ, თითქოს ბავშვობა გაიხსენაო, პეშვით თოვლი აიღო და ის იყო გუნდა უნდა შეეკრა, რომ სწრაფად გვერდზე ჩავლილმა სახეზე ყაბალახაკრულმა კაცმა წაულაპარაკა.

— მენშევიკების გვარდიელები დასაქვრად გეძებენ.

ნატალიამ თოვლის გუნდა სწრაფად დააგდო და გულთან ჩამალული დამიფრული წერილი ხელით მოსინჯა, თითქოს ემინია არ წამართვანო და გეზი სწრაფად იბრუნა.

— საით წავიდე ამ მუხლამდე გაუვალ თოვლში, ისევ დეიდაჩემთან, სო-

ფელ პაჭეისოლში, იქ უშიშრად ვიქნებო, შემდეგ კი ამხანაგები მომიძებნიან საიმედო ადგილს.

მუხლამდე თოვლს ვაქცატურად მიიკვლევდა. მალე სოფელი პაჭეოსოლიც გამოჩნდა. ნატალიას თოვლისა და სიცივისაგან ლოყები შეფაკლოდა. ის ის იყო დეიდამისის სახლისაკენ გადაუხვია, ვიღაც საეჭვო პირი აედევნა. გაჩერდა, უცნობიც გაჩერდა. ნატალიამ სწრაფად მიიღო გადაწყვეტილება, შემხვედრ ეზოში შევიდა და სამზადისაკენ გასწია.

უცნობმა ერთხანს იტრიალა ჭიშკართან და შემდეგ ძუნძულით გასწია.

— არა, ამ სოფელში ჩემი გაჩერება არ შეიძლება, ისევ ერკეთში, ბიძაჩემთან, იასონ მგალობლიშვილთან უნდა წავიდე, თუმცა იქამდე თხუთმეტი კილომეტრია, მაგრამ საჭიროა გავუძლო თოვლსა და ყინვას.

ნატალიამ სამზადიდან გამოიხედა და რომ დარწმუნდა არავინ იყო, სწრაფად დაადგა ერკეთის გზას.

ღამის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ნატალიამ, თოვლში ამოგანგლულმა, გათოშილმა სოფელ ერკეთში, იასონ მგალობლიშვილის ოდის კარზე მიაკაკუნა.

— ვინ იქნება ამ შუალამისას, თანაც ამხელა თოვლში; რომელი თავხეხელაღლებულია ნეტავი. — წაილაპარაკა იასონმა.

— ადე კაცო, გაინძერი, ვახედე ვინ არის, იქნებ ჩვენი შვილია, ტარასი, ბაქოდან ხომ არ დაბრუნდა.

იასონი საწოლიდან ფიცხლად წამოხტა და კარებიდან გასძახა: — რომელი ხარ.

— მე ვარ ბიძია იასონ, თქვენი ნატალია, ჩქარა კარები გამიღე, თორემ გავიყინე.

— შენ მოგიკვდა შვილო ჩემი თავი, რაცხა ფარცავია მაგის თავზე. — წამოიძახა ახლა აღათიმ და ისიც წამოდგა ლოგინიდან.

ამასობაში იასონმა კარებს ურდული გამოაძრო. თოვლში ამოგანგლული ნატალია იქვე კარებთან ჩაიკეცა.

ცოლ-ქმარმა ძლივს მოასულიერეს სტუმარი. ჭაჭის არაყით ყურის ძი-

რები და ხელები დაუზილეს, შემდეგ ლოგინში ჩააწვინეს.

იასონ მგალობლიშვილთან მხოლოდ ერთი დღე დარჩა ნატალია, მალე ცნობა მოვიდა, რომ მენშევიკები მას დასაჭერად ეძებენ. იგი იძულებული გახდა მეორე დღესვე გადასულიყო სოფელ ბუოლეთში, მაგრამ არც აქ შეიძლებოდა მისი გაჩერება. მენშევიკები გაფაციცებით ეძებდნენ. ნატალიას გადაყვანა საიდუმლო ადგილზე ილარიონ მამალაძეს მიანდევს. გადაწყდა, რომ ნატალია დროებით დამალულიყო ბახმაროს ახლოს სოფელ ზოტში.

ღამის თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ნატალია და ილარიონ მამალაძე თხილამურებით ფრთხილად გაუდგნენ გზას.

თოვლის ჭირხლი მიდამოს თეთრად ანათებდა. მგზავრები გზას ხმაამოუღებლივ მიიკვლევდნენ. მალე ცას მტრედისფერი შეეპარა.

— მოგვიხდება დღე ამ ხევს შევაფაროთ თავი, თორემ დილით სიარული საშიშია. მენშევიკების გვარდიელები ბახმაროსთან მშვიერი ძაღლებივით დაძრწიან. ილარიონმა არყიანი მათარა ამოიღო და ნატალიას მიაწოდა.


— მოსვი, ცოტა შეთბები.

მგზავრები ხევში ჩაიმაღნენ.

როგორც იქნა დაილია ზამთრის ხანმოკლე დღე. ყინვაში გათოშილი მგზავრები მალე მიადგნენ სოფელ ზოტს. ი. მამალაძემ ნატალია საიმედო ბინაში დატოვა და თვითონ უკან გამობრუნდა.

5

საქართველოში ახალი საუკუნის დასაწყისის წინააღმდეგ იდგა. აჯანყებულთა რაზმები მენშევიკებისათვის ლახვარის ჩასაცემად ემზადებოდნენ. მათ მოსაშველებლად მოემართებოდნენ რკპ(ზ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის პლენუმის გადაწყვეტილებით 1920 წელს ბაქოში ჩამოყალიბებული და მენშევიკურ საქართველოდან გასახლებული თუ გაქცეული, შეიარაღებული აჯანყების მონაწილე ქართველი ბოლშევიკებით დაკომპლექტებული პირველი ქართული მუშურ-გლეხური პოლკის მეო-



მრები სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით.

უძლეური მენშევიკები დამფრთხალნი გარბოდნენ ბათუმისაკენ, საიდანაც ზღვით უცხოეთში გაჰქონდათ ქართველი ხალხის ეროვნული საუნჯენი.

თებერვლის სუსხიანი დღე იდგა. ნატალია ფანჯარასთან მიმდგარიყო და თეთრად გადაპენტილ არე-მარეს გაჰყურებდა. იგი არც აქ იყო უსაქმოდ. ადგილობრივ სოფლელებთან მალე გამოძებნა საერთო ენა და მომავალი ბრძოლისათვის რაზმადეა მათ.

უცებ ფანჯრიდან თვალი მოჰკრა მარხილიან ცხენს. მხედარი მათრახს გამალებით იქნევდა და თან რაღაცას გაჰყვიროდა. მას უკან რამოდენიმე კაცი და ბავშვი მოსდევდა.

— ნეტავ რა ამბავია? — მოუთმენლად წამოიძახა ნატალიამ.

ამსობაში მარხილიანი მხედარი იმ ქოხს მიუახლოვდა, სადაც ნატალია იდგა, სწრაფად გადმოხტა მარხილიდან. ნატალიამ მასში ილარიონ მამალაძე იცნო.

— ბიჭო ილარიონ, ჩქარა ხმა ამოიღე, რა ამბავია. — შეჰყვირა მან ილარიონ მამალაძეს, რომელიც ხელში გაზეთს აფრიალებდა და სიხარულისაგან წამოჰქარხლებული ხმას ეწერ იღებდა.

ნატალიამ მას ხელიდან გამოგლიჯა გაზეთი „კომუნისტი“, უსწრაფესად გაშალა და თვალები შეაჩერა მსხვილი შრიფტით დაბეჭდილ დეპეშის ტექსტზე, სადაც სერგო ორჯონიკიძე მოსკოვში კრემლს ატყობინებდა, რომ თბილისზე უკვე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა.

საქართველოში ახალი, ბედნიერების საუკუნე იწყებოდა.

6

დილის რვა საათი და ოცდაათი წუთია. სამუშაოს დაწყებას ჯერ კიდევ მთელი ოცდაათი წუთი უკლია. რესპუბლიკის პროკურატურის შენობაში. როგორც წესი, სამუშაოზე პირველი მოდის საშუალოზე ოდნავ მაღალი, სანდომიანი ქალი. შემხვედრნი მას მოწიწებით ესალმებიან.

დინჯი ნაბიჯით, როგორც ეს წამოვხალხს სჩვევია, კიბის სახელურს ნელით მიყვება, მაგრამ იგი არც ისე მოხუცია, რომ წლების სიმძიმემ ბეჭებში მოხაროს. წაბლისფერ თმაში აქა-იქ შეპარვია ვერცხლის ძაფები.

სიარული კი ასეთი იცის, დინჯი, აუჩქარებელი.

თვალეებში რომ ჩახედოთ, მასში სიტბოსა და ალერსს დაინახავთ.

ხუმრობა ხომ არ არის გაიარო ცხოვრების დიდი სკოლა, 43 წლის პარტიული სტაჟით, რომელსაც ციხის კედლებიც არ ასცდენია. ათეული წლების მანძილზე უმწიკვლოდ და პატიოსნად იმუშაო პარტიულ და საბჭოთა აპარატში. მაინც სად არ უმუშავნია: ბაქო, შემახი, აჭარა, გურია, გორი, თელავი, ჭიათურა, შემდეგ თბილისი, განათლების კომისარიატის კოლეგიის წევრი, უმაღლესი იურიდიული განათლების მიღების შემდეგ საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდენტის თავმჯდომარე, 1949 წლიდან დღემდე კი საქართველოს სსრ პროკურატურის არასრულწლოვანთა განყოფილების უფროსი.

თითქოს თავის სტიქიას მიაგნო ნატალია ლომთათიძემ. ხშირად, ხშირად ეწვევიან ფიქრები მას. ფიქრები თან წაიყვანენ, განვლილ გზას გადაატარებენ, შემდეგ ისევ თავის საყვარელ საქმიანობას უბრუნდება. მან კარგად იცის, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული სასჯელი მიზნად ისახავს არა მარტო დამნაშავეის დასჯას, არამედ მის გამოსწორებას, ხელახლად აღზრდას და გაფრთხილებას.

ნატალია ლომთათიძე სისხლხორცეულად არის დაკავშირებული თავის საყვარელ საქმიანობას — იუსტიციის დარგში მუშაობას. ბინაც აქვე აქვს, სამსახურთან.

სადაც, მაგრამ გემოვნებით მოწყობილ ბინაში კედლებიდან, წიგნების კარაიდან, საწერი მაგიდიდან გადმოგყურებენ სურათები, სურათებიდან ვაჟკაცები, ვისი სახეებიც ასე ძვირფასია ჩვენთვის, რომლებმაც თავიანთ ზურგზე გამოსცადეს მეფის რუსეთის ჯალათების რეპრესიები, დევნა, კატორღა.

ბევრი მათგანი დიდი საქმის სიყვარულმა იმსხვერპლა.

ოთახში ჩვენი ყურადღება ჩარჩოში მოთავსებულმა, ლამაზი ქართული კალიგრაფიით შესრულებულმა წარწერამ მიიპყრო „შვილის გაზრდა, შვილის კაცად გამოყვანა, უწმინდესი და უდიდესი ვალია მშობლებისა. გაზრდა შვილისა ისეთი მოვალეობაა, რომ სხვა ყველაფერი მას უნდა შევალაოთ.“

ილია“.

ამის წაკითხვის შემდეგ მივხვდი თუ რატომ დასტრიალებს თავის საქმეს ასე დიდი სიყვარულით ნატალია ერმალოვის ასული არასრულწლოვან დამნაშავეთა აღზრდისა და გამოსწორების საქმეს, ცხოვრების სწორ გზაზე დაყენებას.

მაგიდაზე მრავალი წერილია... მასპინძლის ნებართვით ვეცნობით ერთ-ერთს. აი რა ეწერა მასში.

„პატივცემულო დედა!

თქვენ იქნებ კიდევ ვაგიკვირდეთ ჩემგან წერილის მიღება, იქნებ აღარც კი გახსოვდეთ, მაგრამ როდესაც გამოგემშვიდობეთ, მითხარით: წერილი მომწერე შვილო.

შვილო! მითხარით მაშინ და მე ვიგრძენი მშობლიური სიტბო. თქვენი სიტყვები დედის სიტყვებზე მივიღე და ნება მომეცით მეც დედა გიწოდოთ.

ჩვენ, სამი პატარა და—მა მამამ მიგვატოვა. მოხდა ისე, რომ მე ჩავიდინე დანაშაული და მოვხვდი ავჭალის ბავშვთა აღსაზრდელთა კოლონიაში.

კოლონიაში მიყვანისას ვფიქრობდი, რომ დასრულდა ჩემი ცხოვრების გზა, და აი თქვენ შემხვდით კოლონიაში. ჩამინერგეთ მომავლისადმი რწმენა, იმედი, კოლონიაში ვისწავლე ხელობა, დავამთავრე საშუალო სკოლა. თქვენი მეოხებით ვადაზე ადრე გამათავისუფლეს კოლონიიდან... ახლა, საყვარელო დედა, მინდა გახაროთ, რომ გავამართლე თქვენი ნდობა, ყოფილი პატიმარი უნივერსიტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ.

არსად და არასოდეს არ შეგარცხენით, არც თქვენ და არც ჩვენს აღსაზრდელებს. პირობას გაძლევთ თქვენ, ბავშვების დიდო მეგობარო დედა ნატალია, რომ მუდამ ვიქნები ჩვენი ახალგაზრდობის მოწინავეთა რიგებში.

მერაბ დალაქიშვილი“.

ვინ იცის რამდენი გზასაცდენილი დაუყენებია ცხოვრების სწორ გზაზე ნატალია ლომთათიძეს. ერთი მათგანია ვალოდია რუსანცევი...

17-18 წლის ახალგაზრდას მოშვებულ იქნა თმები მხრებამდე წვდებოდა. შელინდლული წვერი უმნოდ გაჩაჩხოდა. იგი თავდახრილი უხმოდ იდგა ნ. ლომთათიძის წინაშე.

ნატალია ერმალოვის ასული უცბად მიხვდა ვისთან ჰქონდა საქმე. მან თავიდან ბოლომდე შეათვალიერა შავ ტანსაცმელში გამოწყობილი ახალგაზრდა და ნახევრად ხუმრობით ნახევრად სერიოზულობით უთხრა, — გხედავ და ვერ მიცვნიხარ. შენ ჩვენი საბჭოთა ახალგაზრდა, საბჭოთა სკოლაში აღზრდილი ხარ თუ ებისკოპოსის კვერთხის მოტრფიალე. ჰა, აბა ჩემო კეთილო, ხმა ამოიღე, ნუ გაჩუმებულხარ.

გაჩაჩხულწვერიანი ახალგაზრდა ოდნავ შეიმშუშნა. — მე თვითონაც არ ვიცი ვინა ვარ, რაზე გამოვაკლდი ჩემს ტოლ-მეგობრებს; ერთხელ ეკლესიაში მოვხვდი. იქ „წმიდა“ მამებმა თავიანთი გავლენის ქვეშ მომაქციეს. მე ისინი ნამდვილ „წმინდანებად“ მიმაჩნდა, რომლებიც მთელი ღვთისმოსაობით ემსახურებიან ქრისტეს და გადავწყვიტე მეც მთელი გულით მივცემოდი ღვთის მსახურებას. მალე დავრწმუნდი მათ სიფლიდეში და სიყალბეში და გადავწყვიტე ჩამოვცილდე ამ ბნელეთის მოციქულებს, მაგრამ მიმიღებს კი ჩემი კოლექტივი? — ახალგაზრდას გრძელ და სანთელღვთი ყვირთელ სახეზე ცრემლები ჩამოუვგორდა.

ნატალია მავიდიდან წამოდგა, ახალგაზრდას მიუახლოვდა და მხარზე ხელი დაადო.

— კარგი, დამშვიდდი, ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის შეიძლება პიროვნებამ იპოვოს ადგილი საზოგადოებაში. აბა

ახლა შენზე ვიფიქროთ. მაშ მტკიცედ გაქვს გადაწყვეტილი ჩამოშორდე რელოგიის მსახურთ?

— მტკიცედ.

— კარგი. ახლა წადი. დღეს მე შენი საკითხის მოგვარებას შევეუდგები. სამუშაოზე მოგაწყობ შეილო, და იმედია არ შემარცხვენ...

გამომცემლობაში, სადაც ვ. რუსანცევი მოაწყვეს ასოთამაშობად, ჭაბუკის მონდომებამ და სიბეჯითემ თვით გამოცდილი სტამბის მუშაგებაც კი გააკვირვა. 22 დღეში მას უკვე მეოთხე თანრივი მიანიჭეს.

ნატალია ლომთათიძის ხშირი სტუმრები არიან ახალგაზრდა რუსთაველი მეფოლადეები გუგული მაკაევი და როლანდ ფრიდონიშვილი, რომლებიც თავიანთ დედობილს — ნატალია ერმალოვის ასულს უზიარებენ თავიანთ წარმატებებსა და სიხარულს. აი როგორ მოხდა მათი გაცნობა. 1956 წელს რუსთავის სახალხო სასამართლოში აღიძრა საქმე რუსთავის მესამე სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეების გ. მაკაევის და რ. ფრიდონიშვილის მიმართ, რომლებიც სისტემატურად პარავდნენ თავისივე ამხანაგებს ტანსაცმელს.

ნ. ლომთათიძე გაეცნო რ. ფრიდონიშვილის და გ. მაკაევის საქმეს. გადაწყვიტა სასამართლო პროცესი გამართულიყო საჯაროდ, სახელოსნო სასწავლებლის მთელი კოლექტივის თანდასწრებით. სასამართლომ გაითვალისწინა ყველა ვითარება, გაიზიარა კოლექტივის შუამდგომლობა და რ. ფრიდონიშვილსა და გ. მაკაევს ექვს-ექვსი წლით პატიმრობა შეუცვალა პირობითი სასჯელით და აღსაზრდელად გადასცა ისინი სასწავლებლის კოლექტივს.

ნატალია ერმალოვის ასული პირველ დღეებში ხშირად დადიოდა რუსთავში რ. ფრიდონიშვილისა და გ. მაკაევის სამუშაო უბანზე, რჩევა-დარიგებას, მზრუნველობას არ აკლებდა მათ, ახალგაზრდებმაც გაამართლეს ნდობა.

ნ. ლომთათიძეს ახლაც თვალწინ უდგას ერთი პატარა 14 წლის ბიჭუნა. მას წინასწარგანზრახული მკვლელობა ბრალდებოდა. სასამართლოში თვალებით სივრცეში უმიზნოდ იყურებოდა და

თავის დაცვაზე სულ არ ფიქრობდა. თვალწინ მხოლოდ მომხდარი შემთხვევა ედგა. ფულობანას თამაშობდნენ და ამხანაგმა მოუგო. თამაშის შემდეგ სახლში შევიდა, სანადირო თოფი გამოიტანა, ბიჭებს ხუმრობით ხელი ააწვიანა და გაისროლა..

ნატალია ერმალოვის ასული დაფიქრებული იდგა. იგი გამოსავალს ეძებდა. არ შეიძლება რომ მკვლელს, რომელიც მოკლულზე სამი წლით უფროსი იყო, ფულის წართმევა სდომებოდა და იარაღი ეხმარა. არც ერთი მოწმე არ აცხადებდა, რომ იგი თამაშის შემდეგ გაბრაზებული შევიდა სახლში და ამხანაგს მოკვლით დამექრა. ბავშვმა იარაღით თამაში დაიწყო. იარაღში შემთხვევით ტყვია აღმოჩნდა. გასროლის შემდეგ ამხანაგი, რომელთანაც ფული წაიგო, ძირს დაცემული რომ დაინახა, იყვირა, იარაღი გადაავდო და გაიქცა.

ნატალიამ ბავშვთა გამასწორებელ კოლონიაში ინახულა იგი. დიდხანს ესაუბრა. მისი ჩარევით რვა წლის სასჯელი ორი წლით შეუცვალეს. ინახულა და დარწმუნდა, რომ მის წინაშე ბოროტმოქმედი როდი იდგა.

ერთი დღე არ უტყვობია ნატალია ლომთათიძეს ბრძოლისა და შრომის გარეშე. როდესაც წარსულს გაიხსენებს, შევერცხლილ თმაზე ხელს გადაისვამს მღელვარების დასაოკებლად, ტკბილ და წყნარ საუბარში, მოგონებებში ცოცხლდება მშობლიური სოფელი მიწიეთი, გურიის კოპწია ოდები, ტკბილი დედამა, მოსიყვარულე ძმები, ბავშვობის გაფრენილი წლები, ხოლო, როდესაც საუბარს დაასრულებს, ოთახში ისევ სიჩუმე ჩამოვარდება. ის სდუმს, ნაზი, თმაშევერცხლილი ქალი. უყურებ ამდენი ბრძოლისა და შრომის მომსწრეს. ის იღიმება და გრძნობ, რომ ახლა ისევ ხვალინდელ დღეზე ფიქრობს, თავის საყვარელ საქმეზე, არასრულწლოვან დამნაშავეთა აღზრდისა და გამოსწორების საქმეს ფიქრით თავს დასტრიალებს.



ნარკ3930*

— მე მინდა სერიოზულად მოგელაპარაკოთ.

— წარმოსთქვა გაბრაზებულმა კაპიტანმა.

— მე თქვენ გისმენთ, თუმცა ჩვენ თავისუფლად და გულთბილად ვსაუბრობთ, მაგრამ მე აქ პროტესტის სათქმელად მოვედი. ეს მუქარა როდია, — არა! ჩვენ თუ არ შეგთანხმდით, საერთო ენა არ გამოვანახეთ, თქვენგან პირდაპირ პროკურორ ევგენი ერასტისძესთან გავემგზავრებო. ის კარგად მიცნობს, — და მოვითხოვ ავტორიტეტული კომისიის გამოგზავნას. ყველგან დავამტკიცებ, რომ ჩვენი სისხლის სამართლის განყოფილება, მაპატიეთ, მაგრამ ერთგვარ ინკვიზიციად გადაიქცა...

ტატიანა სერგის ასული უსმენდა და თან ფრჩხილებს იწმენდა. უკანასკნელი სიტყვები რომ გაიგონა, მოლაპარაკეს შეხედა.

— ქალბატონო, სანამ რამეს იტყოდეთ, უნდა დაფიქრდეთ, რადგან, როცა ვისმეს აღანაშაულებთ, საჭიროა დაქტები...

ვოლგინას სახეზე კვლავ სიბრაზე გამოეხატა.

— მე, ჩემი უღანაშაულო ბავშვის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოვითხოვ. ვინ მოვცათ მისი აბუჩად აგდების უფლება? თქვენი თანაშემწის თანდასწრებით, რომელიც წლოვანებით კოვოზე უმცროსია. ბავშვს სისხლისაგან სცლიან, ღმერთმა უწყის რა მიზნისთვის, პირში ალიკაპს სჩრიან, თითებს უგრეხენ, საათს, პალსტუხს, ფულს ართმევენ, რას ჰგავს ეს? ა?

კაპიტანმა გლბოვამ პატარა ხელისგული მაგილაზე მტკიცედ დასდო:

— საიდან გაქვთ ასეთი ცნობები?

— თქვენ ფიქრობთ, რომ საიდუმლო არ გამოვლენდება? ამოდ. დღეს სამ საათზე ჩემთან, ერთი საკმაოდ წესიერი, ინტელიგენტი, ახალ-

გაზრდა სტუდენტი მოვიდა, რომელიც იმ კამერაში მჯდარა, სადაც ჩემი შვილი კოვო იტანჯება, მან ყველაფერი მიაბო და შემომთავაზა...

— თუ ისურვებთ გადასცეთ თქვენს შვილს სამასი მანეთი, ამას იგი მოახერხებს. — ჩაურთო რეპლიკა ტატიანა სერგის ასულმა.

პელაგია შეცბუნდა, იქვენულად გლებოვას შეხედა.

— ხუთასი... თქვენ საიდან იცით?

— არა აქვს მნიშვნელობა, თუმცა პირდაპირ გეტყვით: ფული დაგეკარგათ, მაგრამ თქვენ როდი ხართ პირველი, ვინც ამ ანკეს წამოეგო. „სობს“ მძიმე ბრალდება აქვს: თანამონაწილეობა ქვენა გრძობებით ნაკარნახევ, წინასწარ განზრახულ მკვლელობაში. ცნობილია ეს თქვენთვის, თუ არა?


— ამაზე მთელი ქალაქი ლაპარაკობს, ბავშვს სახელი გაუტეხეს, ცილი დასწამეს.

— მაშ ასე: — გლებოვამ ხელი ასწია, — მისთვის, რომ დავადგინოთ დამნაშავეა თუ არა თქვენი კოვო, ყველაფერს ვაკეთებთ რაც შესაძლებელია და საჭიროა. მან სავსებით ნებაყოფლობით რამდენიმე წვეთი სისხლი გაიღო ჯგუფის დასადგენად, ეს საზიანო არ არის ორგანიზმისათვის. ნება დართო დამსახურებულ ექიმს სტომატოლოგს სანთელზე გადაედო ნაკებრი, რასაც არაფერი აქვს საერთო ალიკაპთან, ხოლო დაქტილოსკოპური ანკეტის შევსებისას თითებს არავის უგრეხეს.

— რაო? კოვოს, როგორც შოროტმოქმედა, თითების ანაბეჭდი გადაუღეს? როგორ გაბედეთ ვინ მოგცათ ამის უფლება?

ტატიანა სერგის ასულს ყურადღება არ მიუქ-

* დასასრული



ცეცია ვოლგინას მრისხანებისათვის და განაგრძობდა:

— ჩვენ დავადგინეთ: ნიკოლოზ ვოლგინი, გსურს ეს თქვენ თუ არა, თანამონაწილეა თანისი სტუდენტი ამხანაგის მკვლელობაში.

პელაგია თეოფილეს ასული წამოდგა, თავისი სკამი გლებოვას ახლოს მიაჩოჩა, დაჯდა და დაბალი ხმით ალაპარაკდა.

— ძვირფასო, გელაპარაკებით, როგორც ქალი, როგორც დედა. კოკო სიმშვენიერის განსახიერებაა. შესანიშნავი, ვულისხმიერი ახალგაზრდაა, თუმცა ცოტათი განებივრებული, მაგრამ, აბა ჩვენს დროში ვინ არ ანებივრებს თავის ბავშვს? დედა რომ იყო, მიხვდებოდი ამას. თქვენ დაკვირვებული ჩანხართ, უთუოდ შეამჩნევდით, რომ კოკო ძალზე ლამაზია, შესანიშნავად იცვამს, მსუბუქად ცეკვავს, მღერის, პიანინოზე უკრავს, იცის ათასგვარი მოღური ანეკდოტი, და ყოველივე ამის გამო გოგონები გარს ეხვევიან, თავდავიწყებით უყვართ. ჩვენც ხომ ვიყავით ახალგაზრდები და კარგად ვიცით, რომ ახალგაზრდა ქალიშვილები სულელები არიან.

— ამოდ ფიქრობთ ასე, — ბევრ ქალიშვილს მასზე არასახარბიელო შეხედულება აქვს, შეეკამათა ტატიანა სერგის ასული.

— ღმერთმანი, ყოველივე მაგას შურისა და ექვიანობის გამო ამბობენ, რადგან ისე არ მოექცა, როგორც მათ სურდათ. ჩემი უაყი შესანიშნავი წრეში ტრიალებს...

ვოლგინამ ისე გაიღიმა, რომ ხელოვნური კაუჩუკის ყბა გამოუჩნდა. მან კაპიტან გლებოვას სახელოზე მოჰქაჩა და გულში ჩამწვდომი ხმით ჩაიბურღლუნა:

— ნუ გაბერავთ საქმეს, გაათავისუფლეთ კოკო და ჩვენ... — ვოლგინამ ჩემსკენ აღმაცერად

გადმოიხედა, — მითხარით, სად შეიძლება მართო განახოთ, რომ გულდაგულ მოგელაპარაკოთ, როგორც ქალი ქალს. მე მზად ვარ გავაკეთო ყველაფერი...

კაპიტანი გლებოვა წამოდგა და ფეხის მკვეთრი ბიძგით სკამი გასწია; —

— მოქალაქე ვოლგინა, მე დიდხანს ვიფიქრე იმაზე, თუ ვის შეეძლო ზნეობრივად დემახინჯებინა თქვენი შვილი? ახლა კი ვიცი. იგი თქვენ ბრძანდებით, ამჟამად ყველაზე უკეთესი იქნება დასტოვოთ აქაურობა. მე დრო არა მაქვს.

ვოლგინა წამოდგა. ტატიანა სერგის ასულს მწყურალად შეხედა, მაგიდიდან ქოლგა და საფულე აიღო:

— როდის შეიძლება ვინახულო, კოკო?

— ძიების დამთავრებამდე ნახვა არ შეიძლება.

— მე მივმართავ პროკურორს...

კაპიტანი გლებოვა მაგიდიდან წამოდგა. კარებთან მივიდა, რომ მოსულისთვის გზა ეჩვენებინა.

პელაგია ვოლგინამ თავი ამაყად ასწია და გამოუმშვიდობებლად გავიდა. გლებოვამ კარები მიხურა.

— კოსტია, გააღეთ ფანჯარა, რომ პატივცემული პელაგია ვოლგინას მიერ დატოვებული გულისამრევი სუნი გავიდეს. გაივით? იგი თურმე მზად არის მარტოდ მარტო მომელაპარაკოს. თქვენ რომ არ ყოფილიყავით თათხში მას არ შერცხვებოდა და ქრთამს შემპირდებოდა. იმ სულელი ბიჭის დაპატიმრების დღიდან ტელეფონის ზარებისაგან მოსვენება არა მაქვს. რეკავენ დღე, ღამე, მთხოვენ, ქარავმულად მელაპარაკებიან. მაგრამ ეს კიდეც არაფერი. წინ გველის „წინაპრის“ ჩამოსვლა. ქალბატონი დაუმღერებს მას და ცეცხლს მაგრად შეუკეთებს.

ტატიანა სერგის ასულმა ხშირად იცოდა ერთი აზრიდან მეორეზე გადატომა, და ამით ხშირად გზაკვალს მირეგდა. და არა მარტო მე... იო ახლაც დამთავრებული არ ჰქონდა ლაპარაკი „ქალბატონზე“ და „წინაპარზე“, რომ უეცრად დაფიქრდა და საუბარი სულ სხვა რამეზე გადაიტანა.

— შარსკი ამბობს: „ქართულად არ ლაპარაკობდნენო“. მან ხომ არ იცოდა, რომ მოკლული ქართველი აღმოჩნდებოდა.

მე ვერ მივხვდი კაპიტანის აზრს. ამიტომ სხვათაშორის წარმოვთქვი.

— იქნებ პატოცემული პოლკოვნიკი ფიქრობს, რომ ესმის ენები, ნამდვილად კი არაფერი გაეგება. პირდაპირ რომ ვთქვა, ჩემთვის გაუგებარია, ასე ძლიერ რატომ გაღელვებთ ეს საკითხი?

ტატიანა სერგის ასულმა სინანულით შემომხედა.

— კოსტია, ასეთ რამეს თქვენგან არ მოველოდი. ხომ იცი, რომ ვოლგინს არ სურს დაასახელოს თანამონაწილე და არც დაასახელებს. თუ გვეცოდინება რომელ ენაზე ლაპარაკობდნენ მოკლული და მკვლელი, შეიძლება იმის ნახვა ვინც... რამდენი ქართველი გვეყოლება ქალაქში? ერთი... ორი... მათი პოვნა შესაძლებელია და...

— თუ ასეა, შეამოწმეთ, იცის თუ არა შარსკიმ ქართული.

— მერე როგორ?

— ვაგზლის რესტორანში ქართველი მეზუფეტე ვასო ობოლაძე მუშაობს. თხოვეთ პოლკოვნიკს თქვენი თანდასწრებით გამოელაპარაკოს მას.

— აი, ეგ საქმიანი წინადადებაა, მასში არის რაციონალური მარცვალი.

ტატიანა სერგის ასული თითქმის მთელი დღე სამუშაოზე არ იყო. დღის ბოლოს ძალზე დაღლილი, რაღაცით შემფოთებული, მაგრამ კმაყოფილი დაბრუნდა, ქული მაგიდაზე დაუდევრად დაავდო, დაჯდა და ამოიხზრა.

— კოსტია, ისინი ქართულად არ ლაპარაკობდნენ.

— ვინ „ისინი“, ტატიანა სერგის ასულო?

— თენგიზ გვარლიანი და ის, ვინც იგი მოკლა. პოლკოვნიკ შარსკის ჯერ გული მოუვიდა, მერე კი თავის მანქანით რესტორანში წამიყვანა, მაგიდასთან ვასილ ობოლაძე მოიწვია და მასთან ქართულად ლაპარაკი გააბა. მკვირცხლად, თავისუფლად ლაპარაკობდა. თანამესაუბრე გაკვირვებული დარჩა. თურმე შარსკის ომამდე ქუთაისში უმსახურია.

კარებზე ვიღაცამ დააკაკუნა, მე ნელი ხმით წავილაპარაკე:

— შეიძლება, შემოდით.

კარები გაიღო და ოთახში მაღალი, წარმოსადგეი პოლკოვნიკი შემოვიდა, ჯერ მისთვის სახეზე არც კი შემხედდა, რომ ჩემი ყურადღება მიიპყრო მისმა გულმკერდმა, რომელზედაც საბჭოთა კავშირის, სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავები და ოთხ მწკრივად წამწკრივებული ორდენების ნიშნები ეკეთა. მასში ამოვიკითხე ამ ადამიანის საბრძოლო გზა. მოსკოვი-ბუღაპეშტი-ბერლინი-ხინგანის უღელტეხილი.

— გამარჯობათ, ამხანაგო ოფიცერებო, მე ვოლგინი ვარ, გიორგი ვოლგინი. ნებას მომცემთ?

ტატიანა სერგის ასული და მე ფეხზე წამოვდექით. იგი მოგვიახლოვდა, ხელი გამოგვიწოდა.

— მე საქმეზე მოვედი. შეიძლება შეგაწუხოთ?

კაპიტანმა გლეგოვამ ხელით სკამზე ანიშნა:

— გთხოვთ, ამხანაგო პოლკოვნიკო, მე თქვენ გისმენთ.

ვოლგინი დაჯდა. მაგიდაზე ქული დადო და ხელი ოდნავ გამელოტებულ თავზე გადაისვა.


— შეიძლება თამბაქოს მოწვევა?

კაპიტანმა გლეგოვამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

პოლკოვნიკმა პორტსიგარიდან აუჩქარებლად სიგარეტი ამოიღო, ხელით დასრისა და მუნდ-შტუკში მის გამართვას შეუდგა. იგი ყველაფერს ამას თავჩაღუნული აკეთებდა, ეტყობოდა, აზრებს იკრებდა. კაპიტანი გლეგოვა მის პირდაპირ დაძაბული იჯდა, მზადმოყოფი იერიშის მოგერიებისათვის. პოლკოვნიკს ფართო, სიმბათიური სახე, ფიქრიანი და მოღუშული ჰქონდა. მაღალ შუბლზე გარმონივით ღრმა ნაოჭები მოუჩანდა. დროდადრო ტუჩი და თვალის ქუთუთოები უკანაკლებდა. გიორგი ვოლგინი ნერვიულობის შეკავებას ცდილობდა და კბილზე კბილატყერილი კუნთებს ძაბავდა. — ორი-სამი ნაფაზის შემდეგ მან ღრმად ამოიხზრა.

— მე თქვენთან მოვედი და წინასწარ გეუბნებით, რომ არაფრის თხოვნას არ ვაპირებ. შვილის შესახებ ყველაფერი ვიცი და საბოლოოებით, ტელეფონით შემატყობინეს და გუშინ ჩამოვედი. ცოლმა მიამბო ის, რაც თვითონ იცის. სამწუხაროა... დღისით ვიყავი ინსტიტუტში. ისევე აღმფოთებული ვარ, როგორც ყველა. პატიოსანი ადამიანი მოკლეს, შესანიშნავი საბჭოთა ადამიანი. ვიყავი პროექტურაში, შემზარავი დარტყმა. რასაკვირველია, ამ უნამუსოს არ შეეძლო ამის გაკეთება. მით უარესი. მან მოახერხა დაეყოლიებინა ვიღაც თავის მსხვერპლზე ხელის აღსამართავად. მივიდიოდი მიხეილ მიხეილის-ძესთან, მაგრამ ზედ კაბინეტის კარებთან გადავიფიქრე და თქვენთან მოვედი... თუ ეს საქმეს არ ავნებს, შესაძლებლობის ფარგლებში, გამაცნით დეტალები.

მან კაპიტან გლეგოვას შეხედა. ნაშფეი გადაავდო, სწრაფად ახალი სიგარეტით შეცვალა და გააბოლა. ტატიანა სერგის ასულმა აუჩქარებლად ამოიღო საქმე გვარლიანის მკვლელობის შესახებ, გადაფურცლა, რამდენიმე დოკუმენტი



მენტი გვერდზე გადალო და დიდი კონვერტიდან სხედასხვა ფოტოსურათები ამოიღო.

— გიორგი სემიონის ძე, აი ყველაფერი, რაც ხელთა გვაქვს. გთხოვთ.

ვოლგინმა სურათები, ანალიზები, ექსპერტების დასკვნები ყურადღებით დაათვალიერა, წესიერად დაეცა და დადო.

— ხო... საქმარისზე მეტია. ვმადლობთ.

მან ხელი გაიწოდა ქუდისკენ, მძიმედ ამოხეწა და წამოღვა. სახეზე სისხლი მოაწვა, მხრები ჩამოუცვივდა. ზურგში მოიხარა. ჩვენს თვალწინ ადამიანი მოხუცდა, ჩამოხმა.

— ყველაფერი ნათელია... რას იზამ... ნახვამდის, ამხანაგო ოფიცრებო.

გლებოვა, რომელიც თვალს არ აშორებდა პოლკოვნიკს, წამოღვა:

— იქნებ გსურთ შვილი ინახულოთ?

ვოლგინი პასუხისგაუცემლად დაჯდა, ტუჩი ჩაიკვნიტა და მთელი სახე და მხრები ნერვიულობისაგან აღძვებდა.

— ვანა ღირს? კაპიტანო, თქვენ უეჭველად ფსიქოლოგი ხართ. თქვენს საქმეში ფსიქოლოგიის უტოლინარი ერთ გროზად არ ღირს. აი მე მამა ვარ ახალგაზრდა კაცისა, რომელმაც თავისი ამხანაგი მოკლა. ვინ არის დამნაშავე იმაში, რომ ჭაბუკი, რომელიც ეს-ესა ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა, ასეთი საზიზღარი საქმე ჩაიდინა? თვითონ ის? წრე? ოჯახი? თუ პერსონალურად მე? ეს ფიქრი მაწვალებს და დაუძინებთ ვეძებ პასუხს. მე ცხოვრების მკაცრი სკოლა ვავიარებ. ხუთი წლის ასაკიდან მშობლების წარმმართველი და დამხმარე ხელის გარეშე, დამოუკიდებლად ვიკაფავდი გზას, სამოქალაქო ომი, არმია... შიმშილი... 17 წლისა ესკადრონს ვმეთაურობდი. ოცი წლისას სამშობლომ სახელმწიფო საზღვრის დაცვა მანდო. ეს ნდობა გავამართლეთ. ჩვენ ვიწრთობდით მეზობლო კომკავშირში — მის მიერ შაბათობაზე გამართულ წაქითხული წიგნის დისპუტებში, კამათით, თუ როგორ სჯობს ავანშენით შესანიშნავი და კარგი ცხოვრება... ჩემი პირველი კონსტრუქტი, რომელიც ნამდვილ ხელოსანთან შევიკერე, მაშინ ჩავიციე, როცა ოცდაათი წლისა გავხდი. მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე არ ჩამიდენია არაფერი ისეთი, რაც ჩრდილს ან ლაქას მიაყენებდა საბჭოთა პატრიოტის პატიოსან სახელს. ფიქრობდი: შვილი, რომელსაც თვალწინ მაპის მაგალითი ჰქონდა, კრისტალური, შესანიშნავი საბჭოთა ადამიანი უნდა გამხდარიყო, მაგრამ რა გამოვიდა? ეგოისტი, საშინელი ინდივიდუალისტი, უკმეხი, გონებაჩლუნგი, ქალივით პრანკია, ჭინჭებით გატაცებული, უსაქმური, რომელმაც არ იცის რა ღირს კილო

პური. და ბოლოს მკვლელი. ჩემი შვილებს შემიძლია ხედვარს, ხშირად მიფიქრია: „ვის დავმგვანა?“ მაგრამ პასუხი ვერ მოვძებნე. ვერ მოვასწარი. იგი სამი წლის იყო, როცა ფინეთის ომი დაიწყო და წავიდე იქ... დაბრუნდი დიდი სამამულია ომის დამთავრების შემდეგ და ბუთხუზა ბიჭის მაგიერ, რომელიც ოდნავ ბურღულუნებდა, განებივრებული, ეგოისტი ყმაწვილი დამხვდა. ბევრი ვეცადე შემოქმედება მომეხდინა: როცა ვავუწყებოდი, გაიბუტებოდა, დედასთან გაიქცეოდა, რომელიც, როცა საქმე ნიკოლოზს ეხებოდა, ერთ ალიაქოთს ამიტუნდა ხოლმე. ერთხელ დავსაჯე და საბავშვო ფოტოაპარატი წავართვი, მან კი ერთი კვირის შემდეგ დედამისის ნაყიდი ნამდვილი აპარატი მაჩვენა. მე დავშალე და გადავმალე პატარა ექსპლანდირი, დედამ კი ნამდვილი უყიდა. ჩემთვის საათი მაშინ შევიძინე, როცა კაპიტანი გავხდი, სწორედ იმ წელს, როცა ვაყი შემიძინა, მან კი ოცი წლისამ ხუთი საათი მიანიც გააფუჭა და დაკარგა.

ის ხედავდა მამას, რომელიც მუდამ უწყრებოდა, და ხშირად წამქეზებულ დედას, ამიტომაც მისკენ გადაიხარა. პატარა დას ხშირად სცემდა. მოსამსახურე ქალს სასტიკად ეპყრობოდა. დედას მასხარად იგდებს, თუმც ჩემი ეშინია... მითმენს, მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი სახელი საფრად ესაჭიროება. ვოლგინი მარცხენა ხელით ორდენის ნიშნებს შეეხებო. მე მისთვის მხოლოდ დამხოლოდ „წინაპარი“ ვარ, რომელიც ვალდებულია თავისი მეგობარე სიკეთით უზრუნველყოს. ომის შემდეგ, როგორც კი ერთ ჭრტქვეშ თავი მოვიყარეთ, მხოლოდ იმას ვაკეთებ, რომ მისი გულისთვის ვაწუხებ ყველას. სკოლაში ვთხოვე პედაგოგებს „მხედველობაში“ მიეღოთ ნერვიული, შთაბეჭდილებიანი ბავშვის ინდივიდუალური თვისებები“, მერე ინსტიტუტში „არ შეეღახათ თავმოყვარეობა ჭაბუკისა, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მოკლებულია საუკეთესო ნიჭის გაფურჩქვნის შესაძლებლობას“, შემდეგ, მილიციაში და პროკურატურაში ვეხვეწებოდი „არ დაეღუპათ ახალგაზრდა, რომელმაც შეცდომა დაუშვა“. ყველას ვთხოვდი, ვეღარიგებოდი და ყველა მითმობდა, აბა როგორ: „დამსახურებული მამა თხოულობს!“ თქვენ გგონიათ, რომ გულთ ვთხოვდი, არა, ცოლი მაძიებლდა, მაჯერებდა, ვაყრით მეშუქრებოდა. ჩემი „ნებაყოფლობით“ მოქმედებამ „ნებაყოფლობითმა“ თანხმობამ იმისა, რომ გზა მიმეცა ბანდიტისათვის, გამოიწვია ის, რომ თქვენ ზურგში დამბაჩა დაგიმიზნათ“ და აი — ფინალი! გოჭი გახდა ურცხვი ღორი, ეგოისტი, არამზადა, ვიცი, პრო-

კურორი სასამართლოზე დამნაშავედ მე გამო-
მიყვანს და სრულად მართალიც იქნება. აი,
თქვენ მითხარით: „ხომ არ გსურთ შვილი ნა-
ხოთი“ — განა ღირს?

ტატიანა სერგის ასული ყურადღებით უსმენ-
და. ვოლგინის უკანასკნელ სიტყვებზე წამოდგა
და მიუახლოვდა:

— ღირს გიორგი სემიონის ძე, — და მე მო-
მიბრუნდა, — ამხანაგო ტახოვ, გაეცით გან-
კარგულედა.

ათი წუთის შემდეგ ოთახში ახალგაზრდა ვო-
ლგინი შემოვიდა, მამა რომ დაინახა, ფიცხელი
მოძრაობით მისკენ გაიწია, მაგრამ შეჩერდა,
თავი ჩაღუნა.

პოლკოვნიკი შეილთან მივიდა. მძაფრად ჩა-
ავლო ხელი გულმკერდში, სახით სინათლისკენ
მიაბრუნა და თავშეკავებული, ნელი ხმით წარ-
მოსთქვა:

— ყური დამიგდე, ნიკოლოზ. მე არ ვაპი-
რებდი შენთან შეხვედრას, კაპიტანმა მირჩია.
დაიხსომე: რაც არ უნდა მოხდეს, შენი გულის-
თვის არავის შევაწუხებ. შენი საქციელი ვე-
რაგულია. უკანასკნელი, რასაც დედაშენის და-
სამშვიდებლად გვაკეთებ, ის იქნება, რომ დამ-
ცველს ავიყვან. და, თუ დახვრეტას მოგისჯიან,
შესაძლებელია, შეამდგომოდნა აღძვრა შეწყნა-
რების შესახებ. მშვიდობით!

პოლკოვნიკმა ვოლგინმა, მსუბუქად პკრა ხე-
ლი სახტად დარჩენილ შვილს და კარებისკენ
გაემართა. ახალგაზრდა ვაჟი ეტყობა, არ მოე-
ლოდა ასეთ შეხვედრას. გაფითრდა, ნაღვლიანი
თვალებით შემოგვხედა და მამამისს მივარდა.

— მამა! მე ის არ მომიკლავს.

პოლკოვნიკმა წარბები შექმუხნა და შვილის-
კენ შემობრუნდა.

— ერთობ, როგორც ყოველთვის. შენი ფე-
ხები, ხელები და კბილები უშენოდ მკვლელო-
ბის ადგილზე ვერ აღმოჩნდებოდა და მოკლუ-
ლის სისხლი თავისთავად ვერ მოგეცხებოდა.
თუ მკვლელი ან მკვლელის თანამონაწილე არა
ხარ, შენი ვალია, ძიებას დამნაშავის პოვნაში
დაეხმარო და კი არ თავხედობდე იმით წინაშე,
ვინც ჩვენს სიმშვიდეს იცავს. პოლკოვნიკი ამ
უკანასკნელ წუთს თითქოს უფრო მოხუცდა,
წელში მოხრილი მოგვიახლოვდა და ხელი მაგ-
რად ჩამოგვართვა:

— ნახვამდის, ამხანაგო ოფიცრებო, ვმად-
ლობთ.

კარები უხმაუროდ დახურა. დერეფანში აჩ-
ქარებული ნაბიჯების ხმა გაისმა. ოთახში სამა-
რისებური სიჩუმე დამყარდა, რომელიც ტა-
ტიანა სერგის ასულმა დააარღვია:

— ვოლგინ, დაჯექით.

ის დაჯდა. ფეხები სკამის ქვეშ შეაწყო. თვა-
ლებზე ცრემლი უბრწყინავდა. ჭუჭყიანი ცხვი-
რსახოცი ამოიღო, მოიწმინდა სახე და გაშტე-
რებულმა შემოგვხედა.

— რას იტყვით, ვოლგინ, — განაგრძობდა
გლებოვა, — იქნებ მიიღოთ დამსახურებული,
ყველას მიერ პატივცემული მამის რჩევა?

ვოლგინმა ცხვირი დააცემინა და ტატიანა
სერგის ასულს აღმაცერად გადახედა.

— თქვენ არ მოგცემთ ჩვენებას...

— აცილება?

— არა, ეს აცილება არაა, თქვენ მე გამი-
გებთ... თუ დამკითხავს თქვენი მოადგილე, მე
თანახმა ვარ.

— მომისმინეთ ვოლგინ, დაკითხვა იწერება.
ოქმი წაკითხული იქნება, შესწავლილი და დასკ-
ვნები გამოტანილი ჩემს მიერ. რაღა აზრი აქვს
თქვენს თხოვნას?

ვოლგინი წამოდგა და აღრინდელივით თავ-
ხედურად წამოიძახა:

— თუ გინდათ, ჩვენებას ლეიტენანტ ტახოვს
მივცემ, არა და განკარგულედა გაეცით უკან
წამიყვანონ.

გლებოვამ, რომელიც პატიმარს ზიზღით შეკ-
ყურებდა, ჩაილაპარაკა:

— ო, მეტისმეტად გაუნებებრიბხართ დე-
დათქვენს. საქმის წარმატებისათვის დაე ისე
იყოს, როგორც თქვენ გსურთ.

XII


მამასთან უეცარმა შეხვედრამ იმოქმედა
ახალგაზრდა ვოლგინზე, თუ მანამდე მოხდა მის
სულში გარდატეხა, არ ვიცი, მაგრამ მას უკვე
თავი აღრინდელზე უფრო სხვანაირად ეჭირა.
ჩვენ დიდხანს ვისაუბრეთ. ვოლგინი დაწყო-
ბილად და აზრიანად ლაპარაკობდა.

მან დადასტურა, ხალდინისა და ნორკინის
ნათქვამი ევარლიანთან ჩხუბის შესახებ.

— მაგრამ, იცით თუ არა ლეიტენანტო, მან
არამზადა მიწოდა და სილა გამაწნა. ჩემი სი-
ცოცხლის მანძილზე ეს პირველი სილა იყო,
ვოლგინმა ბოროტად დააკვესა თვალები. სილა-
მოს შეგვხვდი ყულღევს და მართლაც დავიტრა-
ბახე „მოკვლავ მეტი“. მაგრამ თქვენ ხომ ნა-
ხეთ თენგიზი და მეც მიცნობთ? განა შეეძლებ-
დი მე, იმ გოლიათის მოკვლას?

— მერე რა მოხდა?

— ყულიევთან ლაპარაკის შემდეგ, დობრო-
ლუბოვის ქუჩაზე № 1 სახლისაკენ გავეშურე.
შარსკების შესასვლელის დამბურში შევედი,
და გვარლიანის ცხედარი დავინახე. შოკოლადი
რომელსაც ვლექავდი, მოულოდნელობისაგან
პირიდან გამივარდა. თენგიზის წამოყენება
გვადე, ვიფიქრე, ცოცხალია და დახმარების



აღმოჩენა ესაჭიროება მეთქი. მაგრამ როცა დავრწმუნდი, რომ გვარლიანი მკვლარია, უკან დავიხიე, თვალი მოვკარი ქაღალდებს, ავიღე. ობლივაციები აქ მოჩნდა, მაშინვე ვადავყარე და იქაურობას სწრაფად გავვეცილე.

მე ჩავწერე ჩვენება და შევეცაოხე:
— რა გინდაოდათ შარსკების დამბურის შესახებ სვლელოში?

ვოლგინი შეიშმუნა, გაწითლდა, სიგარეტი მოსოვა და უხმოდ გააბოლა.

— იცით რა, ლეიტენანტო, ეს საიდუმლოა, აქ ქალიშვილის პატიოსნებაზეა ლაპარაკი და გთხოვთ არ გაახზაუროთ, კარგი? იქ იმიტომ მივიღე, რომ გამეგა როდის დამინიშნა პაემანი ინგამ.

ალბათ მან ჩემს სახეზე გაკვირვება ამოიკითხა და იმ წამსვე განაგრძო, მაგრამ პავლე ივანეს ძე შარსკი მე ორგანულად ვერ მიტანს, დაახლოებით ორი თვის წინათ თავის სახლიდან გამაძევა, ინგასთან შეხვედრა ამიკრძალა, და გამაფრთხილა: „ჩვენს რაიონში თუ დავინახე „ვისმარს“ მოგიხვევ“. ის შეასრულეს კიდეც. ეს მამა კი არა; ღესპოტია, მეორე კურსის სტუდენტია მოსწავლესავით სახლში ჰყავს გამოკეტილი, კინოში მარტო არ უშვებს. თითქმის ყოველდღე აკითხავს ინსტიტუტში. მას წარმოდგენა არა აქვს თანამედროვე ცხოვრებაზე, ახალგაზრდის მოთხოვნილებებზე, მის ქალიშვილს არა აქვს არც ერთი მოღურად შეკერილი კაბა, ჩანთა, ტუფლები. თუმცა ყველამ იცის, რომ მამამისს ფული ჩეჩქივით უყრია. ინგა ჩემს მიმართ გულგრილი არ არის, შეყვარებულია.

— შერთვას აპირებთ? — დავინტერესდი მე.

ვოლგინმა ამ შეკითხვაზე არ მიპასუხა და განაგრძო:

— მას შემდეგ, რაც შარსკიმ გამომაგლო, ისეთი მდგომარეობა შეიქმნა რომ შეხვედრას ვეღარ ვახერხებდით, ამიტომ მე და ინგა შევეთანხმდით: იგი შესასვლელის კედელზე დასწერდა ხოლმე პაემანის თარიღს, ვთქვით ასე „10.5.8—, ე. ო. 10 მაისი, საღამოს 8 საათი. მე შარსკის შეუმჩნევლად მივიღოდი იქ, ვგებულობდი, ან თვითონ ვუნიშნავდი პაემანს. ინგა წინასწარ აზნადებდა ნიდავს, კრებაა... პრაქტიკა. ავადმყოფ ამხანაგის სანახავად მივდივარო... და ერთმანეთს ასე ვხვდებოდით.

იმ დამესაც სწორედ ამიტომ მივიღოდი, მინდოდა გამეგო, ინგამ დამჩნიშნა თუ არა პაემანი, თუ არ დაენიშნა, მე დამეწერა თარიღი და აი... მოხდა ის, რაც გიაძებთ, მკვლარი... სისხლი და ასე შემდეგ.

გულბოვა არ იყო, ვოლგინი კამერაში დავაბ-

რუნე და შინ წავედი. გზაში ტრამვაიდან ჩამოვდივარ და შარსკის შესასვლელთან გაეჩნდი. კედლის გასისხლიანებული ადგილი, რომელიც ჩვენ ამოვკვეთეთ, მუშებს ადგდინათ, შევეკეთებინათ, ხოლო კარები მუქ-ნაცრისფრად შეეღებათ, რომელზედაც განცხადება, ალბათ შარსკის გაეკრა:

„ფრთხილად, შეღებილია. შემოუარეთ ეზოდან“.

ყოველივე ეს ჩემთვის მოულოდნელი იყო. რამე ხრიკს აქვს ადგილი? ვოლგინი დედამისისაგან მიღებული შპარხალკით ხომ არ მელაპარაკებოდა? იქნებ „დედ“ დაპირდა მას, რომ უზრუნველყოფდა შარსკის ქალიშვილის ჩვენებით? ამგვარი რამ ხომ წინადაც მოხდა, როცა მოწმებმა უარი განაცხადეს დაესახელებინათ მანქანის ნომერი, რომელიც მოქალაქე ნს დავჯახა.

XIII

ტატიანა სერგის ასული აღმოვთოდა, როცა ვოლგინის ჩვენებასა და შარსკის შესასვლელის კედლის დათვალიერების შედეგებს გაეცნო.

— თქვენ მართალი ხართ. ვოლგინის დედა ყველაფრის მოკვარაზტინებას შესძლებდა, საჭირო იქნება ინგას დაკითხვა. ტელეფონით გამოუძახეთ, მის მე გავესაუბრები. ტატიანა სერგის ასული კანცელარიიდან შემოტანილ ფოსტის დათვალიერებას შეუღდა.

— აბა, სწრაფად მოიყვანეთ ახალგაზრდა შარსკი, საჭიროა დავადასტუროთ ან უარყოთ ნიკოლოზ ვოლგინის ჩვენება. დიახ. კონსტანტინ ლვოვის ძე, თურმე ყველაფერი როდია ოქმის შედგენა, დაკითხვის წარმოება და ამა თუ იმ პარაგრაფით ხელმძღვანელობა. საჭიროა დადგინდეს ქურდი რატომ გახდა ქურდი, ხოლო ავაზაკი — მკვლელი. ძალზე ძნელი გამოძიებლის სამუშაო.

ინგა შარსკი სწრაფად გამოცხადდა. ქალიშვილი, რომ უხერხულ მდგომარეობაში არ ჩამეყენებინა, მის და ტატიანა სერგის ასულს შორის გულახდილი საუბრისათვის რომ სასურველი სიტუაცია შემიქმნა, გარეთ გამოვედი. შემდეგ კაპიტანის ვადმოცემითა და დაკითხვის ოქმით ვავიგე, რომ ინგამ დაადასტურა ნიკოლოზ ვოლგინთან ნაცნობობა, მაგრამ თავდაპირველად, პაემანის დანიშვნის ხერხი კატეგორიულად უარყო. როცა ტატიანა სერგის ასულმა დაარწმუნა ახალგაზრდა რბაში, რომ სწორ ჩვენებაზე დამოკიდებულია მისთვის საყვარელი აღამიანის ბედი, რომელიც გოგონას უშვარდა და მას საქმროდ თვლიდა, აღიარა:

— დიახ, მამა რომ არ გამებრახებინა, ჩვენ ჩუმად ვხვდებოდით ერთმანეთს. მორიგი შეხვედრის დღესა და საათს ვაცნობებდით შესასვ-

ლელის კედელზე გაკეთებული მინაწერით. უკ-
უქანსკენელი თარიღი — 30 მაისს 10 საათზე,
ჩემს მიერ იყო დაწერილი.

ინგას წასვლის შემდეგ, კაპიტანი ოთახში
წინ და უკან დადიოდა და დროგამოშვებით
ფანჯარასთან, ხან კი ჩემი მაგიდის წინ შეჩერ-
დებოდა.

— ჰმ... იცით რა, კონსტანტინ ლვოვის-
ძევ, ვოლგინის ბედი ამ „საფოსტო მინაწერებ-
ზე“ დამოკიდებული. მართლა არსებობდნენ
ისინი? — აღვივებ შესაძლებელია. მათ შესა-
ხებ ლაპარაკობს ორი ადამიანი, რომლებიც ამ
თარიღებს წერდნენ. ჩვენება რომ პელაგია
თეოფილის-ასულის მიერ ყოფილიყო ნაკარნა-
ხევი, ინგა მაშინვე გამოტყუდებოდა. ეს კი არ
მოხდა, მინაწერებზე ლაპარაკი არავითარ შემ-
თხვევაში არ სურდა, მაგრამ ჩემგან მიცემულ-
ლი სიტყვის შემდეგ, რომ საიდუმლოს არა-
ვის ვეტყვი, „გულის ფანჯალით“ გამოტყდა,
თარიღებს თითებზე ითვლიდა. ექნებ სისხლის
კვალმა დაჰფარა ის მინაწერები?... მოიცათ,
მოიცათ... რატომ არ შემაწყვეტინებთ და არ
შეიკარნახებთ „ტატიანა სერგის ასულო, უფრო
კარგად შეისწავლეთ ფოტოსურათები“. თქვენ
ხომ იმათ ჰხოლოდ ერთხელ და ისიც ნაჩქარე-
ვად გადახედეთ? აბა, მომეცით აქ საქმეები.

ჩვენ გაეშალეთ მაგიდაზე ნაკვალევის ფოტო-
სურათები. კაპიტანმა გამადიდებელი შუშა მოი-
მარჯვა, გარკვევით გამოჩნდა თარიღების ორი
რიგი.

10.4.7.	8.5.9
13.4.7.	15.5.8
18.4.9	30.5.9
28.4.8	24.5.15
2.5.14	30.5.8

— აი ისინი — თავგამოდებით ჩაილაპარაკა
კაპიტანმა გლებოვამ, ყურმილს გადასწვდა და
შარსკი გამოიძახა.

პოლკოვნი შარსკი მოვიდა. გლებოვას
მოუსმინა, ფოტოანაბეჭდს დახედა და საფეთ-
ქელი მოიფხანა:

— ეს ალბათ, ჩვეულებრივი, მენავთის ან
შერძევე ქალს წარწერებია. უფრო მენავთის.
არ მეგონა თუ ამდენ ნავთს ვხარჯავდიო. მა-
შინ როდესაც სახლში ელექტროქურა და გაზი
გვაქვს. გსურთ ცოლს შევეკითხები, დავაზუს-
ტებ?

— არა, არ ღირს, — მიუგო კაპიტანმა
გლებოვამ, და ფოტო კონვერტში შეინახა.

— მაშ რა გამოდის? — დავიწყე მე შარს-
კის წასვლის შემდეგ, — ყველაფერი ოთხ ნამ-

დილადაც ასეა, უნდა ვლიაროთ, რამდენიმე
გზით არ გვიწარმოებია ძიება, უფრო ზუსტად
რომ ვთქვათ, გზის გასაყარზე საჭარო მიმარ-
თულება ვერ ავიღეთ და ახლა შესაფერი „გა-
დასასვლელის“ ძებნას უნდა შევედევით.

— მთლად ასე როდია, — შემეკამათა ტა-
ტიანა სერგის ასული. — გამომძიებლისათვის
ყველაზე საშიშია „გადასასვლელის“ ძებნა. უკე-
თესი იქნება უკან დავიხიოთ... მოდი ასე მო-
ვეცეთ. ვოლგინის ჩვენებას პირობითად ჰქმ-
მარბიტებად მივიჩნევ: ის არ იყო თანამონაწი-
ლე, დრამის მოწმე, მაშ რაღა გვრჩება ხელ-
ში?

— გვარლიანი მოჰკლეს ორში დამით. დი-
ლით სიკვდილის წინ კი ბარათი მიიღო, რომ-
ლის ტექსტმა იმდენად ააღელვა და გააბრაზა,
რომ დასწვა. რა შეიძლებოდა ყოფილიყო წე-
რილში? მუქარა? რამე უსიამოვნო და დიდი-
ხნის წინააღმდეგობრივი საქმის გახსენება?
შანტაჟი? მიბატოება პაემანზე საჩოთირო სა-
კითხის გამოსარკვევად? შევჩერდეთ ამაზე და
დაუშვათ, რომ იმ საბედისწერო დღეს გვარ-
ლიანმა მიიღო წერილი, რომლითაც მას იწვევ-
დნენ მისთვის და წერილის ავტორისათვის სა-
ინტერესო საქმის გადასაწყვეტად, რადგან ერ-
თსაც და მეორესაც გვარლიანის მისამართი
ეცოლინებოდა. წერილი ავტორმა კი არ
იცოდა. მასასაღამე, იგი ჩამოსულია ან თენ-
გიზს შორიდან იცნობდა. წერილი გაგზავნა,
თუმცა მისი მოსვლის იმედი არ ჰქონდა. და
ამიტომაც თენგიზს მანქანიდან უთვალთვალებ-
და. ეს აღასტურებს იმას, რომ მკვლელი ადგი-
ლობრივი მცხოვრებია, ამასთან, შოფერი. უც-
ნობი უთვალთვალებს გვარლიანს, დაწვევა
მას დობროლუბოვის ქუჩაზე, კლავს, ამოაც-
ლის რაც მას აინტერესებს, შესაძლებელია,
მხოლოდ და მხოლოდ საბუთებს და იმალება.
აი, ყველაფერი რის თქმაზე შეიძლება.

გლებოვა დაფიქრდა, თავი დააქნია.

— არა, შემდეგ ვოლგინის მიტმასნებელი
ჩვენება. რა გამოდის? საკმაოდ სიმართლის
მსგავსი სურათი. დღეს, როცა თავიდან ვი-
წყებთ ყველაფერს და ვუბრუნდებით გზების
გასაყარს, ოდნავ უფრო მეტი ვიცით საქმის
შესახებ ვიდრე პირველ დღეს.

— ვოლგინზე რას იტყვი?

— ვოლგინზე? ჰმ... დრო გვიჩვენებს.

XIV

კაპიტანი გლებოვა მოხსენებისათვის პოლ-
კოვნიკ გრემიაჩევსკისთან წავიდა. ის-ის იყო.
მემანქანის მიერ გადაბეჭდილი „ქარხანა“ „მილი-
კიდან“ გატაცებულ ნივთებზე“ შედგენილ
ოქმის შედარებას ვამთავრებ, რომ კარგი

ფართოდ გაიღო და ოთახში ტატიანა სერგის ასული შემოვიდა. სახე ოდნავ ვაფთობებოდა, თვალებში ნაპერწკლები უელავდა.

— ამხანაგო ტახოვ, მიატოვეთ ყველაფერი, აიღეთ ქული და წამოდიოთ.

— შორს უნდა წავიდეთ? რა წამოვიღო?

— არაფერი, დაუკავებიათ მანქანა, რომელსაც ბარჯვენა ეკანა საბურველი დეფექტიანი აქვს. სწრაფად... სწრაფად...

საბურველი მაგიდიდან უსიტყვოდ ავალავე, ქული დავიხურე, რევოლვერის ბუდე გავისწორე, კარები მოვიხურე და ხმაამოუღებლად კაპიტან გლებოვას გავყვი

შესასვლელთან ოპერატიული ავტომანქანა გველოდებოდა, ჩავეჭკით, ტატიანა სერგის ასულმა განკარგულება გასცა.

— ქალქის მორიგესთან.

— ჩვენ შემოგვეგება მორიგის თანაშემწე-რომელმაც ვიწრო დერეფნით ეზოში გავვიყვანა. კვადრატულ შემონახულ ასფალტის შუაგულში ნაცრისფერი „პობედა“ იდგა. ვილაც ახოვანი მამაკაცი მილიციის მორიგეს ეკამათებოდა, უმტკიცებდა მანქანის დაკავების უკანონობას. უცნობს მსუქან სახეზე, ხშირ წამწამებში ჩამჯდარი შავი თვალები, სწორი ცხვირი და მოკლე უღვაშები მოუჩანდა. კისერზე კი მძღოლის დიდი სათვალეები ქანაობდა. მორიგეს ხელში საბურველის დასტა ეჭირა და დროის გაყვანის მიზნით ზანტად პასუხობდა. ჩვენ რომ დაგვინახა ლაპარაკი შეწყვიტა.

— აი კაპიტანი გლებოვაც მოვიდა, ელაპარაკეთ მას.

მანქანის მფლობელი ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა.

— გამარჯობათ, ამხანაგო კაპიტანო, მე პოლიტექნიკური ინსტიტუტის დოცენტი ანატოლი იგორისძე კობროზინი ვარ. ცოლთან ვიყავი აგარაკზე, საკუთარი მანქანით უკან ვბრუნდებოდი, გზაში შემაჩერეს — კანონიერი მოქმედებაა, არაფერი მაქვს საწინააღმდეგო, მაგრამ მანქანა და საბურველი რაზედ ჩამომართვეს ეს კი უკვე ერთი საათია ვერ გამირკვევია, იქნებ მითხრათ რაშია საქმე?

ტატიანა სერგის ასული მოლაპარაკეს დაიწყო და დააქერდა და შემდეგ მის ფეხებს მიაჩერდა. დოცენტს ორმოცდა ხუთი ზომის ყავისფერი ფეხსაცმელები ეცვა. გლებოვამ ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია. წყნარად შემოუარა მანქანას, შეჩერდა, და უკანა ბორბალს ფეხი წაჭკრა.

— ამხანაგო ტახოვ, აუშვით მუხრუჭები და მანქანა ნახევარი მეტრით წინ წასწიეთ.

მე შევესრულე მითითება. ჩვენს წინ დაზიანებული საბურავის კვალი ნათლად გამოჩნ-

და. გლებოვამ ყურადღება არ მიიქცია დოცენტს და მორიგეს მიმართა:

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, მოქალაქე კობროზინი ჩვენთან უნდა წამოიყვანოთ. მოქალაქე, გამოსეირნება მოგიხდებოთ. თქვენთან სალაპარაკო გვაქვს. ამხანაგო ტახოვ მანქანას შენ წაიყვან. დასხედით.

კობროზინმა მხრები აიჩეხა და მანქანის უკანა საფარძელში ჩაჯდა. გვერდზე გლებოვამ მიუჯდა. მე სიჩქარე ჩავრთე და გაზს ფეხი დავაჭირე.

როცა მილიციაში მივედი დოცენტს ვთხოვეთ მისაღებ ოთახში მოეცადა. მანქანა კი ეზოში შევიყვანეთ. გლებოვას განკარგულებით, პატარა მოედანს ცემენტის თხელი ფენა მოაყარეს, რომელზედაც დაკავებული „პობედა“ მე რამდენჯერმე წინ და უკან ვავატარე. მანქანის მიერ დარჩენილ კვალს მაიორმა ლუქსმა სურათი გადაუღო.

ზუსტად თხუთმეტი წუთის შემდეგ გლებოვას ხელთ ჰქონდა კობროზინის მანქანის საერთო ნაკვალევისა და კერძოდ, უკანა, მარჯვენა საბურავის ანაბეჭდი. უდავოა თენგიზის მკვლელი ან მკვლელები თავიანთ მსხვერპლს ამ მანქანიდან უთვალთვალდნენ.

— გამოიყვანეთ კობროზინი, — გასცა განკარგულება გლებოვამ.

მას საკმაოდ უცნაურად ეკავა თავი, შეკითხვებზე დაბნეულად პასუხობდა, კითხვებს ხშირად ამეორებინებდა და გამომძიებელს თვალს ვერ უსწორებდა. კითხვაზე, თუ სად გაატარა დრო ორი ევნისის 24 საათიდან სამი ევნისის დღამდე, კობროზინმა პასუხი დააყოვნა. მან დიდხანს იფიქრა, უბის წიგნაკში ჩაიხედა, გაწითლდა და ყოყმანით წარმოთქვა.

— ჩემის აზრით, პროზაულად რომ ვთქვათ... სახლში... თემცა არა, შესაძლებელია აგარაკზე, ცოლშვილთან... მესხიერება ძალზე ცუდი მაქვს... კონტუზიის შედეგია...

როცა კობროზინს თენგიზ გვარლიანის ფოტოსურათი წარუდგინეს, შეშფოთდა.

— მომიტყვეთ... რასაკვირველია ვიცნობ, ძალზე კარგად ვიცნობ. ჩვენი საწყალი გვარლიანი... ნე-ე-ბა მი-ბოძეთ... ძალზე შეშფოთდა, წამოდგა, ისევ დაჯდა, ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოიღო, მოიწმინდა შუბლი, კიფა, ყური, გლებოვას შეხედა და მზერა ჩემზე გადმოიტანა.

— მოიცათ... ჩემზე რაიმე ეჭვი ხომ არა გაქვთ?

— თქვენ მიხვდით, — დამარცვლით წარმოთქვა კაპიტანმა გლებოვამ, — ჩვენ გვაქვს იმის დამადასტურებელი საბურველი, რომ: თენგიზ გვარლიანის მკვლელებს, ორი ევნისის და-

მით თქვენი მანქანით უსარგებლიათ. კობროზინი სკამიდან წამოხტა, და აღმოფოთებულმა გლეზოვას შეხვდა.

— ამხანაგო, ეს გამორცხულია. მე დაგიმტკიცებთ, რომ ორ იენისს დღის ოთხ საათიდან სამი იენისს დღის ცხრა საათამდე, ჩემი მანქანა პრივოლნას გარაჟში იდგა. ხოლო ლამის პირველ საათზე ჩემი მანქანიდან ბენზინს ჩემი მეზობლის მწერალ რაჩკოვსკის მანქანაში ვასხამდი. მისი ტელეფონია, — მან სწრაფად ამოიღო უბის წიგნაკი, — ამგვარად, ამგვარად, რაჩკოვსკი. დიახ... სამი-თექვსმეტე ოცდაშვიდი. დაუყოვნებლად დაურეკეთ. სანამ არ დაუკავშირდებით, სიტყვას არ დავძრავ.

მართლაც მწერალმა სიტყვა სიტყვით დაადასტურა კობროზინის ჩვენება. ყოველივე ეს სიმართლეს გავდა. კაპიტანი გლეზოვაც ოდნავ შეცბუნდა. დოცენტმა გამომძიებლის სახის გამომეტყველებაზე ამოიკითხა თავისი მოწმის პასუხი და საბოლოოდ გონს მოეგო.

— ნება მიბოძეთ გავიგო, რამ გაიძულათ დარწმუნებულიყავით იმაში, რომ მკვლელები ჩემს მანქანაში ისხდნენ?

გლეზოვამ გადმოხედა.

— თქვენი მანქანის უკან მარჯვენა საბურავს ნიშანდობლივი ღეფექტი აქვს.

— ღეფექტი? საბურველის შენაზარღზე ამბობთ? არა?

— დაუშვათ... თავი აარიდა პასუხს გლეზოვამ.

— მაგ საბურვის უკუგდება ადვილია. ჩემს გარაჟში ამჟამად სამი ახალი საბურავი არის, რომლის კომპლექტი ახლახან გუტაში შევიძინე და ყველას სწორედ მაგადგვარი ნაკლი აქვს. აი გარაჟის გასაღები, წაბრძანდით და დარწმუნდებით...

დოცენტის მანქანით, მის სახლისკენ გაემგზავრეთ. გარაჟის ერთ კუთხეში ერთმანეთზე სამი საბურავი იღო, ორ მათგანს იგივე წუნი აღმოაჩნდა, როგორც მანქანაზე გაკეთებულ, უკან მარჯვენა საბურავს ჰქონდა.

— აა... ვაგრაძელა სიტყვა გლეზოვამ, — გვაბატეთ.

— როგორ გეკადრებათ... მოხარული ვარ, — გულწრფელად მიხარია... რადგან ამ განსაკუთრებული ნიშნის გამო მე დამაკავთ, შესაძლებელია ამავე ნიშნით მკვლელებიც შეიპყროთ.

ბოდიში მოვიხადეთ შეწუხებისათვის. გამოთხოვებისას მან მაგრად ჩამოგვართვა ხელი, გვარწმუნებდა, რომ გულწრფელად მოხარულია ჩვენი გაცნობით.

ამან საქმეს ვერ უშველა. ტატიანა სერგის ასული ძალზე დაღლილი და გაჯავრებული იყო. კიბზე რომ ავლიოდით, იგი უეცრად შეჩერდა:

— კოსტია, ჩვენი გეში არა მარტო წყალა, არამედ ძალზე არამყარია. ჩვენ განვაგრძობთ მანქანის ძებნას. მაგრამ საჭიროა გავაძლიეროთ თვალურხის დევნება, რომ მკვლელი აღმოვაჩინოთ... ბიჭებმა მაინც იყოჩაღეს: წუნდებულნი საბურველის მიერ დატოვებული კვალი შეამჩნიეს როცა დოცენტი მანქანით პრივოლნოში მიემგზავრებოდა, ხოლო უკან გამობრუნებისას დააკავეს იგი. ერთი სიტყვით — ეძებენ, ხოლო ვინც ეძებს, იგი ყოველთვის იპოვის.

მე მაეიდასთან ვიჯექი და ყურადღებით ვისმენდი კაპიტან გლეზოვას ლაპარაკს...


— დაეწყით ხელახლა, როგორც იტყვიან: „ფეხის ფრჩხილებიდან“.— მან გვარლიანის პირადი საქმე გადაშალა. — იმ დღეს მიზანს ავაცილეთ, შეხედეთ, „რომელი ენები იცის კარგათ?“ პასუხი: „რუსული, ქართული, ინგლისური“. „სუსტად?“ — „ასურული“. ეს თუ გახსოვთ?— მე ჩავიბურღლუნე.— მე და თქვენ სიტყვა „ასურულიდან“ დაკავშირებით წარმოგვიდგება ასურეთ-ბაბილონის სამეფო ისტორიის სახელმძღვანელო. ხომ სწორია? თქვენ მაშინ რეპლიკა ისროლეთ: „განა ღირდა მკვდარი ენის შესწავლაო!“ მე დაგეთანხმეთ და ორივემ დაუდევრობა გამოვიჩინეთ. აქ ძველი სამეფოს ენა კი არ არის, არამედ, თანამედროვე ასირელებზეა ლაპარაკი, რომელთა წარმომადგენლები ჩვენს ქალაქშიც მოიპოვებიან. გვარლიანმა ასურული ენა იცოდა, მაშასადამე, შარსკის ფანჯრებს ქვეშ შესაძლებელია სწორედ ამ ენაზე საუბრობდნენ.

— მაგრამ ვოლგინი? — შევეკითხე მე. — განა მან ასურული იცის?

— უნდა შევამოწმოთ, ჩემის აზრით, პელაგია უნდა დავკითხოთ. ბოლოს და ბოლოს გიორგი სემიონის ძე შევაწუხოთ. შემდეგ: შოკოლადზე „ვილაპარაკეთ“, ხოლო ეტიკეტი მხედველობიდან გამოგვჩა. გლეზოვამ შოკოლადი „რუსული ზღაპრების“ გასახვევი ქალაქი, რომელიც ცხედართან იპოვეს და აგრეთვე გამაღიღებელი შუშა გამოიწილა.

— დააკვირდით... იისფერი შტემპელის კვალი: რესტორანი „ოლიმპი“. როგორც ჩანს შოკოლადის ბატონი ნაყიდა იქ, პირველი კლასის რესტორანის ბუფეტში. სწორედ მკვლელობის დღეს.

— გეთანხმებით, — დაფუდასტურე მე. — ამგვარად, თქვენ წაიღებთ შოკოლადის გასახვევ ქალაქს, ვოლგინის ფოტოსურათს და წახვალთ „ოლიმპში“, დაზუსტებთ ყველაფერს. რასაც შეძლებთ. ახლა კი განვაგრძობთ... ტატიანა სერგის ასულმა გვერდზე გას-



წია შოკოლადი, გამადიდებელი შუშა და გამარჯვებული ადამიანის იერთ ვოლგინის საქმეების გადასინჯვას შეუდგა, რომელიც ქალაქის მილიციის ოთხ სხვადასხვა რაიონულ განყოფილებას წარმოედგინა.

— აი შეხედეთ: სამი წლის წინად ვოლგინს ხულოგნობა ჩაუდენია ახალგაზრდობის მეგლისზე, ალიოზ პარესის-ძე ოხუნევთან ერთად, რომელიც არავითარ გარკვეულ საქმიანობას არ ეწევა. მომდევნო წელს ვოლგინი ყომაზბაზთა ბუნავის ლიკვიდაციის დროს დაუპატიმრებიათ. ამ ბუნავის შემქმნელი ალიოზ პარესის-ძე ყოფილა. შემდეგ: ჩხუბი დანებით, რის შედეგად დაუკავებიათ ხუთნი, მათ შორის ვოლგინის. გარდა კვლავ უსაქმური ა. პ. ოხუნევია. დასასრულ საქმე მოხუცი ქალისა, რომელიც დაახინა ვოლგინმა, როცა „მერსედესს“ მართავდა. მოწმე, რომელმაც პროკურატურაში დაზარალებულის ჩვენება უარყო, ოხუნევი აღმოჩნდა. ვინ არის ეს ოხუნევი? — ვოლგინის უცვლელი მეგზური და თანამონაწილე? რომელია მათ შორის „ბოროტი სული“? ვინ ვის ხელმძღვანელობს? საოცარი დამთხვევაა და მისი შემჩნევა შესაძლებელი გახდა ამ ოთხივე საქმის გადახედვის შედეგად. რაკი მეხუთე საქმეც შედგა, ხომ არ იქნება ურიგო ლოგიკურად ვივარაუდოთ, რომ „მეხუთე საქმეშიც“, ვოლგინთან ერთად მოქმედებს ოხუნევი, არავითარი პროფესიის მქონე ადამიანი? ჩაიწერეთ: სასწრაფოდ იქნას აღმოჩენილი ოხუნევი. ახლა კი:

გლებოვამ ციხის უფროსის ცნობა გამომიწოდა. მე ჩუმად გადავიკითხე: „ამა თვის ცხრა რიცხვში მეხუთე კამერიდან განთავისუფლებულ ტანა მოქალაქე სიმონ ივანეს-ძე საზანჩივი“. ტატიანა სერგის ასული თვალყურს მადევნებდა.

— მიხვდით? მეხსიერებას ძალას ნუ დაატანთ. ათში ვოლგინის დღდასთან „ახალგაზრდა სტუდენტი“, მივიდა. რომელმაც მას კოკოს „წამების“ ამბავი მოუყვა და მისი ვაყისათვის ხუთასი მანეთის გადაცემა ითავა? მოიგონეთ?

— რასაკვირვებლია.

— საზანჩივი მე მოუყვი. ვიცნობ მაგ ფრინველს. ჩვენ ძველთაძველი ნაცნობები ვართ. ამდაგვარად უფრო შევისწავლით საქმეს.

XV

რესტორან „ოლიმპის“ დირექტორმა დაათვალიერა შოკოლადი „რუსული ზღაპრების“ გასახვევი ქალადი, აგრეთვე ვოლგინისათვის ჩხრეკის დროს ჩამორთმეული შოკოლადი და მტკიცე ხმით განაცხადა:

— შოკოლადი ჩვენს ბუფეტშია ნაყიდი. რა შილა საქმე? ვთხოვთ, მიიღოთ მხედველობაში: — დარიცხვა აუცილებელია. ზოგმა არ იცის...

მე დაემშვიდე და ვუთხარი, რომ ჩემი მოსვლა არ არის დაკავშირებული ფასების დარღვევის საკითხთან და ვთხოვე დამხმარებოდა იმის დადგენაში, თუ როდის და ვინ იყიდა ეს შოკოლადი.

მებუფეტე ქალმა — ჩასუქებულმა შნოიანმა დედაკაცმა, რომელსაც სქელი წაბლისფერი თმების ზემოთ ძალზე გახამებული თეთრი მაქმანის ნაკერი ჰქონდა დამაგრებული, მანკვაგრებით მომისმინა. მოიტანა ჩანაწერები და განაცხადა:

— ორში ოთხი შოკოლადის ბატონია გაყიდული. იცით, ამხანაგო ლეიტენანტო. ეს შოკოლადი ასორტიმენტისათვის გვაქვს, რადგან მაინცდამაინც გასავალი არა აქვს.

რამდენიმე წუთის შემდეგ დავაზუსტეთ, რომ შოკოლადი გაციემულ იქნა მეშვიდე მაგიდაზე, რფიციატ ხულოვის მიერ.

დარბაისელმა კაცმა, რომელსაც შავი სერთუკი და ორიგინალური ჰალსტუხი ეკეთა, მოიგონა შოკოლადის მიტანის ამბავი და როცა ვოლგინის სურათს დახედა, თავი დააქნია.

— დიხ, მას მივართვი, მხიარული ახალგაზრდაა. ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის შვილია, და ჩვენი ხშირი სტუმარია. როგორც მახსოვს, იმ საღამოს ამხანაგებთან ერთად მოვიდა. ისიც კარგი ყმაწვილია, მაღალი, შავგვრემანი. ამ ახალგაზრდებს კარგი გემოვნება აქვთ. ისაუზმეს, დალიეს, არც თუ ისე ბევრი, ბოლოს ერთი ბოთლი შამპანური, ხილი და შოკოლადი მომთხოვეს, ანგარიში გამისწორეს და დაახლოებით 12 საათი იქნებოდა, წავიდნენ.

როცა ანატოლ ხულოვი დაკვირვებულ და საკირო ცნობები შევავროვე, სამმართველოში დავბრუნდი. დერეფანში პელაგია თეოფილეს ასული ფუსფუსებდა. მე მივესალმე. და კაბინეტში შევედი.

კაბიტანი გლებოვა ელაპარაკებოდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც თავს ძალზე თავისუფლად გრძნობდა, ყავისფერ თვალებს აბრიალებდა, პაპიროს ეწეოდა და ჩემს უფროსს უტიფრად შესცქეროდა.

— მე რას მერჩით, ა? თქვენც ხართ რაღა... კაცი პატროსნად მუშაობს, თქვენ კი მას საპატიმროსკენ უბიძგავთ.

ტატიანა სერგის ასული სავარძლის ზურგს გადააწვა.

— მოდით, დავაზუსტოთ. ოცდათერთმეტ მაისს დავაპატიმრეს?

— ღიახ, მიორმა ივანოვმა დამაკავა.
 — გაგანთავისუფლეს ცხრა ივნისს?
 — ღიახ, გამანთავისუფლეს. დარწმუნდნენ, რომ უდანაშაულო ადამიანს ცილი დამწამეს და მითხრეს: ბოდიშს ვიხდით, საზანჩიკ, შენ თავისუფალი ხარო.
 — თქვენ მესხეთე კამერაში იჯექით?
 — სწორია, ვიჯექი. საღაც ჩამსვეს, იქ ვიჯექი.
 — თქვენთან ერთად, კამერაში ნიკოლოზ ვოლგინი იმყოფებოდა?
 — ასეა, იმყოფებოდა. მოიყვანეს „სტილია-ვა“, დედას ბიჭი...
 — თქვენ იცით, რისთვის არის იგი დაპატიმრებული?
 საზანჩიკმა ლაპარაკის ტონი შეცვალა.
 — თქვენ გასურთ თქვით, რაზეა იგი ეშვმიტანილი?
 — ღიახ, ღიახ.
 — მისგან მოვისმინე...
 — ყური დამიგდეთ, ჩვენ „ძველი ნაცნობები“ ვართ. — ახალგაზრდა კაცმა ჩაიცინა. — ვოლგინს ადანაშაულებენ ამხანაგის მოკვლაში... პირდაპირ გეტყვი — ეს თქვენ იცით. ჩვენთვის აგრეთვე ცნობილია ისიც, რომ როცა განთავისუფლების ამბავი შეიტყე, ვოლგინისაგან დაგაღება მიიღე — მისულიყავი დედამისთან, გეამბნა მისთვის ათასგვარი მოჩმასული ამბავი და შემდეგ კი გამოსტყუეთ ხუთასი მანეთი, ვითომც ნიკოლოზისათვის გადასაცემად. ესაა ზედგამოჭრილი ასსამოცდამეცხრე მუხლის პირველი პუნქტი.
 საზანჩიკმა თავი გაიქნია და საფერფლეში წერ კიდევ დაუმწვარი პაპიროსი დაუდევრად ჩააქრო.
 — ეხ, ტატიანა სერგის ასულა, არა ხართ მართალი, სიტყვა — სიტყვაა, თუმც საზანჩიკმა თაღლითობა მიატოვა, მაგრამ კოდექსის მუხლები არ დავიწყებია. აქ დანაშაული არ არის. დავუშვათ, რომ თქვენ მამღვეთ კაბრას. „გადაეცით ლეიტენანტსო“. სულით და გულით მინდა შევასრულო თხოვნა, მაგრამ ლეიტენანტი არ არის, წასულა. ვერ შევძელი მომეძებნა. ამის შემდეგ თქვენ რომ შემხვდეთ გაიძვერა უნდა მიწოდოთ? არ იქნებით სწორი. როცა ენახე გადაეცემ. განა მე მოვთხოვე იმ ქალბატონს ფული? არა, თვითონ მომცა — „როცა შეხვდები გადაეცია“. გამოვართვი, რატომ არ უნდა დავხმარებოდი? ენახე მის შვილს და გადაეცემ... თქვენ რა, სერიოზულად ლაპარაკობთ კოდექსის შესახებ?
 ახალგაზრდა კაცი მოიღუშა, მის სახეზე ღი-

მილი გაქრა. ტატიანა სერგის ასულმა კი ხანს დაყოვნდა და ნელი ხმით დაიწყო:
 — თქვენში იბრძვის ორი საზანჩიკი. ძველი, „საკანში“ მყოფი და ის, რომელმაც ახალი ცხოვრება დაიწყო. ვიცი, ადვილი არაა თქვენთვის. ხომ ხედავთ არაფერს არ ვიწერ და თქვენი თანხმობის გარეშე არც არაფერს ჩავიწერ. ჩვენ მხოლოდ თქვენს დახმარებას მოვითხოვთ.
 — რით?
 — შეკითხვაზე, — სიმართლით. „საკანის“ საზანჩიკი, რასაკვირველია, გვაპასუხებს: „არა“. „არა“ ეგ უფრო ადვილი სათქმელია, ვიდრე „ღიახ“. არას თქმით მოკლედ მოსჭრი. ხოლო „ღიახთან“ ბევრი ხლადფორთია დაკავშირებული, წამოგცდება თუ არა, დაგაყრიან უამრავ შეკითხვებს. რატომ? რისთვის? ვისთვის? ვისგან? ტატიანა სერგის ასულმა გაიღიმა. — ასე არ არის? ა?
 საზანჩიკმა გულიანად გაიცინა.
 — რა შესანიშნავი ბრძანდებით, ყველაფერი იცით და თავს იკატუნებთ, ჰაი, ჰაი, რომ აწი აღარ მოგატყუებთ, მკითხეთ რაც გასურთ და პატიოსნად გიპასუხებთ:
 — მჯერა. დედისათვის გადასაცემი დავალების გარდა, ხომ არ გადმოგცათ ვოლგინმა სხვა რამ, თუ გნებავთ ბარათი? საზანჩიკ, თქვენ სიტყვა მომეცით, რომ სიმართლეს ილაპარაკებთ.
 ხანგრძლივი დუმილი ჩამოვარდა. საზანჩიკი თითებს შორის პაპიროსს სრესდა, დიდხანს უკირკიტებდა ასანთს, შემდეგ გააბოლა, მოჭუტული თვალი კვამლის ნაკადს გააყოლა და კი არ უთქვამს ნაძალადეგად გამოცრა კბილებში.
 — ღიახ, გამატანა.
 — ვისთან? — სწრაფად ჰკითხა გლეზოვამ.
 — აი ხომ ხედავთ, ვის? რაზე? რატომ? არაფერი ვიცი, დაწერა და მითხრა: წახვალ მელითონეთა კულტურისა და დასვენების პარკში, იკითხე „აყლაყულას“ და გადასცემო — ესაა და ეს.
 — თქვენც წახვედით და გადაეცით?
 — არა
 — რა ეწერა ბარათში?
 — არ ვიცი.
 — საზანჩიკ, თქვენ ხომ თქვით „ხო“.
 — გინდათ, დავიფიცო? მართალია წავიკითხე, მაგრამ ვერაფერი გავიგე, ასოები ჩვენი იყო, ხოლო სიტყვები — არა. ვუთხრებ ვოლგინს: „ეს რა არის? იქნება სწერ, ვინც ამ ბარათს გადმოგცემს თავი გაუტყუეო. მან მიპა-

სუხა: „სულელო, ეს ასურულად კარგად ყოფნას“ ნიშნავს.

— რა ენაზეო? გლებოვას თვალეში ნაპერწკლები აენთო...

— ა-სურ-ულა-ლო... — დამარცვლით გაიმეორა საზანჩიკმა, ეპ, ტატიანა სერგის ასულს, სულ დამაბნეით, ცუდად გამოგვივიდა. სხვას რომ დავემტკრიე, სიტყვასაც ვერ წამომაძღვევინებდა, თქვენ კი...

გლებოვამ თვალეში მკაცრად შეხედა, ადგა და ხელი გაუწოდა.

— დავრწმუნდი, რომ თქვენ ნამდვილად ახალი ცხოვრება დაგიწყიათ. მაღლობელი ვარ, რა ხმარებისათვის.

ახლაგზრდა კაცმა ქუდი თვალეზე ჩამოიფხტა, კარებს ფეხი გაკრა, სწრაფად გამოვემშვიდობა და გარეთ გავიდა.

— ახლა ჩვენ მოვილაპარაკოთ, — თითქოს არაფერი მომხდარაო ისე მშვიდად დაიწყო ტატიანა სერგის ასულმა — მომასხენეთ მოკლედ, რაც ყველაზე არსებითია.

რამდენიმე სიტყვით მოვასხენე კაპიტანს, რესტორან „ოლიმპიაში“ ჩემს მიერ დადგენილი ზოვიერთი ამბის შესახებ და ოქმი გადავიცი. მან ხუდოვის ჩვენება წაიკითხა.

— კოსტია, ამჟამად, ისე როგორც გუშინ და გასულ კვირას, ჩვენს წინაშე ერთი ამოცანა — ვოლგინის თანამონაწილე, გვარლიანის მკვლეული ვიპოვოთ.

XVI

მე ტატიანა სერგის ასულს დავეთანხმე. ვოლგინის თანამგზავრი ანუ „ბოროტი სული“ — ოხუნევი, შესაძლებელია ყოფილიყო ვოლგინის თანამონაწილე გვარლიანის მკვლელობაში. რატომაც არა. ვოლგინზე შედგენილ ყველა საარქივო საქმეში ალიოზ ოხუნევი მოხსენებული იყო ვერხნი-ნაგორნის ქუჩაზე № 171 სახლში მცხოვრებად. სწორედ იქით გავეშურე.

ქუჩის ბოლოში იდგა ოდა სახლის მსგავსი შენობა. აქ მანქანათმშენებელი ქარხნის მუშის ვურგონის ოჯახი ცხოვრობდა. ეზოში ავი ძაღლის ყეფაზე გამოვიდა სახლის პატრონი და მითხრა, რომ ეს სახლი თითქმის ორი წელია მოქალაქე გრაფირა ნიკანორის ასულ ოხუნევისაგან ვიყიდე, რომელიც ტაგანროგში წავიდა, ხოლო მისი შვილის ალიოზ ოხუნევის შესახებ კი არაფერი ვიციო.

სამისამართო ბუროში ასეთი ცნობა მომცეს: ოხუნევი ალიოზ ბარესის-ძე ორი წლის

წინათ ქალაქიდან გაემგზავრა. იქვე საზინაო წიგნიდან მისი ამოწერის თარიღი ესკაპიტანმა გლებოვამ ცნობას სკეპტიკურად გადახედა.

— ეს როგორ? ქალაქიდან გავიდა და მის შემდეგ საქმეებში ორჯერ გამოჩნდა? რაღაც საეჭვოა, ალიოზი რომ ქალი იყოს, იტყოდა კაცი, რომ „გათხოვდა“, გვარი გამოიცვალა და ასე შემდეგ. ეს კი მაფიქრებს, რა ვიღონო?

— დაპკითხეთ ვოლგინი.

— ვოლგინი? მაგდაგვარი ტიპების მიმართ, საჭიროა საფუძვლიანი და მოულოდნელი მტიცება. ჰმ... იმედი დავამყაროთ იმაზე, რომ საზანჩიკი დავეხმარება „აყლაყულას“ მოძებნაში — სისულელეა... თუმცა ამ „შროიანი“ ბიჭისაგან, გამოგიტყდები, იმასაც არ მოველოდი, რაც გვიხარა. დღეს უამრავი საქმე მაქვს. მე წავალ, თქვენ კი იფიქრეთ.

XVII

ცნობები, რომლებიც „აყლაყულას“ შესახებ მივიღეთ, ძალზე ცოტას გვეუბნებოდა; მაღალი, ახლაგზრდა კაცი, რომელსაც არაჩვეულებრივად ღონე, შავი ხუჭუჭი თმები და შავგვრემანი სახე აქვს, ლეიბი პაპულარობით სარგებლობს კინოს ბილეთების ვაღამყიდველებს შორის. ვინც უფრო ახლოს იცნობდა, დასძენდნენ: „მას ალიკს ეძახიან. ზაფხულის თვეებში ღროს მელითონეთა კულტურისა და დასვენების პარკში ატარებსო“.

— იცით რა, კონსტანტინ ლვოვის-ძეე, — შემომთავაზა გლებოვამ, სანამ საქმე არ გაცივებულა პარკში წადით, და პირადად თქვენ მოძებნეთ ის „აყლაყულა“ — ასე ვთქვათ მოსინჯეთ იგი „ბუნებრივ პირობებში“.

მელითონეთა კულტურისა და დასვენების პარკი თითქმის ქალაქგარეთ მდებარეობდა. უამრავი მცენარე, სიგრილე, მშვენიერი თუჯის ღობე და შესასვლელთან ღია ცისფრად შეღებილი ორი საღარო იმყოფებოდა. იქვე რამდენიმე სარეკლამო ფარი იდგა ფერად-ფერადი აფიშებით აჭრელებული — „ცეკვები“, „კინო“.

დირექტორმა მილიციის თანამშრომლად შემიცნო, შემომჩივლა ხულოგნებზე, რომლებიც ხელს უშლიან მას კულტურულ-მასობრივი მუშაობის ორგანიზაციაში, ხელები გაასავსავა და წუხილით ამოიხრა.

— ჩვენზე „კროკოდილში“ დაბეჭდეს კარიკატურა. სასაცილო იყო, მაგრამ... ზოგჯერ სიცილი ცრემლზე მწარეა. თუმცა ბოლო ღროს ხულოგნობამ იკლო...

მე ავუწერე მას ოხუნევის გარეგნობა.

— მგონი მაგდაგვარი დადის. ხვალ საღამოს შემოიარეთ, ცეკვებია, ისიამოვნებთ.

ღირეჭტორმა ჭიშკრამდე მიმაცილა და პირველსავე ავტომობილით კაპიტან გლუბოვას დაუკავშირდა. მან ყურით არ მათხოვა.

— კოსტია, დაკავებულია ტაქსი „პობედა“, რომელიც ჩვენ გვინტერესებს. შოფერი გასახვევ თუთუნს ეწევა. ჩქარა წამოდი.

მანქანა „პობედა“ № 40-41-ზე, რომელიც თეატრის მახლობლად, ტაქსების განჩერებასთან მდგარა, მილიციის უანამშრომელს უკანა მარჯვენა ბორბალზე დეფექტიანი საბურველი შეუმჩნევია და მანქანა შოფერიანად მილიციაში წამოუყვანია. მძღოლმა ვლას სავლეს-ძე ზადოროჩნიმ მოყვა: — ლუწ დღეებში ვმსახურობ, ხოლო ორში დილის რვა საათიდან სამი ივნისის ღამის ორის ორმოცდახუთ წუთამდე ვმუშაობდი.

მე რომ მივედი, იმ დროისათვის, დაქტილოსკოპური ანაბეჭდის და ფეხის ნაკვალევის შედარებით დაედგინათ, რომ მძღოლს არავითარი კავშირი არ ჰქონდა გვარლიანის მკვლელობასთან. იგი ცდილობდა დამშვიდებული უოფილიყო ჩვენების მოცემისას.

სამ ივნისს ღამით გარაჟისაკენ მიემართებოდა. რესტორან „ოლიმპიან“ მესი მანქანა გაუშერებია ორ ახალგაზრდას. უთხოვიათ დაწოდა ახლახან დაძრულ მერვე მარშრუტის ავტობუსს, რომლითაც მათი ნაცნობი წასულიყო.

შოფერი დათანხმებულა. რამდენიმე კვარტალი გაუფლიათ, მგზავრებს უეცრად მარჯვნივ გადახვევა მოუთხოვიათ. შოფერს შეუსრულებია მათი მითითება, დაუმხრუტებია მანქანა, რადგან დობროლუბოვის ქუჩა გადაკეტილი აღმოჩნდა. ახალგაზრდებმა გულუხვად გადაიხადეს ფული და ტრეტუარზე გადავიდნენ. ამ დროს რვა მარტის ქუჩის კუთხიდან მაღალი კაცი გამოჩნდა. მგზავრებმა წინ გაუშვეს, შემდეგ კი დაუძახეს, ის შემობრუნდა.

ცოტა ხნის შემდეგ შესასვლელში შევიდნენ. შოფერს ჩაურთავს მობტორი, უკუსვლით რვა მარტის ქუჩაზე გადასულა და გარაჟისაკენ გაუშვევია.

— სტარტერი არ შემორჩილებოდა, რამდენჯერმე მოიხხდა ჩართვა-გამორთვა. ამას, რასაკვირველია, ხმაურიც მოყვა. შეიძლება ნამწვიც გადავადდე.

როცა ვთხოვე აეწერა ჩვენთვის ღამის მგზავრები, მან დაიწყო: მაღალი, შავთმიანი ჰაბუკი იყო, რომელმაც მანქანის კარებთან გაძრომისას ვერ მოითმინა და ჩაილაპარაკა: „ესენიც კონსტრუქტორები არიან, ლილიპუტებისათვის ამზადებენ მანქანებსო!“.

— მეორე კი, რომელმაც ფული გადაიხადა „სტილიაგა“, თავზე ქიჩორი ბანჯგვლიან ფაფარივით ჰქონდა და უსაქმურს მოჰგავდა.

ტატიანა სერგის ასულმა, რომელიც ათიოდე ფოტოსურათს ხელში ატრიალებდა, აზარტული კარტის მოთამაშესავით ზადოროჩნის წინ გაშალა.

— თუ იცნობთ რომელიმეს? შოფერმა წარბები შეკუმხნა და გვარლიანის სურათი გვერდზე გადადო.

— ეს, ახალგაზრდებმა, რომ შეუძახეს იმას ჰგავს.

შემდეგ მან ხელში ვოლგინის სურათი აიღო. — ეს კი ის მგზავრია, რომელმაც ფული გადამიხადა... მეტს ვერავის ვცნობ.

— მგზავრები, ჩემად ისხდნენ, თუ ლაპარაკობდნენ? შეეკითხა კაპიტანი გლუბოვა.

— სდუმდნენ... მხოლოდ ერთი ორჯერ გადულაპარაკეს ერთმანეთს, მაგრამ ვერაფერი გავიგე... რუსულს არ ჰგავდა.

— შეგიძლიათ თუ არა მაღალი მგზავრი შეიცნოთ?

— თუ ვნახე — კი. როცა ზადოროჩნიმ ოქმს ხელი მოაწერა, ტატიანა სერგის ასული დაფიქრდა და მაგიდაზე თითები ათამაშა.

— ვლას საველის-ძე, ხვალ დასვენების დღე გაქვთ და ვთხოვთ ზუსტად საღამოს 8 საათზე ჩემთან შემოიაროთ. საშვს კომენდანტურაში მიიღებთ.

— ვოლგინს უნდა დაუპირისპიროთ? — დავინტერესდი მე, როგორც კი ზადოროჩნიმ კარი მიიხურა.

— არა, კოსტია, თქვენ და ის ერთად წახვალთ მელითონეთა კულტურის პარკში.

რვას თხუთმეტი წუთი აკლდა, როცა ოთახში შევიკრიბეთ ტატიანა სერგის ასული, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი ოფიცერი, წარმოსადგეი სიმპათიური სახის ქაღვივილი — ლეიტენანტი ვარია და მე.

კაპიტანმა გლუბოვამ საათს დახედა.

— გვემა მარტია, ამხანაგო ტახოვ, ვარია ზადოროჩნის თანხლებით ბაღში შედის და ეძებენ „აყლაყულას“. ჩემის აზრით იგი უთუოდ საცეკვაო მოედანზე იქნება. თუ ვლასი საველის-ძე შეიცნობს მასში ღამის მგზავრს, რომელიც ვოლგინს ახლდა, საჭირო იქნება მისი დაკავება. თქვენ კონსტანტინ ლოვოს-ძე შეიძენთ ბილიეებს, მიხვალთ საცეკვაო მოედანზე და იცეკვებთ ვარიასთან ერთად, მანამ, სანამ ვარია არ მიიქცევს იმ სუბიექტის ყურადღებას, რომელიც ჩვენ გვინტერესებს.

— ტატიანა სერგის ასული, — შეეხებენ

კაპიტანს. — მე ისე ვცეკვავ, როგორც კამეჩი ყინულზე.

— სისულელეა. ცეკვაზე ჯილდოს არავინ გაძლევთ, სამაგიეროდ ვარია კლასიკურად ცეკვავს. ის წაგიყვანთ. როგორც კი თქვენი პარტნიორი სხვის მკლავებში აღმოჩნდება, გასასვლელისაკენ წამოდით, მე იქ დაგხვდებით. ამხანაგები ვლადიმირსკი და სოკოლნიჩი, მოლაპარაკებისამებრ, ობერატიულ მანქანასთან იქნებიან. ვიმოქმედოთ სწრაფად და უხმაუროდ.

კარებზე დააკაუნეს.

— აი, ამხანაგი ზადოროჟნიცი.

მართლაც იგი იყო. გამოწყობილიყო შესანიშნავ კოსტიუმით. პირი გაეპარსა, მკერდზე ორდენების ლენტები გაეკეთებინა. მან კაპიტან გლებოვას მოუსმინა და სიაზოვნებით დათანხმდა.

— არა მართო გაჩვენებთ, მოგეშველებით კიდევ.

ოციორდე წუთის შემდეგ პარკში გავჩნდით, იქ ბევრ ხალხს მოეყარა თავი. ყველა სკამი დაკავებული აღმოჩნდა, ხეივანებში ახალგაზრდები დასეირნობდნენ, საღაღაც სიბნელეში შადრევანი ხმაურობდა. კინო-პავილიონში სურათი „საშიში ბილიკი“ გადიოდა და იქიდან ვეფხვების საშინელი ღრიალი მოისმოდა. საცეკვაო მოედანზე 14 კაციანი საესტრადო ორკესტრი უცნაურ რიტმთან საცეკვაოს უქრავდა. ვეებერთელა ელექტრონათურების შუქზე ორმოცდაათამდე აღმდინა ცეკვავდა. მოედანს ირგვლივ ლითონის ანქებზე დამაკრებელი რკინის ბადე ეკრა. ხოლო მის გასწვრივ, ორივე მხარეს, გულშემატკივარი მაყურებლები იდგნენ.

ფეხის წვერებზე შემდგარმა ზადოროჟნიცი თითი გაიშვირა.

— აგერ... ცენტრში რომ მაღალი, თმახუქუჭა კაცია... ის იყო.

ტატიანა სერგის ასულმა წყნარად ჩამოაწვეინა ხელი და ჩურჩულით ჰკითხა.

— დარწმუნებული ხართ?

—ნამდვილად ის არის!

გლებოვამ მსუბუქად გამკრა მუჯღუგუნნი და გაქრა.

ვარიას მკლავი გამოვლე, გზა გავიკვლიე სალაროსაკენ, ბილეთები ვიყიდე და შეიგნით შევედი.

ვარიას საკმაოდ ენერგიულად „მიეყავოდა“. წამდაწუმ ჩემად მკარანახობდა „შემობრუნდით“, „ფეხებს ნუ აჩერებ“, „მარჯვნივ“, „მარცხნივ“. ამრიგად აღმოეჩნდით მოედნის ცენტრში, სადაც პირში პაპიროს გაჩრილი „აყლაყულა“ ვიღაც კოპწია გოგონას ეცეკვებოდა. გაუღსწორდით, ვარიამ საკმაოდ ხმაბლდა წაილაპარაკა.

— კოსტია, თქვენ ცეკვა არ გცოდნიათ, მესმის ის ყმაწვილი, სასიაზოვნოა მისი ცეკვა, ბა, ეტყობა ცეკვის სპეციალისტია.

ორკესტრი დადუმდა. წყვილებმა სეირნობა დაიწყეს. ვარია ჩემს გვერდით იდგა და თვალს არ აშორებდა ხუჭუჭთმთან აყლაყულას, რომელსაც ფეხები გაეჩაჩხა, ხელები ჯიბეებში ჩაეყო და ისეთი სახე მიეღო თითქოს არაფერი და არავინ არ აინტერესებდა. მაგრამ ორკესტრმა დაუკრა თუ არა, რგი ტორტმანით წამოვიდა ჩვენსკენ, გაჩერდა და თავაზიანად ფეხი ფეხს შემოჰკრა.

— გავიართო? თქვენს თანამგზავრს არ ეწყინება. — მან მარცხენა ხელის ცერი ხუშრობით გამკრა ფერღში. — მართალს არ ვამბობ, ჰა, თორემ შეგსანსლავ...

გამხიარულებულმა ვარიამ მას მხარზე ხელი დაადო, „აყლაყულამ“ კი წელზე მოხვია და ტრიალტრიალით წაიყვანა. ამით დამთავრდა ჩემი ამოცანის პირველი ნაწილი. ზოგიერთი მაყურებლის დამცინავი რეპლიკების მიუხედავად, მოედნიდან გამოვედი და გასასვლელისაკენ გავემართე. გლებოვა ტროტუარზე, დიდ ხის ჩრდილქვეშ იდგა.

— რა ქენით?

— ცეკვავინ, შემდეგ...

— მშვენიერია, კაპიტანმა ირონიულად გაიღიმა. — დავუცადოთ. როგორც კი ვარინკა ამ თავზე ხელაღებულთან ერთად პარკიდან გამოვა და ამ ხეს მოუახლოვდება. „აყლაყულას“ ჩხუბი აუტეხე, ერთი სიტყვით, იმოქმედეთ როგორც საჭიროა. „რატომ წამართვით ქალიშვილი“. ან მაგვარე, ვანა მსგავსი რამ არ შეგხვდებიან ცხოვრებაში? რა ჩემი სწავლება ვინდათ.

თხუთმეტორდე წუთის შემდეგ „აყლაყულა“ და ჩემი პარტნიორი გამოჩნდა. ვარიას ხელი მისთვის მარჯვენა მკლავში გაეყარა, და კისკისებდა. „აყლაყულა“ მას მფარველის თვლით ზემოდან დაცქეროდა და რაღაცას ელაპარაკებოდა. მე ხელი ჯიბეში ჩავიყავი, დამბაჩის ტარს მივუჭირე და მივუახლოვდი. „აყლაყულამ“ მაშინვე მიცნო, შედგა და პაპიროსი გადმოაპურჭყა.

— აბა, აბა! მოცეკვავე, გზა დაცალე... ვის ვეუბნები? ხელი გამიშვი, ძვირფასო,— მიუბრუნდა იგი ვარიას, — მე ვაჩვენებ მავას.

„აყლაყულამ“ მარცხენა ხელის მოქნევით ვარიასაგან თავის განთავისუფლება სცადა, მაგრამ უეცრად, უხმაუროდ მოსულ ორი ოფიცრის ტანი აღიმართა. მათ ხელები დაუგრჩეს. და იქვე მდგარ მილიციის მანქანაში შეადგეს.

— კოსტია, რამე ხომ არ გატყინა? მზრუნველი კილოთი შემეკითხა ვარია.

XVIII

ის რომ არ აღმოჩნდეს ვისაც ვეძებთ, სულერთია, მაინც საშიში სუბიექტი გვაუფენებლეთ, წარმოთქვა კაპიტანმა გლებოვამ, როცა მაგიდაზე ჩხრევის დროს ჩამორთმეულ ნივთებს ალაგებდა.

უპირველესყოვლისა მე ყურადღება მივაქციე ვასაშლელ დანას, რომლის ტარზე სვასტიკიანი ფაშისტური არწივი იყო გამოსახული. ბებუთი შევატრიალე, საიდუმლო ბოლქვს ხელი დავაჭირე და უეტრად იქიდან ალესილი პირი სწრაფად ამოვარდა, რომელმაც კინალამ დამპრა და მოულოდნელობისაგან საშინელი იარაღი ძირს დამივარდა. ამ ბებუთთან შედარებით, სათამაშო კარტის დასტა და ორი წყვილი კამათელი უცოდველ საბავშვო სათამაშოებად მომეჩვენა. კონტა ტყავის საფულეში გარდა 517 მანეთისა, აღმოჩნდა: სამხედრო მოწმობა და პასპორტი, ანატოლი გრიგორის-ძე გარტის სახელზე.

კაპიტანი გლებოვა ვამადიდებელი შუშით პასპორტის სურათს დაცქერდა.

სურათი უხეიროდ არის ჩაყრული. მოუხეშავი სიყალბეა.

დილისათვის საინტერესო მონაცემები გვექონდა: პასპორტი ანატოლი გარტის სახელზე დაკარგული საბუთების სიაში აღმოჩნდა და ეკუთვნოდა ქალაქ ორიოლში ბეზოვრებ ახალგარდა იწყიერს. სათამაშო კარტი დაწინწკლული იყო, ხოლო კამათლებში ტყვია ჩაესხა, რის გამოც კამათლის ერთი წყვილი მუდამ აგებდა, ხოლო მეორე, კომბინაციის დროს სულ „ორი შაში“ ჯდებოდა, რაც ნაღდ მოგებას ნიშნავდა.

„აყლაყუდას“ თითების დაქტილოსკოპური ანაბეჭდისა და გვარლიანის მკვლელის მიერ მაკინტოშის სარჩულზე დატოვებული თითების კვალის შედარებამ დაადასტურა, რომ ჩვენ ნამდვილ მკვლელთან გვექონდა საქმე. მიუხედავად იმისა, რომ დანაზე სისხლის კვალი არ აღმოჩნდა, ექსპერტებმა ბეჭიკედ განაცხადეს: საბრალო ახალგაზრდა კაცის გული სწორედ ამ ბებუთითაა გაპოზილი.

„აყლაყუდას“ უარი განაცხადა თავისი ვინაობისა და სახლის მისამართის თქმაზე. ტატიანა სერგის ასულმა ყველა საბუთი გასინჯა და მიბრძანა სწრაფად მომეყვანა ამხანაგი ზადოროენი და „ოლიმპის“ ოფიცინტი ხელდოვი.

ერთი საათის შემდეგ კაპიტანმა გლებოვამ მომმართა.

— ამხანაგო ტახოვ, იწყებხე უკანასკნელი ბრძოლა. დავიწყით დაპირისპირებიდან. ზადოროენი და ხელდოვი მისაღებში არიან. წავიდეთ.

თორმეტ კაცს შორის იდგა ვოლგინი. „ოლიმპის“ ოფიცინტი შემოვიდა თუ არა, ხელი გა-
5. საბჭოთა სამართალი № 6.

იშვირა ვოლგინისაკენ და მასში რესტორნის შიშორი სტუმარი შეიქცნო. სწორედ ის, ვისაც მან, ხელდოვმა ორ ივენისს მიართვა შოკოლადის ოთხი ბატონი „რუსული ზღაპრები“.

კოკომ ირონიულად გაიღიმა:

— განა ღირდა ამ კომედიის მოწყობა? ჩემთვის გეკითხათ და მორჩა. პარადულაობა — თქვენი ავადმყოფობაა... ყველაფერს ხმაურით აკეთებთ.

მაგრამ, როცა ხელდოვის შემდეგ ოთახში ზადოროენი შემოვიდა, დააკვირდა იქ მყოფთ და შემდეგ ვოლგინის მხარზე ხელი დაადო, კოკო შეკრთა და გავითრდა.

ზადოროენიმ ნახევარი ნაბიჯით უკან დაიწია.

— ესაა, ოლონდ კოსტუმი სხვა აცვია, ორ ივენისს ღამით, ეგ, ამხანაგთან ერთად, რომელსაც აქ ვერ ვხედავ, რესტორნის მახლობლად ჩემს მანქანაში ჩაჯდა და მისი მოთხოვნით დობროლუბოვის ქუჩაზე წაიყვანე და გავაჩერე სწორედ იმ სახლის წინ, რომელსაც ფასადს უშენებენ.

ვოლგინმა ხელი ჩაიქნია, შერიცვალა მდგომარეობა და ნახევარი ტანით შემობრუნდა.

— აბა, იქნებ კიდევ რამე გამოიგონოთ... მე თქვენ არ გიცნობთ...

— ვოლგინი გაიყვანეს. კამერაში შეარჩიეს ახალი ცხრა კაცი, რომელთა შორის „აყლაყუდა“ ჩასვეს. ოთახში შემოსულმა ხელდოვმა, იმ წამსვე იცნო ვოლგინის თანამესუფრე, რომელიც მასთან ერთად იყო რესტორანში ორი ივენისის დამეს.

„აყლაყუდას“ და ვოლგინის საარქივო საქმეებში შენახული ოხუნევის ხელნაწერების შედარებამ შესაძლებლობა მისცა ჩვენს ტექნიკურ განყოფილების ექსპერტგრაფოლოგებს შეეცნოთ ძიების უკანასკნელი ხარვეზი. „ალიკი“, „მაღალი აყლაყუდა“, ქალაქიდან გასული ალიოზ პარესის-ძე ოხუნევიც იგივე „აყლაყუდაა“.

— ამით ყველაფერი დამთავრდა. დაუძახეთ ოხუნეგს, — ბრძანა კაპიტანმა გლებოვამ.

მოვლენების სწრაფად განვითარების გამო გაშტერებულმა „აყლაყუდას“ უაოცოფის უნარი დაკარგა. ვაიგო რა „დაჯექითო“, მან მექანიკურად შეასრულა ბრძანება და ხელები მუხლებზე დაიწყო.

პირველად შეკითხვებზე ოხუნევი უხალისოდ, ზოზონით პასუხობდა. ხოლო ზადოროენისა და ხელდოვის ჩვენებამ აიძულეს იგი ყველაფერს გამომტყდარიყო.

— დიახ, ახალგაზრდა, რომლის ფოტოსუათიც წარმომიდგინეთ, მე მოვკალი, გზაში გავაჩერე, რაც მინდოდა ვუთხარი და მოვკალი... არ გამოძარცვავს, და არც არაფერი წამილია.

რისთვის მოვკალი? ლალატისათვის და ასეც იყო საჭირო...

მე სტენოგრაფიას ვწერდი.

ოხუნევი და ვოლგინი ერთ ეზოში გაიზარდნენ, ერთსა და იმავე საბავშვო ბაღში დადიოდნენ და მეხუთე კლასამდე ერთ მერსს უსხდნენ. ოხუნევი მეოთხე კლასში სამჯერ დარჩა, ამის გამო სწავლაც მიატოვა. ხოლო მამამისმა შეიძინა სახლი და მისი ოჯახი ქალაქგარეთ გადასახლდა, მაგრამ მეგობრობა ამ ორ ბავშვს შორის არ შეწყვეტილა, ისინი კვლავ ყოველდღე ერთმანეთს ხელებოდნენ. ვოლგინმა დამოუკიდებლად მოქმედების უფლება ნაადრევად მიიღო. მას ყოველთვის ჰქონდა ფული, რომელიც ორივეს, კინოს, მხესუმზირას და ნაყინისათვის ჰყოფნიდათ. ასაკთან ერთად მეგობრების მოქმედების არეც გაიზარდა: მხესუმზირას და ნაყინს დაემატა პაპიროსი, ხოლო ერთი წლის შემდეგ, საშუალო სკოლის გამოსაშვები კლასის მოსწავლე ვოლგინი და ოხუნევი, რომელიც ხელმოწერას ძლივს ახერხებდა, ცეკვების, წვეულებებისა და რესტორნების მუდმივი სტუმრები გახდნენ. ცხრამეტი წლის ასაკში ვოლგინი და მისი მეგობარი დებოშისა და ხულიგნობისათვის პირველად მოხვდნენ პატიმრობაში, მაგრამ მათმა მშობლებმა სწრაფად „ჩაქრეს“ საქმე. დაუსჯელობით ფრთებშესხმულმა ახალგაზრდებმა სადავო უფრო აუშვეს. ნიკოლოზს უკვე აღარ ჰყოფნიდა ფული, რომელსაც დედა აძლევდა. ვოლგინის რჩევით და მისივე ფულით ოხუნევმა ყომარბაზთა ბუნაგი მოაწყო. კამათლისა და კარტის თამაშს დიდი მოგებები მოჰყვა, რამაც დამნაშავეის სკამის ორ კანდიდატს აღვირახსნილი ცხოვრების საშუალება მისცა. უცერად ვილცამ გაცა ისინი. მილიციამ მათი „ბუნაგი“ გაანადგურა. საქმემ არასასურველი ხასიათი მიიღო. მაგრამ... ისინი, ვოლგინის მშობლებმა ამჯერადაც იხსნეს. ოხუნევმა ფიცი დადო, რომ გამცემს მონახავდა და მოკლავდა. თამაშში ქალაქგარეთ ბურსუჩის ტბის ნაპირას იქნა გადატანილი. ერთხელ, როცა ვერ გაიყვეს მოგება, მოთამაშეებმა ბებუთები დაატრიალეს. სწორედ ამ დროს საიდანღაც მილიცია გაჩნდა. ისევ მდელგარე დღეები, მართლმსაჯულებასა და ხულიგნებს შორის კვლავ კოკის მშობლების „კეთილი სული“ აღიმართა. ხოლო როცა ვოლგინმა მოხუცი ქალის დაზარალების საქმეზე სასამართლოდან თავი დაიქვინა, ოხუნევის თვალში მისი ავტორიტეტი არაჩვეულებრივად გაიზარდა. იგი მტკიცედ დარწმუნდა იმაში, რომ ვოლგინთან ერთად რაც არ უნდა ჩაიდინოს, შეჩჩებოდა.

ოხუნევი დაიღობა და გულგრილად გრძობ.

— ოცდარვა მაისს გაბორთებული ვოლგინი შემხვდა. რესტორანში დამპატიყ და გზაში მიიხრა: „მე აღმოვაჩინე ის, ვინც ჩვენი ბუნაგი გაცა. საშიში ტაბია, თავიდან უნდა მოვიშოროთ“. რახან კოკომ თქვა, ალბათ საჭირო იყო. ის ტყუილად არ იტყოდა. ვინ არის, შევეკითხე. — „ჩვენი სტუდენტია“. წავედით სამისამართო ბიუროში და გავიგეთ, სად ცხოვრობდა მოლაღატე და ორ ივინის ათი საათისათვის ბაღში დავიბარე. ის არ მოვიდა. „შეეშინდა, მაგრამ, სულერთია, ჩვენ მას ვიპოვით. ვიცი რომელი ქუჩით დადისო“ — მიიხრა ვოლგინმა. რაკი კოკომ თქვა. — ალბათ ასე იყო საჭირო. „ოლიმპში“ ვისხედით. უცებ ნიკოლოზი წამოვდა. „წავიდეთ“. დავიჭირეთ ტაქსი და გამცემთან ანგარიშის გასასწორებლად გავსწიეთ. როცა იმ სტუდენტს შევეფეთეთ, დავუძახე — ის მობრუნდა. „შენ რა, გამცემლობას ეწვევი მეოქი“ — ვკითხე. მან ბანდიტები გვიწოდა ორივეს და მაგრად გამომლანძღა. მაშინ ავიღე და დანა ჩავარტყი. ვოლგინმა მას საბუთები ამოაცალა. შემდეგ ერთმანეთს დავშორდით. დღითი კვლავ შეგვიძლი, კოკო მამშვიდებდა. შენ არაფერი წამოგცდეს, ჩემს გამო კი ნუ შიშობ, ხელის ხლებას ვერავინ გამიბედავს, თუ დამიჭირეს ერთ-ორ დღეში გამომიშვებენ, რადგან ისეთი უდავო საბუთები მაქვს, რომ შეტორტმანდებო!“.. და აი შეეტორტმანდით კიდევ..

ოხუნევი რომ გაიყვანეს, ტატიანა სერგის ასულმა ბრძანა:

— დაუძახეთ ვოლგინს. როგორც კი ხელს ტელეფონის აპარატისაკენ წავიდებ, შემოიყვანეთ ოხუნევიც. ბოლოს და ბოლოს ეს საქმე უნდა დავამთავროთ.

ვოლგინმა ოთახი დამფრთხალ ვირთხასავით შეათვალიერა, სკამის ნაპირზე ჩამოჯდა და თავი კვლავ თავხედურად დაიკირა.

— კიდევ რა ოინი მოიგონეთ?

— ვოლგინ! — მკაცრად დაიწყო ტატიანა სერგის ასულმა, — მოეშვით მაგ ტონს. აქ ცირკი არ არის და ხუშარა არ გვესაჭიროება. ძიებებს დღეს ხელთ აქვს დამამტკიცებელი საბუთები: გვარლიანის მკვლელობა თქვენ მოაწვევთ. უშუალოდ ხელმძღვანელობდით მკვლელს, ესწრებოდით მკვლელობას. მე მოვიტხოვ, რომ ჩადენილ დანაშაულში გამოტყდეთ.

— რატომ მაშინებთ? ჯერჯერობით ჩემი ჩვენება ძალაშია, დაწერეთ: „მე ვოლგინი, ამ დაწესებულების კედლებში, კაპიტან გლებოვას არავითარ ჩვენებას არ მივცემ“.

ტატინა სერგის ასულმა პირობითი ნიშანი მისცა და დამარცვლით ჩაილაპარაკა...

— ალიოზ პარესის-ძე ოხუნევი, იგივე „ალი-კი“, ანუ „აყლაყულა“ თქვენზე ჭკვიანი ყოფილა.

— რაო? ვინ? ვინ? — ვოლგინი აწრიალდა, — კვლავ პროვოკაციას მიწყობთ?

მე ოხუნევი შემოვიყვანე, ვოლგინი წამოხტა, მივარდა მას და სწრაფად ჩვენთვის გაუგებარ ენაზე რამდენიმე სიტყვა გადაულაპარაკა.

— ვოლგინ! — წარმოსთქვა კაპიტანმა გლე-ბოვამ და მაგიდაზე მუშტი დაარტყა. — ვოლგინ! მე გიკრძალავთ აქ სხვა ენაზე ლაპარაკს,

გარდა რუსულისა. ოხუნევე დაჯექით და აწუთშივე მითხარით რა გითხრათ ვოლგინმა!

ოხუნევი დაჯდა.

— არაფერი, მკითხა „მართლა გამოტყდი ყველაფერშიო“? მე ვუბასუხე „კი“-მეთქი.

სამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა.

ტელეფონი განუწყვეტლივ რეკდა და ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა გლებოვამ ყურმილი აიღო.

— რაო? გადაეცით ქალბატონს, რომ მისი შვილის საქმის ძიება დამთავრებულია და სხვალ საქმე პროკურატურას გადაეცემა.

თარგმანი **ბ. მირცხულავასი.**

XVIII საუკუნის განაჩენი

1882 წელს ცნობილმა ქართველმა ურნალისტმა და მკვლევარმა პ. ცხილეძელმა (კარბელაშვილი) საქართველოს ისტორიულ საბუთებში მიაკვლია ერთ განაჩენს, რომელიც 1782 წელს გამოტანილი აღმოჩნდა. მკვლევარმა გაზეთ «დროებაში» პირველად მოახდინა მისი პუბლიკაცია.

ეს განაჩენი მართალია ეხება შერმაზან აფხაზის სიკვდილშემდგომ გამართლებას (რეაბილიტაციას), მაგრამ აქედან ზოგიერთი სხვა გარემოებაც ირკვევა.

ცნობილია, რომ საქართველოს მეფე ერეკლე მეორეს ერთი უკეთესი შვილთაგანი ლევან ბაგრატიონი 1781 წელს ფეოდალური შუღლის მსხვერპლი გახდა. იგი მოკლული იქნა კახეთის სოფელ ვეჯინის ციხე-კოშკში. იმ დროს ამ მკვლელობის მიზეზებს სხვადასხვანაირად ხსნიდნენ, მაგრამ შემდგომმა მოვლენებმა დაადასტურეს, რომ ლევან ბაგრატიონს ვაჩნაძეებმა მოუღეს ბოლო. მოსალოდნელი მძიმე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით შეთქმულთა ხელმძღვანელმა ასათ ვაჩნაძემ დანაშაულის ჩადენა შერმაზან აფხაზს გადააბრალა და ამ მიზეზით აფხაზი თავისივე ყმებს მოაკვლევინა.

გამოძიებასა და სასამართლოში ასათ ვაჩნაძის ჩაგონებით აფხაზის მკვლელები დანაშაულის ჩადენას იმით ხსნიდნენ, რომ აფხაზმა მოკლა ლევან ბატონიშვილი და ჩვენც აფხაზი მოვკალითო. ვაჩნაძეებსა და აფხაზს შორის ფეოდალთათვის დამანასიათებელი ისტორიული შური და მტრობა იყო ჩამოგდებული. ვაჩნაძეები ორღესულად მოქმედებდნენ. ერთის მხრივ მეფის მტრობით ისინი ცდილობდნენ სამეფო ხელისუფლების დასუსტებას, რისთვისაც სახელმწიფო მოღვაწე და მუდმივი ჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელი ლევან ბატონიშვილი მოჰკლეს, შემდეგ კი ეს დანაშაული შერმაზან აფხაზს გადააბრალეს და ამით შეეცადნენ აფხაზთა გვარეულობისათვის მეფის ხელით ბოლო მოეღოთ.

საქართველოს სამეფო სასამართლოში შერმაზან აფხაზის მამას აღუძრავს საქმე ვაჩნაძეების, კერძოდ ასათ ვაჩნაძის წინააღმდეგ. აფხაზი სასამართლოს სთხოვდა:

ა) დაესაჯათ შერმაზან აფხაზის მკვლელები და მოეხდინათ მისი სიკვდილშემდგომი გამართლება

ბ) დაესაჯათ ასათ ვაჩნაძე, რომელმაც წააქევა აფხაზების ყმები — მოეკლათ შერმაზან აფხაზი.

როგორც განაჩენის ბოლოდან ჩანს აფხაზისა და ასათ ვაჩნაძის საქმე სხვა განაჩენით გადაწყდა. «და აფხაზიშვილი, რომ ასათს შესწამებდა — ეს საშინელი შეწყამება ამ ჩემის შვილის მკვლელებს მტრობით შენ ასწავლეო ამ სიტყვით, რომ თქვენ ესე თქვით და აღარა გიშავთ რაო. „— ამათმა ლაპარაკმა სამართალში ბევრჯელ გაიარა და ამის სამართალი სხვის განაჩენით გარდასწყდა“.

ეს განაჩენი გამოირჩევა თავის კონკრეტულობით და მტკიცებათა ლოგიკური დასაბუთებით. მას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული სისხლის სამართლის წარმოების ისტორიისათვის.

განაჩენს ხელს აწერს სასამართლოს შვიდი მსაჯული. სასამართლოს თავმჯდომარედ ანუ მსაჯულთუხუცესად ყოფილა ბეჟან ერისთავი (საფიქრებელია მწერალ რაფიელ ერისთავის პაპა).

განაჩენს ამოწმებენ: დედოფალი დარეჯანი, კათალიკოსი ანტონ პირველი, ბატონიშვილები და სხვები.

განაჩენს საბოლოოდ ამტკიცებს მეფე ერეკლე მეორე.

აქვე მოგვყავს ამ განაჩენის ტექსტიც:


3. სიღამონიძე

„ქ. ჩვენ, მეფე სრულიად საქართველოსა, მეორე ირაკლი, ვამტკიცებთ მსაჯულთა მიერ განჩინებასა ამას. მთიბათვის კვ. — ს ქორონიკონს უო (1882 წ.) ბეჭედი ზედ წარწერთ: ერეკლე...“

ქ. აფხაზის შვილის შერმაზანის მკვლელნი თავიანთგან მოკლულს თავის ბატონს შერმაზანს ამ საშინელ ხმას რომ შესწამებდნენ, რომ სანატრელი ბატონიშვილი ამ ჩვენმა ბატონმა შერმაზანმა მოწამვლით მოკლაო და ჩვენც ამ ჩვენის ხელმწიფის შვილის სიკვდილისათვის და ჩვენზედაც დიდი დანაშაული ჰქონდა და ჩვენც ამისათვის ის ჩვენი ბატონი შერმაზან მოვკალითო. ეს საშინელი შეწამება მათს უმალღესობას მეფეს მოხსენდა. მათმა უმალღესობამ ამ აფხაზის შვილის შერმაზანის მკვლელნი და იმ ხმის შემწამებელნი მოასხმევინა და მრავალგვარის ფრთხილად გამოძიებით გამოიკითხა და მერე ამათი სამართალი და კიდევ ბევრგვარად ამ საქმის გამოჩხრეკვა საქართველოს მსაჯულთ შეკრებულებას გვიბრძანა, ჩვენ მოსამართლეობის თანამდებობისამებრ როგორც ამ საშინელი ხმის სიმძიმესა და სიდიდეს შევფიქრებოდა, იმისთანას დიდი სიფრთხილით მრავალგვარად გამოვიძიეთ და მრავლის ჭეშმარიტად აღმოჩენილის საბუთებისგან ვიუწყეთ, რომ ამ თავისის მკვლელობისაგან აფხაზის შვილის შერმაზანისა ამ საშინელის ხმის შეწამება ყოვლის მხრიდან სიცრუე იყო და მკვლელების შეცოდებით ბრალეულის თავიანთ თავის წამლად წარმომდგარი ტყუილი: და რამდენისაც ჭეშმარიტის საბუთებით მკვლელთაგან შეწამებული ეს ხმა სიცრუედ აღმოჩნდა, აღწერასა და კალამში გრძლად შემოვიდოდა და ამისათვის მრავალთაგან ეს მოკლედ მოვიხსენიეთ.

პირველად ესე, რომ სანატრელის ბატონიშვილის სიკვდილის უკან ორმოც დღემდის ის აფხაზიშვილი შერმაზანიც ცოცხალი იყო და იმისი მკვლელებიც აქ იყვნენ. თუ ეს შეწამება ჭეშმარიტი იყო და ერთგულებისათვის შესჯირდათ, რატომ მათს უმალღესობას მეფეს არ მოახსენეს? რომ ის ამათი ბატონიც მოკვდებოდა სამართლით და იმისი სახლიც იავარ-იქმნებოდა, და ეს შემწამებელნიც წყალობას მიიღებდნენ, რადგან ამ საშინელს საქმეს მათის უმალღესობისა და ქვეყნის ერთგულებით გამოაცხადებდნენ.

მეორედ ესე: შერმაზანის მკვლელნი, რომ შერმაზანისაგან სანატრელის ბატონიშვილის მოწამლით სიკვდილს რასაც ღამეს და რომლისაც სახით ამბობდნენ, ამაზედ ჩვენ ბატონიშვილის მახლობელნი შინაყმანი მოვასხით და თითოეულად ფიცით იმათგან მოხსენებულის აზრების სიმართლე გამოვიკითხეთ და ერთობით დაამტკიცეს, რომ არც იმათგან მოხსენებულს ღამეს სანატრელს ბატონიშვილს ვახშამი ებრძანოს და არც იმათგან მოხსენებული ნიშნები მართალი ყოფილიყოს და ამითაც მკვლელნი და შემწამებელნი შერმაზანისანი ცრუ იყვნენ.



მესამედ, ესე მკვლელნი იყვნენ და თავიანთ მკვლელობით ბრალეულის თავის გასამართლებლად და წამლად ამბობდნენ, ამისათვის ყოვლის მხრიდან შეხედვით ეს უსაბუთო დიდი შეწამება სამართალმა არ შეიწყნარა და, თუ ამ შერმაზანის მკვლელებისაგან თავიანთ წამლად შეწამებას გარდა, სხვას ჭეშმარიტების მცირე რისამე საბუთიდან, ამ წერილით და ამ სიტყვით ცოტა რამ ნიშანიც არ გვეპოვნა, რადგან მეტად მძიმე საქმე იყო, აფხაზიშვილს ფიცით გააწმენდინებდით; მაგრამ რადგან ყოვლის გამოძიებისაგან აღმოჩენილის ჭეშმარიტებად აღმოჩნდა შერმაზანის მკვლელების სიცრუე და აფხაზიშვილის სიმართლე, ამისათვის ეს ჭეშმარიტად განმართლების განაჩენი მივეცი, რომ აფხაზიშვილისა ამ საქმეში ყოველითურთ უბრალოება და სიმართლე შვილითიშვილამდე საზოგადოდ ილაღადებოდეს. და აფხაზიშვილი რომ ასეთს შესწამებდა — ეს საშინელი შეწამება ამ ჩემის მშვილის მკვლელებს მტერობით შენ ასწავლეო ამ სიტყვით, რომ თქვენ ესე თქვით და აღარა გიშავთ რაო“. — ამათმა ლაპარაკმა სამართალში ბევრჯელ გაიარა და ამისი სამართალი სხვის განაჩენით გარდაწყდა. დაიწერა იენისის კ. ქორონიკონს უო“.

ბეჭედი.

„მეფემან ბრძენმან ესრეთ განავო, მე ერისთვისა მსაჯულად მაგო“ წარწერით: ბეჟან. ბეჭედი.

მონა ღვთისა მდივანბეგი თეიმურაზ. ბეჭედი.

მონა ღვთისა თუმანიშვილი მდივანი. სულხან, ბეჭედი.

მონა ღვთისა სულხან. ბეჭედი.

მონა ღვთისა მდივანბეგი. ოტია. ბეჭედი.

„მიწა ვარ დავსაოგუნები“. დავით. ბეჭედი.

ამ განჩინებას ამტკიცებენ და ამოწმებენ:

დედოფალი დარეჯან ივლისის დ, ქორონიკონს უო. ბეჭედი.

კათალიკოსი ანტონ I, ივლისის 12, წელსა ჩღბ.

საქართველოს უფლისწული, მეფის ძე გიორგი — ივლისის ზ, ქორონიკონს უო. ბეჭედი.

მეფის ძე ბატონიშვილი ანტონი, ივლისის, ქორონიკონს უო.

მეფის ძე, ბატონიშვილი იულონ, „ივლისის ც, ქორონიკონს უო. ბეჭედი ზედ — წარწერით: „ღვთის-მშობლის სასოიანი, იულონ დავითიანი“.

მეფის ძე ბატონიშვილი ვახტანგი. იანვარს ც, ქორონიკონს უო. ბეჭედი ზედ-წარწერით: „ლომად იუდას ბაკეთად, ვახტანგ ირაკლის ნაკვეთად“.

მეფის ძე მირიან. ივლისის ივ, ქორონიკონს უო. ბეჭედი ზედწარწერით: „დავითის ტომით სქესისა ძე ვარ ირაკლი მეფისა“. მირიანი.

მთავარ-ეპისკოპოსი ბესარიონ. ივლისის ივ, ქორონიკონს უო. ტფილელი მიტროპოლიტი გერმანე. ბეჭედი ზედ-წარწერით გერმანე.

მდაბალი მიტროპოლიტი ნინოწმინდისა და ათორთა უდაბნოთა საბა. ბეჭედი ზედ-წარწერით: საბა.

მუხრან-ბატონი იოანე. ბეჭედი ზედ-წარწერით: იოანე.

ორბელიანი სარდალ-სახლთუხუცესი დავით. ბეჭედი ზედ წარწერით. „ინდოთ ტომობის სქესობით, მე სახლთ-უხუცესობით!“.. დავით.



დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1961 წლის 31 მარტის № 195 დადგენილებით

დ ე ბ უ რ ე ბ ა

შენიშვნის უპატრონოდ და მოვალედ სწორი წესის შესახებ

I უპატრონო შენობები

1. ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებში, აგრეთვე სოფელ ადგილებში მდებარე შენობა, რომლის პატრონი უცნობია, ჩაითვლება უპატრონოდ და გადადის სახელმწიფოს საკუთრებაში ამ დებულებით დადგენილი წესით.

უპატრონოდ ითვლება აგრეთვე შენობა, რომლის მესაკუთრე თუმცა ცნობილია, მაგრამ მოცემული ადგილიდან წავიდა და არავინ იცის, თუ სად ცხოვრობს იგი.

უპატრონოდ არ ითვლება შენობა:

ა) რომელშიაც ცხოვრობენ მესაკუთრის ოჯახის წევრები, ნათესავები და სხვა პირები, რომლებიც კანონით მემკვიდრეთა წრეს ეკუთვნიან;

ბ) რომლის მესაკუთრე კანონით დადგენილი წესით ცნობილია უკვალოდ დაკარგულად, ან გარდაცვლილად;

გ) უკეთეს უკვალოდ დაკარგული მესაკუთრის მიმართ დანტერესებული პირი, გაზეთში განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი თვის განმავლობაში, აღძრავს პროცესს მისი უკვალოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად ცნობის შესახებ.

2. ამ დადგენილების 1 მუხ. 1 ნაწ. გათვალისწინებულ უპატრონო შენობათა გამოვლინების დროს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენელთა და ამ სახლში მცხოვრებ პირთა მონაწილეობით შეადგენს აქტს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია შენობის მესაკუთრის ვინაობის დადგენა და რესპუბლიკურ გაზეთში აქლევს განცხადებას, რომ სამი თვის განმავლობაში გამოცხადდეს ის პირი, რომელიც თავის თავს შენობის მესაკუთრედ თვლის; განცხადება უნდა შეიცავდეს გაფრთხილებას, რომ გამოწვეული პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შენობა, როგორც უპატრონო, ცნობილი იქნება სახელმწიფოს საკუთრებად. ქალაქის ტიპის დაბებსა და სოფლებში აქტს შეადგენს სადაბო ან სასოფლო საბჭო მოცემულ ადგილას მცხოვრები სულ ცოტა 2 დამსწრე პირის მონაწილეობით. აქტი გაეგზავნება რაიონისკომის რესპუბლიკურ გაზეთში განცხადების გამოსაქვეყნებლად.

3. ამ დებულების 1 მუხ. II ნაწ. გათვალისწინებული უპატრონო შენობების გამოვლინების დროს და თუ დაწესებული გამოსაღებისა და გადასახადების გადახდის შეწყვეტის დღიდან 3 წელმა განვლო, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების და ამ სახლში მცხოვრებ პირთა მონაწილეობით შეადგენს აქტს იმაზე, რომ შეუძლებელია მოცემული შენობის მესაკუთრის

ვინაობის დადგენა და რესპუბლიკურ გაზეთში გამოაცხადებს, რომ საჭიროა სამი თვის ვადაში გამოცხადდეს ის პირი, რომელიც თავის თავს შენობის შესაკუთრედ თვლის. განცხადება უნდა შეიცავდეს გაფრთხილებას, რომ გამოწვეული პირის გამოუცხადებლობის შემთხვევაში შენობა, როგორც უპატრონო, ცნობილი იქნება სახელმწიფოს საკუთრებად.

4. უკეთეს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომი არ ცნობს გამოცხადებულ პირს შენობის მესაკუთრედ იმის გამო, რომ ამ პირმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი საბუთები ან წარმოადგინა ისეთი საბუთები, რომლებიც ეჭვს იწვევენ, საქმე უნდა განიხილოს სასამართლომ საერთო სასარჩელო წესით, რისთვისაც დაინტერესებულმა პირმა უნდა წარუდგინოს სარჩელი აღმასკომს.

5. მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომი გამოიტანს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ ჩაირიცხოს შენობა მუნიციპალურ ფონდში, როგორც უპატრონო, შემდეგ შემთხვევაში:

ა) თუ შენობის მესაკუთრე არ გამოცხადდა გაზეთში განცხადების გამოქვეყნებიდან 3 თვის განმავლობაში;

ბ) თუ არსებობს სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება, კანონიერ ძალაში შესული, იმის შესახებ, რომ სარჩელის წარმდგენ პირს უარი ეთქვა მისი საკუთრების უფლების ცნობაზე;

გ) თუ განცხადების გამოქვეყნების დღიდან სამი თვის განმავლობაში სახალხო სასამართლოში არ შეუტანია სარჩელი იმ პირს, რომლის განცხადება შენობაზე მისი საკუთრების უფლების ცნობის შესახებ უარყოფილი იყო მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომის მიერ;

დ) თუ დაინტერესებული პირი გაზეთში განცხადების გამოქვეყნებიდან სამი თვის განმავლობაში არ განუცხადებს აღმასკომს, რომ მან სასამართლოში აღძრა პროცესი, რათა მესაკუთრე ცნობილ იქნას უკვალოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად და წარადგენს შესაბამის ცნობას.

6. დროის იმ მონაკვეთში, როდესაც შედგა აქტი (მუხ. 2 და 3) და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომმა გამოიტანა გადაწყვეტილება (მუხ. 5) იმის შესახებ, რომ შენობა, როგორც უპატრონო, ჩაირიცხოს მუნიციპალურ ფონდში, — საქალაქო (რაიონული) აღმასკომი მიიღებს შენობას დროებით გამგებლობაში, ხოლო მისი მუნიციპალიზაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ მოაწყობს შენობის მუდმივ მიმართველობას.

7. თუ შენობის მესაკუთრე ან სხვა დაინტერესებული პირი გამოცხადდება ამ შენობის მუნიციპალურ ფონდში ჩაირიცხვის შემდეგ, მას შეუძლია მიმართოს მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული) საბჭოს აღმასკომს, რომელმაც გამოიტანა გადაწყვეტილება უპატრონო შენობის მუნიციპალურ ფონდში ჩაირიცხვის შესახებ, შუამდგომლობით ამ გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ, თუ იმ პირმა, რომელმაც შუამდგომლობით მიმართა, ვერ მიიღო პასუხი ერთი თვის განმავლობაში ან მას უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, მას შეუძლია მიმართოს სასამართლოს სარჩელით, რომ იგი ცნობილ იქნას მუნიციპალიზებული შენობის მესაკუთრედ და დაუბრუნდეს შენობა.

II. მოუვლელი შენობები

8. ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში მდებარე შენობა, რომელიც ინგრევა იმის გამო, რომ მესაკუთრე მისთვის არ ზრუნავს, შეიძლება ჩაითვალოს მოუვლელად.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ვრცელდება კოლმეურნეთა შენობებზე, რომლებიც მდებარეობენ ქალაქის ან ქალაქის ტიპის დაბის ფარგლებში შემაჯალ საკოლმეურნეო მიწებზე.

9. მოუვლელი შენობის გამოვლინებისას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი შეადგენს კომისიას სამი პირისაგან—კომუნალური განყოფილების წარმომადგენლისა და მშენებლობის სპეციალისტებისაგან. კომისია დათვალთვრებს შენობას და შეადგენს აქტს შენობის მდგომარეობისა და შეკეთების აუცილებლობის შესახებ. აქტი შედგება შენობის მეპატრონის თანდასწრებით, რომელიც ხელს მოაწერს მას.

სხვა ადგილას მცხოვრებ მესაკუთრეს უნდა გაეგზავნოს შეტყობინება, რომ მან მონაწილეობა უნდა მიიღოს დათვალთვრების აქტის შედგენაში, ამასთან აღნიშნულ უნდა იქნას ვადა, რომლის განმავლობაში იგი უნდა გამოცხადდეს. მაგრამ მესაკუთრის გამოუცხადებლობა დანიშნულ ვადაში არ დააბრკოლებს შენობის დათვალთვრებას და აქტის შედგენას.

10. აქტის შედგენის შემდეგ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი წერილობით მისცემს წინადადებას შენობის მესაკუთრეს შეაკეთოს შენობა.

შენობის შესაკეთებლად მის მესაკუთრეს მიეცემა ვადა სახლის მდგომარეობისა და საჭირო რემონტის ხასიათის მიხედვით, მაგრამ არა უმეტეს ექვსი თვისა.

ამასთან მესაკუთრე გაფრთხილებული იქნება, რომ თუ იგი დანიშნულ ვადაში არ მოიყვანს შენობას სათანადო მდგომარეობაში, სასამართლოს წინაშე დაისმება საკითხი, რომ ცნობილ იქნას შენობა მოუვლელად.


11. შეკეთებისათვის მოცემული ვადის გასვლის შემდეგ სახლს ხელმეორედ შეამოწმებს კომისია სახლის მესაკუთრის მონაწილეობით, ხელმეორე შემოწმების შედეგებზე შედგება აქტი, რომელსაც ხელს მოაწერს ყველა პირი, ვინც კი დათვალთვრებას დაესწრო.

უკეთუ ხელმეორედ დათვალთვრების შედეგად აღმოჩნდება, რომ მესაკუთრეს სახლი არ შეუკეთებია და იგი ავარიულ მდგომარეობაშია, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასკომი სარჩელით მიმართავს იმ სახალხო სასამართლოს, სადაც შენობა მდებარეობს, რომ ცნობილ იქნას შენობა მოუვლელად.

სასარჩელო განცხადების შეტანისას გადახდილ უნდა იქნას ბაჟი დადგენილი წესით.

12. სასამართლოს გადაწყვეტილება შენობის მოუვლელად ცნობის შესახებ შეიძლება გასაჩივრებულ იქნას იმ წესით, რაც დადგენილია საქართველოს სსრ სამოქალაქო-საპროცესო კოდექსით.

13. სახალხო სასამართლოს იმ გადაწყვეტილების საფუძველზე, რომელიც კანონიერ ძალაშია შესული, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო (რაიონული)



საბჭოს აღმასკომს გამოაქვს გადაწყვეტილება, რომ ჩაირიცხოს შენობა-ადგილობრივი საბჭოს კომუნალურ ფონდში.

ამ დებულების წესით საცხოვრებელი შენობების მუნიციპალიზაციის დროს მუნიციპალიზებულად ითვლება ამ შენობის არასაცხოვრებელი ნაწილებიც (დარბაზები, საწყობები და სხვა).

14. მოუვლელი შენობის ჩაირიცხვა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს ფონდში არ გამოიწვევს იმ პირთა გამოსახლებას, რომლებიც მასში ცხოვრობენ, როგორც დაქირავებულები; საბინაო ორგანოები მოვალენი არიან დადონ ამ პირთა საცხოვრებელი სადგომის დაქირავების ხელშეკრულება კანონით დადგენილი წესით.

15. უპატრონო და მოუვლელი შენობების გამოვლინება ეკისრება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1960 წლის 18 ნოემბრის № 793
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი წარმოადგენს ორგანოს, რომელიც მოწოდებულია გადაჭრას საქართველოს სსრ სახელმწიფო, კოოპერაციულ და სხვა საზოგადოებრივ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის წამოჭრილი სამეურნეო დავა და მის კომპეტენციაში შემავალი სხვა დავა.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ძირითადი ამოცანებია:

ა) უზრუნველყოს სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ქონებრივი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა;

ბ) განამტკიცოს და განავითაროს თანამშრომლობა საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის სახალხო მეურნეობის გეგმების შესრულების საქმეში; აწარმოოს ბრძოლა კუთხურობისა და ვიწროუწყებრივი ტენდენციების გამოვლინების წინააღმდეგ;

გ) აქტიური ზეგავლენა მოახდინოს სამეურნეო დავის გადაწყვეტის დროს საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე, რათა შეასრულონ კანონები, აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებანი და განკარგულებანი სამეურნეო მშენებლობის საკითხებზე, და გამოიყენოს ქონებრივი სანქციები პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებათა შეუსრულებლობისათვის, უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდებისათვის და სახელმწიფო დისციპლინისა და სახელმწიფო-ულეო ვალდებულებათა სხვა დარღვევებისათვის;

დ) ხელი შეუწყოს პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების და სხვა ვალდებულებათა შესრულებას, აგრეთვე საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების სამეურნეო საქმიანობაში არსებულ იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, რომლებსაც სახელმწიფო არბიტრაჟი აღმოაჩენს სამეურნეო დავის განხილვის დროს;

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი გადაწყვეტს:

ა) დავას, რომელიც წამოიჭრება ხელშეკრულებათა დადების, აგრეთვე ხელშეკრულებათა შესრულების დროს და სხვა საფუძვლების მიხედვით, საქართველოს სსრ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, როდესაც სარჩელის თანხა არის არა ნაკლებ 1000 მანეთისა (ძველი ფულით).

ბ) დავას სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მონაწილეობით, რომელიც წამოიჭრება ისეთ ხელშეკრულებათა დადების დროს, როდესაც თანხა არ აღემატება 10 მილიონ მანეთს, აგრეთვე ისეთ ხელშეკრულებათა შესრულების დროს და სხვა საფუძვლების მიხედვით, როდესაც სარჩელის თანხა არ აღემატება 100 ათას მანეთს;

გ) დავას, რომელიც წამოიჭრება არასაერთო სარგებლობის მისასვლელი ლიანდაგების ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულებათა დადების დროს, როდესაც ტვირთბრუნვა დღელამეში არ აღემატება 100 ვაგონს;

დ) დავას, რომელიც არბიტრაჟის განსახილველად გადაცემულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად.

4. ცალკეული სამეურნეო დავა მხარეთა ურთიერთშეთანხმებით შეიძლება გადაეცეს სამედიატორო სასამართლოს, რომელსაც მხარეები აირჩევენ მოცემული საქმის შესაბამისად.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი:

ა) განიხილავს უთანხმოებებს ცალკეული სახის პროდუქციის მიწოდების იმ განსაკუთრებული პირობების მიხედვით, რომელთა დამტკიცება შედის რესპუბლიკის კომპეტენციაში;

ბ) გაუქმებულად ჩათვლის მთლიანად ან ნაწილობრივ ხელშეკრულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონებს, აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობის, მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების დადგენილებებსა და განკარგულებებს, სახელმწიფო გეგმებსა და დავალებებს, და დაავალებს მხარეებს შესაბამისი ცვლილებანი შეიტანონ დადებულ ხელშეკრულებებში;

გ) მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო-ციპლინის, გამოშვებული პროდუქციის ხარისხისა და კომპლექტურობის კანონმდებლობის ყველაზე სერიოზული დარღვევების შესახებ, აგრეთვე კუთხურობის ფაქტებისა და სოციალისტური კანონიერების სხვა დარღვევებზე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა სამეურნეო საქმიანობაში;

დ) შეისწავლის და განაზოგადებს საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების არბიტრაჟების მუშაობის გამოცდილებას, აგრეთვე ინსტრუქტაჟს გაუწევს მათ საარბიტრაჟო პრაქტიკისა და იმ ნორმატიული აქტების შეფარდების საკითხებზე, რომლებიც აწესრიგებენ სამეურნეო ურთიერთობას.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს დავას დაინტერესებული საწარმოებისა, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების განცხადებებით ან მათი ზემდგომი ორგანოების განცხადებებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება ენიჭება საკუთარი ინიციატივით აღძრას საქმეები, თუ მოიპოვება ცნობები, რომ საწარმომ, ორგანიზაციამ ან დაწესებულებამ დაარღვია საგემო-სახელმეკრულებო დიაციპლინა და სამეურნეო ანგარიშის მოთხოვნები. ამ შემთხვევაში გადახდევინებული საუბირო და ჯარიმები, რომლებიც ვათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, გადაირიცხება საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში ან იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ასარგებლოდ, რომელთა ინტერესებისათვის აღძრულია საქმე.

7. სასარჩელო განცხადების შემოსვლისას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი შეამოწმებს — მიიღო თუ არა მესარჩელემ არბიტრაჟში სარჩელის შემოტანამდე ზომები, რათა მოეგვარებინა დავა უშუალოდ მოპასუხესთან. უკეთუ არ იქნა წარმოდგენილი იმის მტკიცებანი, რომ ასეთი ზომები მიღებული იყო, სასარჩელო განცხადება განსახილველად არ მიიღება და დაუბრუნდება მესარჩელეს.

8. სამეურნეო დავის შეწყვეტის დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი ხელმძღვანელობს სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და მოკავშირე რესპუბლიკების და ავტონომიური რესპუბლიკების დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭოების დადგენილებებითა და განკარგულებებით, რომლებიც გამოცემულია დაწესებული კომპეტენციის ფარგლებში, სამინისტროებისა და უწყებების ბრძანებებით და ინსტრუქციებით, სახელმწიფო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებებით.

9. საქართველოს ასრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს უფლება ენიჭება:

ა) განსახილველი საქმის ვითარების გამოსარკვევად გამოუძახოს მოდავე საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და მათ მიმართ ზემდგომი ორგანოების, აგრეთვე იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების თანამდებობის პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ მხარეებს საქმის გამო, მაგრამ რომელთა წარმომადგენლების ახსნა-განმარტება საჭიროა დავის გადასაჭრელად;

ბ) მოთხოვოს საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს ისეთი დოკუმენტების, ცნობებისა და დასკვნების წარდგენა, რომლებიც საჭიროა დავის გადასაჭრელად;

გ) დანიშნოს ექსპერტიზა.

დ) შეამოწმოს საჭიროების დროს უშუალოდ საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში განსახილველი აქმის მასალები და გარემოებანი.

10. საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც ცნობილი არიან მოპასუხეებად ან თანამოპასუხეებად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ განსახილველი დავის გამო, მოვალენი არიან საქმის მოსმენის დღის შესახებ უწყების მიღების შემდეგ გაუგზავნონ არბიტრაჟს, ასლი კი — მესარჩელეს, განმარტება პარჩელის გამო და დავის გადაჭრისათვის საჭირო ყველა საბუთი, აგრეთვე მიავლინონ პასუხისმგებელი წარმომადგენელი არბიტრაჟის სხდომაზე მონაწილეობის მიზანსაღი.

უკეთეს სხდომაზე არ გამოცხადდა მოპასუხის ან თანამოპასუხის პასუხისმგებელი წარმომადგენელი და დანიშნულ ვადაში არ იქნა წარდგენილი საპატიო მიზეზების გარეშე წერილობით განმარტება სარჩელის გამო და დავის გადაჭრისათვის საჭირო სხვა საბუთები, სახელმწიფო არბიტრაჟს შეუძლია განიხილოს საქმე მოპასუხის ან თანამოპასუხის პასუხისმგებელი წარმომადგენლის დაუსწრებლად, თუ არსებული მასალები საკმარისია გადაწყვეტილების მისაღებად.

მესარჩელის პასუხისმგებელი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა სხდომაზე ან ის გარემოება თუ მესარჩელემ საპატიო მიზეზების გარეშე არ წარადგინა არბიტრაჟის მიერ მოთხოვნილი საბუთები, უფლებას აძლევს სახელმწიფო არბიტრაჟს მოსპოს საქმე წარმოებით.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში დავას განიხილავენ სახელმწიფო არბიტრი და მხარეთა პასუხისმგებელი წარმომადგენლები. გადაწყვეტილებანი მიღებული იქნება არბიტრაჟის სხდომაზე, დავის ყველა გარემოების განხილვის შედეგების მიხედვით.

თუ მხარეები შეთანხმდნენ, იგი შეიტანება ოქმში, და იღებს გადაწყვეტილების ძალას.


მხარეთა შორის უთანხმოების შემთხვევაში, დავის გამო გადაწყვეტილებას მიიღებს სახელმწიფო არბიტრი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში დავის განხილვის დროს მხარეთა პასუხისმგებელი წარმომადგენლები არიან საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და უწყებათა სამმართველოებისა და განყოფილებების უფროსები ან მათი მოადგილეები, ხოლო საჭიროების დროს — სხვა მუშაკებიც, რომელთაც ყოველ ცალკე შემთხვევაში ექნებათ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელების საამიბო რწმუნებანი.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებანი საბოლოოა და მოყვანილი იქნება სიარულეში თვით მხარეთა მიერ — გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ვადაში.

უკეთეს ბანკს დაწესებულ ვადაში არ წარედგინა დავალება გადაწყვეტილების შესაბამისად გადასახდევინებელი თანხების გადარიცხვის შესახებ ან არ იქნა შესრულებული დანიშნულ ვადაში უფასო სარჩელების გამო გამოტანილი გადაწყვეტილებანი, არბიტრაჟს შეუძლია მისცეს დანტერესებულ მხარეს ბრძანება და იმავდროულად გადაახდევინოს საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალში იმ მხარეს, რომელსაც არ შეუსრულებია გადაწყვეტილება დანიშნულ ვადაში, ჯარიმა გადაუხდელი თანხის ერთ პროცენტამდე, ხოლო უფასო სარჩელებზე — 1 000 მანეთამდე.

იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ შესრულება, ბრძანებას იძულებითი შესრულების შესახებ გასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი გადაწყვეტილებასთან ერთად.



13. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ბრძანებებს აქვთ აღსრულებითი დოკუმენტების ძალა, მათი სსრ-ულეში მოყვანა დადგენილი წესით წარმოებს ბანკის, საფინანსო ორგანოების ან სასამართლო აღმასრულებლის მეშვეობით და შეიძლება წარდგენილ იქნას შეასრულებლად იმ დღიდან ექვსი თვის განმავლობაში, რაც გავიდა არბიტრაჟის მიერ დაწესებული ვადა.

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბრძანების შესრულება ბანკის, საფინანსო ორგანოს ან სასამართლო აღმასრულებლის მიერ და ამასთან დაკავშირებით იგი დაუბრუნდა განმცხადებელს, ახალი ექვსი თვის ვადა გადაწყვეტილების შესასრულებლად გამოიანგარიშება ბრძანების დაბრუნების დღიდან.

14. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი, როდესაც იგი თავის გადაწყვეტის დროს გამოავლენს არსებით ნაკლოვანებებს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მუშაობაში, აცნობებს ამას მათ ხელმძღვანელებს ან ზემდგომ ორგანოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციება სათანადო ზომების მისაღებად.

საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები მოვალენი არიან აცნობონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს, თუ რა ზომები მიიღეს მათ აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღმოაფხვრელად.

სხვა ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში ან მოკავშირე რესპუბლიკებში; ანდა საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებების საპატიო მიზეზებია გარეშე შეუსრულებლობის გამოვლინებულ ფაქტებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი აცნობება შესაბამის ორგანოებს დამნაშავე პირებზე დისციპლინური სასჯელის დასადებათ ან ფულადი დანარიცხების დასაკისრებლად, ხოლო აღნიშნული გეგმებისა და დავალებების საპატიო მიზეზების გარეშე არაერთგზის შეუსრულებლობის, აგრეთვე უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდების შემთხვევაში, მასალებს გაუგზავნის პროკურატურას, რათა გადაიჭრას საკითხი დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

15. საქართველოა სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟში არ უნდა იქნას გადაჭრილი:


ა) დავა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ერთი სამინისტროს, უწყების, კოოპერაციული სისტემის ან შპრომელთა დებუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის;

ბ) დავა კოლმეურნეობებისა ერთმანეთს შორის, აგრეთვე სახელმწიფო საწარმოებთან და დაწესებულებებთან, კოოპერაციულ ან სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

გ) დავა გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გამო, რომელთა გადახდევინება სახელმწიფო ბიუჯეტში წარმოებს გადასახადებისა და არასაგადასახადო გადასახდელთა გადახდევინების დებულების შესაბამისად;

დ) ისეთი დავა ბანკების ოპერაციის გამო, რომელიც დაკავშირებულია იმასთან, რომ ბანკებმა განახორციელონ იმიაადმი საფინანსო კონტროლი, რათა საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა სწორად გამოიყენონ კაპიტალურ დაბანდებათა სახსრები;

ე) დავა, რომელიც წამოიჭრება პროდუქციის დამზადების ტექნიკური პირობებისა და მისაწოდებელი პროდუქციის სამსახურთა საგარანტიო ვადების შეთანხმების დროს;



ვ) დავა მისაწოდებელი პროდუქციის ფასების დაწესების შესახებ, აგრეთვე გაწეული მომსახურებისათვის ტარიფების დაწესების შეახებ, უკეთეს ეს ფასები და ტარიფები მოქმედი კანონმდებლობის თანახმად არ შეიძლება დაწესდეს მხარეთა შეთანხმებით;

ხ) სხვა დავა, რომლის გადაწყვეტა კანონებით ან სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებითა და განკარგულებებით მიეკუთვნება სხვა ორგანოების გამგებლობას.

16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს სათავეში უდგას მთავარი არბიტრი.

მთავარ არბიტრს დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

17. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი ხელმძღვანელობს არბიტრაჟის მუშაობას, თავისი კომპეტენციის ფარგლებში გამოსცემს კანონების, აგრეთვე სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების შესასრულებლად ბრძანებებს, ინსტრუქციებს, დადგენილებებს და ამოწმებს მათ შესრულებას, დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს აპარატის მუშაკებს.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრი დაინტერესებული ორგანიზაციების განცხადებებით ან საკუთარი ინიციატივით შეამოწმებს ზედამხედველობის წესით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა სისწორეს.


აღნიშნულ გადაწყვეტილებათა შემოწმების შედეგების მიხედვით მთავარ არბიტრს შეუძლია შეცვალოს ან გააუქმოს გადაწყვეტილება, მიიღოს საქმის გამო სხვა გადაწყვეტილება, გადასცეს საქმე ხელახლა განაახილველად, მოსპოს საქმე წარმოებით, უარი უთხრას გადაწყვეტილების გადასინჯვაზე და შეაჩეროს გადაწყვეტილების შესრულება.

აღნიშნულ გადაწყვეტილებათა გადასინჯვა საჭირო შემთხვევებში წარმოებენ მხარეების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

19. განცხადებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ შეიძლება შეიტანონ დაინტერესებული საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების ან მათი ზემდგომი ორგანოების ხელმძღვანელებმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის სახელზე გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან ერთი თვის ვადაში.

სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილების სისწორის შემოწმების შესახებ განცხადებების შეტანა ვერ შეაჩერებს გადაწყვეტილების შესრულებას.

განცხადებანი გადაწყვეტილებათა გადასინჯვის შესახებ იმ საქმეებზე, რომლებსაც სახელმწიფო არბიტრაჟი იხილავს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის დავალების წესით, შეიტანება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარი არბიტრის სახელზე.



20. სახელმწიფო არბიტრაჟის საქმიანობისადმი ზედამხედველობას ახორციელებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

იმის უფლება, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში აღძრას საკითხები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ, ეკუთვნით მხოლოდ იმ პირებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც უფლება აქვთ უშუალოდ შეიტანონ წინადადებანი მინისტრთა საბჭოში, გადაწყვეტილების გაუქმების საკითხი შეიძლება აღძრულ იქნას იმ დღიდან ერთი თვის ვადაში, რაც გამოტანილია სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გადაწყვეტილების გადასინჯვის შედეგების შესახებ.

21. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო ღერბი და თავისი დასახელება.

მონომარაში კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ¹

კოლექტიური ხელშეკრულება საბჭოთა შრომის სამართლის მნიშვნელოვანი ინსტიტუტია. ამიტომ ამ საკითხზე გამოცემული დოკ. ე. ნეიძის მონოგრაფია, უდაოდ, გარკვეულ ინტერესს იწვევს არა მარტო სპეციალისტთა წრეში, არამედ სახალხო მეურნეობის მრავალი დარგის პრაქტიკოს მუშაკთა შორისაც, რომლებიც თავიანთ ყოველდღიურ საქმიანობაში ხვდებიან კოლექტიურ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებს.

წიგნში მასალა ძირითადად კარგადაა განლაგებული, შესწავლილია კოლექტიური ხელშეკრულების შინაარსი, მისი ბუნება. ნაშრომში საყურადღებოა არა მხოლოდ მისი პოზიტიური მხარე, არამედ კრიტიკული ნაწილიც, სადაც ავტორი მარქსისტულ-ლენინური სწავლების საფუძველზე ამხილებს კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ ბურჟუაზიულ სამართლისმცოდნეთა შეხედულებების უძლურებასა და სილატაკეს.

შრომის პირველ თავში ვრცლად არის გადმოცემული კოლექტიურ ხელშეკრულებათა რეჟიმის აღმოცენება, მისი შემდგომი ევოლუცია, სამართლებრივი რეგლამენტაცია და განვითარება შედარებით-ისტორიულ ასპექტში, ნაჩვენებია, რომ კოლექტიური ხელშეკრულების ისტორია ამავე დროს არის მუშათა მოძრაობის ისტორიაც.

მართალია ავტორის აღნიშვნა, რომ ინგლისის კანონმდებლობით თავისთავად არ არის მოწესრიგებული ეს ინსტიტუტი, მაგრამ მის ლეგალიზაციას რატომღაც უკავშირებს მხოლოდ კანონს კოალიციების თავისუფლების აღიარების შესახებ (გვ. 18), მაშინ როდესაც ამ ხელშეკრულების მრავალი საკითხი წყდება ე. წ. საერთო სამართლის ნორმების საფუძველზე.

შრომის დარგში ამერიკული კანონების რეაქციული არსის ჩვენების მიზნით ავტორს უნდა განეხილა 1959 წლის 14 სექტემბრის კანონი „მუშებსა და დამქირავებლებს შორის ურთიერთობაში ანგარიშგებისა და ზედამხედველობის შესახებ“, რომლის მეორე ნაწილში მოცემულ ნორმებს შეაქვთ მნიშვნელოვანი, კიდევ უფრო

მეტად რეაქციული ცვლილებები და დამატებები სარეცენზიო წიგნში კრიტიკის თვალსაზრისით ფართოდ განხილულ ტაფტ-ჰარტლის კანონით გათვალისწინებულ კოლექტიური ხელშეკრულების საკითხში. ეს მით უმეტეს აუცილებელი იყო იმის გამო, რომ თვით მემარჯვენე პროფკავშირული ლიდერების აღიარებით, 1959 წლის კანონი ასჯერ უარესია ტაფტ-ჰარტლის ანტიმუშურ კანონზე, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში მოქმედებს 1947 წლიდან.

პირველი თავის ბოლო ნაწილი ეთმობა კოლექტიური ხელშეკრულების არსისა და იურიდიული ბუნების შესახებ ბურჟუაზიულ ცრუმეცნიერულ თეორიებს, მაგრამ აქ ავტორი ზოგჯერ ვერ იცავს სიზუსტეს ბურჟუაზიულ მეცნიერების შეხედულებათა გადმოცემაში. კერძოდ, შრომის 27-28 გვერდზე განხილულია ბურჟუაზიულ სამართლისმცოდნეთა დაპირისპირებული კონცეფციები ინდივიდუალური ხელშეკრულების პირობათა კოლექტიური ხელშეკრულების პირობებით შეცვლის დასაშვებლობის შესახებ. ავტორის მიერ მეორე შეხედულებიდან გამოტანილი აზრის საწინააღმდეგოდ, მოსამართლე ყოველ ცალკე შემთხვევაში ვერ გადაწყვეტს ინდივიდუალური ხელშეკრულების შეცვლას კოლექტიური ხელშეკრულების პირობებით. ასეთი რამ დაშვებული იყო მხოლოდ 'სარჩელებში' აღსრულების შესახებ. ამასთანავე ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ სასამართლოს ინიციატივით ასეთი შეცვლის დასაშვებლობას იზიარებდნენ მხოლოდ ამ შეხედულების ერთი მომხრენი, ხოლო მეორენი კი უარყოფდნენ სასამართლოს ასეთ უფლებას და მის საქმიანობას ზღუდავდნენ კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევის ფაქტის მარტო დადგენით. უკანასკნელთა აზრით, სასამართლოს უფლება ქონდა მიეცა წინადადება თვით ბრალეული მხარისათვის შეეწყვიტა კოლექტიური ხელშეკრულების საწინააღმდეგო სამუშაო ძალის დაქირავების ინდივიდუალური ხელშეკრულება.

¹ ე. ნეიძე, კოლექტიური ხელშეკრულება, 1960.

29-ე გვერდზე ავტორი წერს, რომ დანლობი სამრეწველო იურისპრუდენციის ქვეშ გულისხმობს კოლექტიურ ხელშეკრულებას, რომლის შინაარსს შეადგენს ე. წ. „შრომითი ვარიგების უფულო ასპექტი“, მაშინ, როდესაც დანლობს შრომითი ვარიგების უფულო ასპექტი მიაჩნია კოლექტიური ხელშეკრულების იგივეობად, ხოლო სამრეწველო იურისპრუდენცია კი მათ შინაარსად.

კოლექტიური ხელშეკრულების თავისებური ოფიციალური სამართლის წყაროდ ცნობის ბურჟუაზიული კონცეფციის კრიტიკის ვალდებულებას ავტორი მიუთითებს თითქოს ამ შეხედულების მომხრენი კოლექტიურ ხელშეკრულებაში ჰპოვებენ სამართლიანი ნორმების დადგენის ფუნქციას (იხ. გვ. 28), რაც მცდარია. სინამდვილეში ისინი (ელლინგი, დიუგი, მაკდონალდი, სლიხტერი და სხვანი) კოლექტიური ხელშეკრულების სამართლის განსაკუთრებულ წყაროდ აღიარების საფუძველს ხედავდნენ, მის სამართალწარმოქმნელ ფუნქციაში. მაგალითად, ლეონ დიუგი ამ ხელშეკრულებას განიხილავს როგორც ისეთ იურიდიულ აქტს, რომელიც ადგენს ზოგად და არა პერსონალური ხასიათის იურიდიულ დებულებას. სხვა სიტყვებით, ამ აქტით დადგენილი იურიდიული ნორმები არეგულირებენ მუშასა და დამქირავებელს შორის არა ცალკეულ ინდივიდუალურ ვალდებულებებს, არამედ შრომით ურთიერთობებს.

მეორე თავში განხილულია საბჭოთა კოლექტიური ხელშეკრულების ინსტიტუტის განვითარების ისტორია, რომელიც ტრადიციულად ოთხ პერიოდად, ანუ ეტაპად არის დაყოფილი.

ფართოდ არის განხილული კოლექტიურ ხელშეკრულებათა პრაქტიკა და მათი მარეგულირებელი ნორმატიული აქტების განვითარება, დამაჯერებლად და დასაბუთებულ კოლექტიური ხელშეკრულების განვითარების ეტაპებად გამიჯნვის აუცილებლობა სოციალისტური სახელმწიფოს ფუნქციებთან დაკავშირებით.

თუ პირველი სამი ეტაპი კოლექტიური ხელშეკრულების განვითარებაში განხილულია სრულად, იგივე როლი ითქმის მისი განვითარების მეოთხე ეტაპზე. გაუგებარია ავტორმა რატომ შემოფარგლა ნორმატიული მასალის მხრივ ეს ემპირიკული პერიოდი მხოლოდ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ 1947 წლის 4 თებერვალს მიღებული სპეციალური დადგენილებით კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების შესახებ საწარმოთა ადმინისტრაციასა და პროფკავ-

შირთა საფაბრიკო-საქარხნო ადგილობრივ კომიტეტებს შორის. დღესაც ხომ ძალა არ დაუკარგავთ ისეთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტებს, როგორცაა 1948 წლის 5 აპრილის სპეციალური დადგენილება კოლექტიური ხელშეკრულების შესახებ, რომლითაც მნიშვნელოვნად გაფართოვდა ამ ხელშეკრულების დამდებ მხარეთა წრე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის დადგენილება საწარმოთა დირექტორების უფლებათა გაფართოების შესახებ, რაც მიზნად ისახავდა სამეურნეო საკითხების გადაწყვეტაში ზედმეტე ცენტრალიზაციის თავიდან აცილებას და საწარმოს მმართველობაში ოპერაციების გაზრდას, დაბოლოს, დებულება რესპუბლიკის, სამხარეო და საოლქო პროფკავშირთა საბჭოების შესახებ, დამტკიცებული სრულიად საკავშირო პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1957 წელს, რომელიც იძლევა კოლექტიური ხელშეკრულების მრავალი საკითხის რეგულირებას.

აღინიშნულ და კოლექტიური ხელშეკრულების მარეგულირებელ სხვა მრავალ მოქმედ კანონთა თუნდაც ქრონოლოგიური ჩამოთვლა თავში, რომელიც ეხება კოლექტიური ხელშეკრულების ინსტიტუტის განვითარებას საბჭოთა სახელმწიფოში, ჩვენის აზრით, აუცილებელი იყო.

სარეცენზიო შრომის მესამე თავში „საბჭოთა კოლექტიური ხელშეკრულების როლი სახალხო მეურნეობის განვითარებაში და მისი ადგილი შრომის კანონმდებლობაში“ კოლექტიური ხელშეკრულების ცნების დადგენის შემდეგ ქვეთავების სახით წარმოდგენილია საკითხები: კოლექტიური ხელშეკრულების მხარეები, კოლექტიური ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულებები და მათი ხასიათი, კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება და მისი შესრულების შემოწმება, დაბოლოს, პასუხისმგებლობა კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევისათვის. საკითხთა ჩამოთვლა საფუძველს გვაძლევს ექვსი ქვეშ დაეყენოთ ამ თავის აღნაგობა. მასში მოცემულია კოლექტიურ ხელშეკრულების ინსტიტუტთან უშუალოდ დაკავშირებულ საკითხთა კომპლექსის იურიდიული ანალიზი, რომელთანაც წარმოებულ (და ისიც არაყოველთაის) მიმართებაშია საკითხი კოლექტიური ხელშეკრულების როლის შესახებ სახალხო მეურნეობის განვითარებაში. კოლექტიური ხელშეკრულების როლი და მნიშვნელობა დაპირობებული და განსაზღვრულია

თვით ამ სამართლებრივი ინსტიტუტის შინაარსით. სწორედ ამიტომ, ჩვენის აზრით, საკითხი კოლექტიური ხელშეკრულების როლის შესახებ სახალხო მეურნეობის განვითარებაში, ყოველ შემთხვევაში ბოლო, შემაჯამებელი ქვეთავის სახით უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი.

მესამე პარაგრაფში კოლექტიური ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილების ჩამოთვლისას (გვ. 61) ავტორის მსჯელობიდან გამოძინარეობს, რომ კოლხელშეკრულებას ყოველთვის თან სდევს დანართი, ე. ი. შეთანხმება უსაფრთხოების ტექნიკისა და სამარეწველო სანიტარიის ღონისძიებათა ჩატარების შესახებ, დროის მხრივ არანორმირებულ იმ მუშაკთა შესახებ, რომლებსაც აქვთ დამატებითი შვებულებით სარგებლობის უფლება და სხვ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ 1957 წლის შემდეგ ეს პრაქტიკა შეიცვალა იმ მხრივ, რომ წარმოება-დაწესებულებათა უმრავლესობა აღარ იძლევა დანართს და ამ საკითხებს უშუალოდ რთავს კოლექტიური ხელშეკრულების ტექსტში.

ვინაიდან მეოთხე პარაგრაფში ლაბარაკია კოლექტიური ხელშეკრულების შესრულების შემოწმებაზე და არა თვით ხელშეკრულების შემოწმებაზე, სათაური წარმოდგენილი უნდა იყოს არა როგორც „კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება და შემოწმება“, არამედ „კოლექტიური ხელშეკრულების გაფორმება და მისი შესრულების შემოწმება“.

სარეცენზიო შრომაში არაფერია ნათქვამი კოლხელშეკრულების ყოველდღიური კონტროლის ისეთ მნიშვნელოვან ფორმებსა და მეთოდებზე, როგორცაა ხელშეკრულების ცალკეულ საკითხებზე სხვადასხვა რეიდისა და საზოგადოებრივი დათვალიერების ორგანიზაცია, ადგილობრივ გაზეთებში კრიტიკა და თვითკრიტიკა და ა. შ.

ავტორი სჯერდება უმთავრესად კოლხელშეკრულების დადებით გამოცდილებას, ჩვენის აზრით კი, შრომა გაცილებით მოიგებდა მასში ნაჩვენები რომ ყოფილიყო ამ ხელშეკრულების ბირობათა დარღვევის პრაქტიკული შემთხვევები.

შრომაში განხილულია საკითხი კოლხელშეკრულების დადებისას საწარმოს ადმინისტრაციასა და პროფორგანიზაციას შორის წარმოშობილ უთანხმოების შესახებ, რომელსაც განიხილავენ კოლხელშეკრულების რეგისტრაციის დროს და ცალკე ოქმით აფორმებენ სთანადო დააწყვეტილებას. (გვ. 76). საკითხი, როგორც ვხედავთ, ცალმხრივად არის გაშუ-


ქებული, დასახელებულია მხოლოდ მხოლოდ შეთანხმების შემთხვევა. ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი იმ ორგანოს იურისდიქციის შესახებ, რომელსაც, ასე ვთქვათ, ღიად დარჩენილი აღნიშნული უთანხმოების საბოლოო გადაწყვეტის უფლება აქვს. ზემოთ დასახელებული დებულება რესპუბლიკის, სამხარეო და საოლქო პროფკავშირთა საბჭოების შესახებ უფლებას აძლევს პროფსაბჭოს, რომელსაც ევალება გაუწიოს ხელმძღვანელობა რესპუბლიკის, სამხარეო, საოლქო პროფკავშირთა ორგანიზაციების მიერ საქმიანობას, სამეურნეო ორგანოებთან ერთად განიხილოს და გადაწყვიტოს საბოლოოდ ადმინისტრაციასა და პროფკავშირის ორგანიზაციას შორის წამოჭრილი უთანხმოებანი კოლექტიური ხელშეკრულების თაობაზე.

შრომაში არაფერია ნათქვამი დაწესებულების ან საწარმოს რეორგანიზაციის შემთხვევაში კოლექტიური ხელშეკრულების ბედის შესახებ.

კოლექტიური ხელშეკრულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახეების დახასიათებისას ვხვდებით მცდარ დებულებებს, მაგალითად, ავტორის აზრით, კოლექტიური ხელშეკრულების დანაშაულებრივი დარღვევის ერთერთ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს კოლხელშეკრულებისა და შეთანხმებათა დარღვევა ბოროტი განზრახვით, ე. ი. არა დაუდევრობითა და გაუფრთხილებლობით, არამედ წინასწარი შეცნობით (იხ. გვ. 83).

როგორც ვხედავთ, მეორე აზრით ეწინააღმდეგება სწავლებას ბრალის ფორმების შესახებ საბჭოთა სისხლის სამართლის მეცნიერებასა და კანონმდებლობაში. ავტორმა ბოროტი განზრახვა (ტერმინოლოგიური სიწმინდის შესახებ ცოტა ქვემოთ შევჩერდეთ) დაუპირისპირა გაუფრთხილებლობას, რითაც უგულვებლყო განზრახვის მეორე სახე — არაპირდაპირი განზრახვა, კიდევ მეტიც, დაუდევრობა და გაუფრთხილებლობა ისეთ მიმართებაში არიან ურთიერთ როგორც კერძო და ზოგადი; დაუდევრობა გაუფრთხილებლობის ერთ-ერთი სახეა და არა მისგან განსხვავებული და მასთან დაპირისპირებული.

საბჭოთა შრომის სამართლის ნორმების დარღვევა იწვევს არა მარტო დისციპლინურ ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, როგორც ეს შრომაშია აღნიშნული, არამედ განსაზღვრულ შემთხვევაში თვით საწარმოს მატერიალურ პასუხისმგებლობასაც. კოლექტიური ხელშეკრულების საფუძველზე ადმინისტრაციის მიერ ნაკისრ ვალდებულები-



ბიდან გამომდინარე მატერიალური ხასიათის ყველა მოთხოვნა სარეალიზაციოდ წარედგინება საწარმოს, რადგან სწორედ მას აწევს მატერიალური პასუხისმგებლობა. ასეთი პასუხისმგებლობა გამორიცხულია პროფკავშირის მიმართ.

ავტორის აზრით, დისციპლინური პასუხისმგებლობა აწევს წარმოების ადმინისტრაციას, ხოლო მორალურ-პოლიტიკური კი პროფკავშირის წარმომადგენლებს (ალბათ ავტორს სურდა ეთქვა პროფკავშირის კომიტეტის წარმომადგენლებს, რამდენადაც კოლხელშეკრულების მხარედ გამოდის პროფკავშირის კომიტეტი), სინამდვილეში კი ასეთივე პასუხისმგებლობა აწევთ კოლექტიური ხელშეკრულების პირობათა დარღვევისას ცალკეულ მუშა-მოსამსახურეებსაც. უკეთეს იხინი ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობით (მაგალითად გამომუშავების ნორმის შეუსრულებლობა) არღვევენ შრომის შინაგანაწესს პასუხს ავებენ დისციპლინური წესით, ხოლო მორალურ-პოლიტიკურ ვალდებულებათა (მაგალითად კვალიფიკაციის ამაღლება, სოციალისტურ შეჯიბრებაში მონაწილეობა და ა. შ.) შეუსრულებლობით დგება მორალური პასუხისმგებლობა საზოგადოების წინაშე.

კარგი იქნებოდა ავტორს რომ მოეცა ახსნა იმისა, თუ რით არის დაპირობებული კოლექტიური ხელშეკრულების მხარეების პასუხისმგებლობის სხვადასხვა სიმიმე, რადგან ერთი შეხედვით შეიძლება შეგვეჩინას შთაბეჭდილება თითქოს პროფკავშირული ორგანიზაცია საწარმოს ადმინისტრაციასთან შედარებით განსაზღვრული აზრით ჩაყენებულია პრივილეგიურ მდგომარეობაში, ჩვენის აზრით, ადმინისტრაციის პასუხისმგებლობის შედარებით სიმკაცრე განისაზღვრება თვით მისი ბუნებით, იგი საწარმოს მმართველობის ორგანოა, გეგმის შესაბამისად განკარგავს საწარმოს მატერიალურ და ფინანსიურ რესურსებს და ერთპიროვნულ ხელმძღვანელობას უწყევს საწარმოს მიერ საქმიანობას. ხოლო პროფკავშირული კავშირის კომიტეტის ვალდებულებებს აქვთ საზოგადოებრივი ხასიათი, რის გამოც მათი შესრულება უზრუნველყოფილია საზოგადოებრივი აზრის ძალით, მშრომელთა მაღალი შეგნებულობით, შინაპროფკავშირული დისციპლინით. სწორედ ეს მომენტია განმსაზღვრელი

იმისა, რომ პროფკავშირული კომიტეტის მხრივ ვალდებულებათა დარღვევის შემთხვევაში არ დგება სამართლებრივი შედეგი.

შედარებით კარგად არის დამუშავებული შრომის მეოთხე თავი, რომელშიც განხილულია კოლექტიური ხელშეკრულების ინსტიტუტი სახალხო-დემოკრატიის ქვეყნებში.

ზოგჯერ ავტორი იძლევა სახელმწიფო ორგანოთა არაზუსტ დასახელებას, მაგალითად, წიგნის 77-ე გვერდზე მოხსენებულია სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სამეურნეო სამმართველოები (ტრესტები), სახალხო მეურნეობის საბჭოების სამეურნეო სამმართველოების (ტრესტების) ნაცვლად.

1948 წლის 11 დეკემბერს გამოცემული კანონი „О трудовых взаимоотношениях в общественных корпорациях“ თარგმნილია შეცდომით: „შრომით ურთიერთობათა და საზოგადოებრივ კორპორაციათა შესახებ“ (გვ. 23), უნდა იყოს კანონი „შრომითი ურთიერთობის შესახებ საზოგადოებრივ კორპორაციებში“.

სარეცენზიო წიგნში ვხვდებით არასწორ გამოთქმებსაც, მაგალითად, 47-ე გვერდზე ვკითხულობთ „ნორმატული შეთანხმების ბუნება“, უნდა იყოს შეთანხმების ნორმატული ბუნება, რადგან ლაპარაკია არა ნორმატულ შეთანხმებაზე და მის ბუნებაზე, არამედ თვით შეთანხმების ნორმატულ ხასიათზე; 77-ე გვერდზე ლაპარაკია „პროფკავშირულ კომიტეტსა და ადმინისტრაციას შორის შედგენილ შეუთანხმებლობის“ ოქმზე, მაგრამ სიტყვა „შეუთანხმებლობას“ აქვს სხვა ელფერი კანონმდებლის მიერ ნახმარ სიტყვა „უთანხმოებასთან“ შედარებით. შეუთანხმებლობა (несогласованность) ნიშნავს ცალმხრივ აქტს, საკითხის გადაწყვეტას მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე; უთანხმოება (разногласие) კი მეორე მხარის უარყოფითი დამოკიდებულებაა ამა თუ იმ საკითხის შესახებ.

გვ. 83 ავტორი მიუთითებს ბოროტი განზრახვით ჩადენილ დანაშაულზე, რაც უცნობია საბჭოთა სისხლის სამართლისათვის, ვფიქრობთ მას უნდა ელაპარაკა დარღვევის ბოროტულ ხასიათზე.

რესპუბლიკური თათბირი სოხიალისტური კანონიერების განმტკიცებლის საკითხებზე

ქ. თბილისში, ძეგრიანის სახელობის კლუბში გაიმართა პროკურატურისა და სახალხო სასამართლოების მუშაკთა, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ თანამშრომელთა რესპუბლიკური თათბირი:

მოსხენება — „რესპუბლიკაში სისხლის სამართლის დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ 22-ე ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით“ — გააკეთა საქართველოს სსრ პროკურორმა პ. ე. ბერძენიშვილმა.

— საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 22-ე ყრილობამ, რომელიც პარტიული რიგების მონოლითური ერთიანობის ვითარებაში ჩატარდა, პარტია და მთელი ხალხი შეაიარაღა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის დიდი პროგრამით. პროგრამამ მთელ მსოფლიოს დაანახვა მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების ცხოველყოფილი ძალა, პარტიისა და საბჭოთა ხალხის შეუღლებული ნებისყოფა და მტკიცე გადაწყვეტილება — ააშენოს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოება.

— პარტიის 22-ე ყრილობაზე დიდი ადგილი დაეთმო მართლმსაჯულების განხორციელებას, სოციალისტური მართლწესრიგისა და დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს. პარტიამ დააყენა ამოცანა უზრუნველყოფილ იქნეს სოციალისტური კანონიერების დაცვა, აღმოიფხვრას მართლწესრიგის ყოველგვარი დარღვევა, მოხდეს დამნაშავეობის ლიკვიდაცია, აღიკვეთოს მისი წარმოშობის ყველა მიზეზი.

საბჭოთა სახელმწიფოს, ჩვენს ხალხს ყველა პირობა და შესაძლებლობა აქვს იმისათვის, რომ თავი გაართვას ამ დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ამოცანას.

შემდეგ აშხ. პ. ე. ბერძენიშვილი შეეხა დანაშაულობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის საკითხს. აღნიშნა, რომ საზოგადოებრიობის მონაწილეობამ დიდად შეუწყო ხელი სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებას, დანაშაულობათა თავიდან აცილებასა და მის გამომწვევ მიზეზებს, რის შედეგადაც დანაშაულობანი მნიშვნელოვნად შემცირდა. კერძოდ: ძარცვის, მოქალაქეთა პი-

რადი ქონების დატაცების რიცხვი მიმდინარე წლის 10 თვეში 28,5 პროცენტით ნაკლები იყო, ვიდრე გასული წლის ამავე პერიოდში. საგრძნობლად შემცირდა აგრეთვე განზრახ მკვლელობის, სხეულის მიმე დაზიანების ფაქტები. ეს იმაზე მეტყველებს, რომ სასამართლო პროკურატურის ორგანოებმა სწორედ გაიგეს პარტიისა და მთავრობის მითითება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემისა და სასჯელის ზომის სწორად შეფარდებაზე.

მიუხედავად ამისა, დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში ყველაფერი რიგზე როდია.

მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა სახელმწიფო თანხების დატაცებისა და განიავების ფაქტებზე. უკანასკნელ ხანებში გამოვლინდა სახელმწიფო თანხების მსხვილი ჯგუფური დატაცების შემთხვევები, რასაც ადგილი ქონდა ქუთაისის სამშენებლო განყოფილების, გელათ-შახტმენის, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში. ამ საქმეზე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემულ და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესიის მიერ გასამართლებულ იქნა 45 კაცი. სახელმწიფო თანხების მსხვილი დატაცების ფაქტებს ადგილი ქონდა აგრეთვე „ციკავშირის“ სისტემაში და სხვა ორგანიზაციებში.

შემდეგ აშხ. პ. ე. ბერძენიშვილმა მოიყვანა იმის მაგალითები, თუ როგორ ქიანურდება ზოგიერთი რაიონის პროკურატურაში იმ პირობით საქმეების გამოძიება, რომელთაც ბრალი ედებათ სახელმწიფო თანხების მითვისებაში. ასეთ შემთხვევებს ადგილი ქონდა ზუგდიდასა და ქ. სოხუმის პროკურატურაში.

მოსხენებაში დიდი ადგილი ქონდა დათმობილი პროკურატურის, მილიციისა და სასამართლო ორგანოების ერთობლივ მუშაობას დანაშაულობათა დროულად განხილვისა და დამნაშავეობის შემცირების საქმეში.

შემდეგ მომხსენებელი შეეხა ადამიანის აღზრდის, მათ შეგნებაში კაპიტალიზმის ვადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს, — რომლებმაც დიდი ადგილი დაიკავეს სკკპ პროგრამაში, პარტიის XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

მოიყვანა რა დამნაშავეობასთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის კონკრეტული მაგალითები პ. ბერძენიშვილიმ აღნიშნა, რომ დანაშაულის გახსნაში და დამნაშავეთა დაძვინაში საზოგადოებრიობის დახმარებით მიმდინარე წელს დამთავრებულია 143 საქმე. რესპუბლიკაში მოქმედებს 269 რაზმეული, რომელშიც 66.000-ზე მეტი კაცია გაერთიანებული.

მოსხენების ირგვლივ კამათში პირველი გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ე. ტაკიძე.

—პარტიამ და მთავრობამ,—ამბობს ამხ. ე. ტაკიძე,—სხვა დიდმნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ამოცანად დასახა, პროკურატურის, სასამართლოს და მილიციის ორგანოების მუშაობა აყვანილ იქნეს მაღალ დონეზე, რათა ისტორიულად უმოკლეს ვადაში ბოლო მოუღოთ ისეთ მახინჯ გადმონაშთებს, როგორცაა სახელმწიფო და საზოგადო ქონების დაცვა, მკვლელობა, ბანდიტიზმი, ძარცვა, მექრთამეობა და სხვა ბოროტი დანაშაული, რომელთა არსებობისათვის ჩვენს საზოგადოებაში არ არის ობიექტური პირობები.

—ახორციელებენ რა კომუნისტური პარტიის ბრძნულ მითითებებს, პროკურატურის, სასამართლოსა და მილიციის ორგანოები დაუღალავად იბრძვიან ჩვენს ქვეყანაში დამნაშავეობის აღმოსაფხვრელად, საბჭოთა კანონების ცხოვრებაში განუხრველად გატარებისათვის, ისეთი პირობების შექმნისათვის, რაც გამოირიცხავს დანაშაულის წარმოშობას.

შემდეგ ამხ. ე. ტაკიძე აღნიშნავს, რომ საკმარისი როლია მარტოდენ დანაშაულის გახსნა ან დამნაშავე პირის დასჯა არამედ საჭიროა დანაშაულის მიზეზების ძირფესვიანად შესწავლა, მისი საჯარო გამოაშკარავება.

ამხ. ე. ტაკიძე ვრცლად ჩერდება სასამართლო ორგანოების მუშაობის საკითხებზე. მოიყვანა კონკრეტული მაგალითები, როდესაც ზოგიერთი სახალხო სასამართლო უსაფუძვლოდ აძლევს მოქალაქეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში, მაგალითად ცხინვალის რაიონის სახალხო სასამართლომ ბ. ბეკოევს მიუსაჯა ორი წლით პატიმრობა. ბ. ბეკოევს ბრალად ედებოდა ი. კ.—გაუპატიურება. მაშინ როდესაც სამედიცინო შემოწმებით ი. კ.—არ ემჩნეოდა ძალადობის რაიმე ნიშნები და იგი ქალწული აღმოჩნდა.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებით ბ. ბეკოევს მიმართ საქმე სისხლის სამართლის წესით

შეწყდა მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების უქონლობის გამო.

ორატორმა მოიყვანა აგრეთვე იმის მაგალითები, როდესაც სახალხო სასამართლოები უშვებენ უხეშ შეცდომებს და საშიში დანაშაულის ჩამდენთ უფარდებენ ლომობიერ სასჯელს.

პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის ორგანოების და სახალხო რაზმეულების ერთობლივი მუშაობის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს მილიციის სამმართველოს უფროსმა გ. შელიამ.

გ. წ. 17 ნოემბერს დღის 1 საათზე გაქურდულ იქნა რუსთავის საოქრომჭედლო ვაჭრობის მალაზია, საიდანაც წაიღეს 30 ათასი მანეთის ოქროული და ფული 1 000 მანეთი. შემთხვევის ადგილზე მაშინვე გაჩნდნენ რუსთავის მილიციის განყოფილების მუშაკები შ. კოლუა, ა. რზაევი, ქალაქის პროკურორის თანაშემწე ს. ლაღუა, სახალხო რაზმეულის შტაბის უფროსი ნ. ებრაღიძე.

სწრაფად წარმოებული ოპერატიული მუშაობის შედეგად იმავე დღესვე გაიხსნა განსაკუთრებით საშიში დანაშაული, პროკურატურის, მილიციისა და სახალხო რაზმეულის ერთობლივი მუშაობით.

საქართველოს სსრ პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსი გ. მეგრელიშვილი დაწვრილებით შეჩერდა იმ ღონისძიებებზე რაც ტარდება საგამომძიებლო მუშაობის ასამაღლებლად. პირველ რიგში ყურადღება ექცევა გამომძიებლის მუშაობის მეთოდებისა და ფორმების სწორ ორგანიზაციას. გამოცდილების და ურთიერთგაზიარების მიზნით თბილისში, სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში ჩატარდა რესპუბლიკური სემინარები. რესპუბლიკის პროკურატურაში გაიხსნა კრიმინალისტიკის კაბინეტი, სადაც მუშაობს მუდმივმოქმედი სემინარი და ა. შ.

ამხ. გ. მეგრელიშვილიმ მკაცრად გააკრიტიკა ახმეტის რაიონის პროკურორის თანაშემწე დონხაძე, წყალტუბოს რაიპროკურატურის გამომძიებელი გვიმრაძე, ქარელის რაიპროკურატურის გამომძიებელი ავალიშვილი, ზუგდიდის პროკურატურის გამომძიებელი ზარანდია, რომლებიც მეტად სუსტად მუშაობენ.

ქ. თბილისის პროკურორის მოადგილე ვ. ნმალაძე შეეხო ქ. თბილისის ტერიტორიაზე მოძრაობის წესების დარღვევით გამოწვეულ ავტოავარიის შემთხვევებს, რის გამოც გამოწვეულია მეტად მძიმე შედეგები. ამ კატეგორიის საქმეთა ანალიზით დაზუსტებულია, რომ

ავტოვარიის 80 პროცენტზე მეტი გამოწვეულია მანქანის მძღოლთა სიმთვრალით.

შემდეგ ამხ. ვ. ხმალაძე შეჩერდა დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში საზოგადოებრიობის როლზე დამნაშავის გამოსწორებისა და სწორ გზაზე დაყენების საქმეში.

სსრ კავშირის პროკურატურის საგამომძიებლო სამმართველოს პროკურორი გ. გოლსტრეცლად შეჩერდა საგამომძიებლო ორგანოების მუშაობის ამოცანებზე. მან აღნიშნა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცოტა როდია სახელმწიფო თანხების მსხვილი გაფლანგვისა და სოციალისტური ქონების დატყევის ფაქტები. არის იმის შემთხვევები, როდესაც უდანაშაულო ადამიანებს სისხლის სამართლის პასუხისგებაში აძლევენ. საილუსტრაციოდ მან დაასახელა კ. ბიდაშირჩის, ბ. ნოხაევის, ნ. ბიჯამოვის საქმე, რომელთაც ბრალად ედებოდათ მოქ. გრ. ეგოიანის გაძარცვა და თ. ტატიშვილის გაუპატიურება. ნ. ბიჯამოვი, კ. ნოხაევი, კ. ბიდაშირჩე კატეგორიულად უარყვეს დანაშაულის ჩადენა და წამოაყენეს ალიბი, რაც შემდეგ დადასტურდა. მოკვლევის ორგანოებმა ამოცნობა არ ჩაატარეს კანონის დაცვით, კერძოდ, დაზარალებულებს წინასწარ არ აღწერიეს ბოროტმოქმედნი, ამოცნობის დროს ისინი არ გააფრთხილეს სსკ 95 მუხლით.

ნამდვილი დამნაშავე ს. ბიჯამოვის მიმართ 1954 წლის აპრილში მილიციამ მასალები გამოყო ცალკე წარმოებით და შვიდი წლის მანძილზე გამოყოფილი მასალების ირველივ არაერთი საგამომძიებლო მოქმედება არ ჩატარებია.

უდანაშაულო ადამიანებს ნ. ბიჯამოვი, კ. ნოხაევი, კ. ბიდაშირჩის სასამართლომ მიუსაჯა 20-20 წლით პატიმრობა და მხოლოდ 7 წლის შემდეგ ადვოკატ ო. ნიკოლაიშვილის თაოსნობით, რომელიც ამ ხნის მანძილზე მთელი მონღოლებით იბრძოდა სიმართლის დადგენისათვის გაირკვა სიმართლე და ნ. ბიჯამოვი, კ. ნოხაევი და კ. ბიდაშირჩი განთავისუფლებულ იქნენ პატიმრობიდან.

საბჭოთა ადამიანების აღზრდის, მათ შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთებთან ბრძოლის, დამნაშავეობის ლიკვიდაციის საკითხების შესახებ ილაპარაკეს თათბირზე აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ე. დვინჯილიამ, აჭარის ასსრ პროკურორმა გ. გოგიტაძემ, ცხინვალის რაიონის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარე კ. ძუკაევმა, ქ. ქუთაისის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ ა. იობიძემ, ზუგდიდის რაიონის პროკურორმა ს. კა-

ჭარავამ, ქ. თბილისის 26 კომისიის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ი. დავაშვილმა, ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გ. გაბუნია.

თათბირზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ვ. მ. სირაძემ.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა,—აღნიშნა მან,—ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას. ამჟამად დღის წესრიგში დგას ამოცანა—მკვეთრად შემციოდეს, ხოლო შემდეგ სრულიად აღმოიფხვრას დანაშაულთა შემთხვევები და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესების სხვა დარღვევანი. ამ მითითებათა შესასრულებლად პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის მიერ განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები: 1955 წლის მაისში მიღებულ იქნა დებულება საპროკურორო ზედამხედველობის შესახებ, გაძლიერდა პარტიული კონტროლი იმ ორგანოების საქმიანობაზე, რომლებიც მოწოდებულნი არიან აწარმოონ ბრძოლა დანაშაულთან. ამ ღონისძიებებმა დიდად შეუწყო ხელი სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას და შექმნა პირობები იმისათვის, რომ არ განმეორდეს საბჭოთა კანონების ის უხეში დარღვევები, რასაც წარსულში ჰქონდა ადგილი.

—იმის საჭიროება, რომ დაენერგოთ პარტიის ცემა საბჭოთა კანონებისადმი, ვიბრძოლოთ სამართალდარღვევის აღმოფხვრისათვის, გამოვიყენოთ ამ საქმეში საზოგადოებრივი ზეგავლენის ძალა და კანონის ძალაც, ხაზგასმულია სსკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

—ახლა,—აღნიშნა დასასრულ ამხ. სირაძემ,—საჭიროა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე გავაუმჯობესოთ თითოეული მუშაკის საქმიანობა, ალვეკეთოთ არაკეთილსინდისიერებისა და მდგომარეობის ბოროტად გამოყენების ყოველი გამოვლინება. მთელი მუშაობა უნდა დაუქვემდებაროთ მშრომელთა ინტერესების ფიზიკურ და ცხადს, უღობველ ბრძოლას ანტი-საზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, ყოველი საბჭოთა ადამიანის აღზრდას შეგნებულობისა და ჩვენი საერთო საქმისადმი პატიოსანი სამსახურის სულისკვეთებით. ეს სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების ყველაზე მთავარი, ყველაზე დიდმნიშვნელოვანი პირობაა.

საქართველო სსრ უმაღლესი სასამართლო პლენუმი

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს III პლენუმმა მოისმინა აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ვ. ლვინჯილიას, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ვ. ბერძენიშვილის, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის თავმჯდომარის პ. შაორშაძის, ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარის გ. გაბუნიას მოხსენებები — „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1961 წლის 2 მარტის ბრძანებულების — „საქართველოს სსრ სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების წესის თაობაზე“ შესრულების მიმდინარეობის შესახებ“.

მოხსენებლებმა ილაპარაკეს საქართველოს სსრ ახალი სისხლის სამართლის და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების გამოქვეყნების შემდეგ სასამართლო ორგანოებში საქმეთა შესაბამისობაში მოყვანის მდგომარეობაზე.

აღნიშნული იქნა, რომ ბრძანებულების გამოქვეყნების შემდეგ პერიოდში აფხაზეთის ასსრ სასამართლო ორგანოების მიერ შესაბამისობაში მოყვანილ იქნა 237 საქმე. ამ რიცხვიდან ახალი კოდექსების შესაბამისად 88 კაცს სასჯელი შეუმცირდა, 8 კაცი განთავისუფლებული იქნა პატიმრობიდან და ა. შ.


აჭარის ასსრ სასამართლო ორგანოებში მ. წ. პირველი მარტიდან 20 სექტემბრამდე მსჯავრდებულთა შესახებ სასჯელის შესაბამისობაში მოსაყვანად შემოვიდა 74 საქმე. აქედან შესაბამისობაში მოყვანილ იქნა 43 საქმე, ხოლო 31 უცვლელად იქნა დატოვებული. უკანასკნელი ექვსი თვის განმავლობაში გარკვეული მუშაობა იქნა ჩატარებული აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სასამართლო ორგანოების და ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს მიერ.

მოხსენებლებმა ვრცლად ილაპარაკეს დაშვებულ შეცდომებსა და დარღვევების შესახებ. აფხაზეთის ასსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ ვ. ლვინჯილიამ აღნიშნა, რომ სასამართლოები არც თუ იშვიათად განიხილავ-

დნენ და გადაწყვეტილებები გამოქონდით იმ პირობაში, რომლებზედაც სასჯელის შესაბამისობაში მოყვანა ახალი ბრძანებით არ ვრცელდება. მაგალითად ოჩამჩირის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა ფ. სოკოლოვას საქმე, რომელიც მსჯავრდებული იყო 1952 წლის 18 ივლისს სოციალისტური საკუთრების დიდი ოდენობით დატაცებისათვის. არის სხვა ანალოგიური ფაქტებიც. აფხაზეთის ასსრ სასამართლო ორგანოების მუშაობაში, აღნიშნა მომხსენებელმა, ნაკლოვანებები გაცილებით მცირე იქნება, საქმეების განხილვაში პროკურორები რომ უფრო აქტიურად მონაწილეობდნენ, ახორციელებდნენ სათანადო ზედამხედველობას. სოხუმის რაიონში აღნიშნული კატეგორიის 29 განხილული საქმიდან მხოლოდ 6 საქმე იქნა განხილული პროკურორის მონაწილეობით.

აჭარის ასსრ სახალხო სასამართლოები ცალკეულ შემთხვევებში შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განიხილავენ ისეთ საქმეებს, რომლებიც მათ არ ექვემდებარებიან. მაგალითად ქობულეთის რაიონის სახალხო სასამართლომ განიხილა შრომა-გასწორების კოლონიიდან შემოსული მასალები ს. ვერულუძის მიმართ, რომელსაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 4 ივნისის ბრძანებულების „მოქალაქეთა პირადი საკუთრების დაცვის გაძლიერების შესახებ“ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით მისჯილი ჰქონდა შრომა-გასწორების კოლონიაში მითავსება 10 წლით. ზოგიერთი მოსამართლე არ ეცნობა მთლიან მასალას, შედეგად სასჯელის ზომები არა სწორად მოყავს შესაბამისობაში. სასამართლო ორგანოების მუშაობაში ადგილი აქვს სხვა სახის დარღვევებსაც. ეს ნაკლოვანებები გამოწვეულია იმიტომ, რომ სახალხო სასამართლოებს ნაკლებ კონტროლს უწევს ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო.

პლენუმზე საყურადღებო საკითხი დააყენა მომხსენებელმა ქ. რუსთავის სახალხო სასამართლოს თავმჯდომარემ გ. გაბუნიამ. მან ილაპარაკა იმის შესახებ, რომ საკითხების გადაწყვეტისას პრაქტიკაში მრავალ წინააღმდეგობას



უხვდებით, არ არსებობს ერთიანი სასამართლო პრაქტიკა, მასალები სათანადოდ არ ფორმდება, ცალკეული დოკუმენტები ყველა რეკვიზიტის დაცვით არ იყვება.

რუსთავის სახალხო სასამართლო მიმდინარე წელს მეტად გადაიტვირთა როგორც სისხლის, ისე სამოქალაქო საქმეებით, სასჯელის ვადების შემცირების გამო საგრძნობლად გაიზარდა სასჯელის მოხდისაგან ვადაზე ადრე პირობით განთავისუფლების შესახებ წარდგენილ პირთა რიცხვი.

მოხსენებათა გამო გაიზარდა კამათი.

საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა აღნიშნა, რომ ამ კატეგორიის საქმეების გადაწყვეტისას სასამართლო ორგანოების მუშაობაში არის დარღვევები, ამიტომ რესპუბლიკის პროკურატურის მიერ 60 საქმეზე შეტანილი პროტესტი და თითქმის ყველა ვაზიარებულია. მან ხაზგასმით აღნიშნა,

რომ პროკურორების მონაწილეობა ამ საქმეებზე აუცილებელია.

ე. ფარქოსაძემ, გ. ნადარეიშვილმა, დ. ბალათურამ აღნიშნეს: სასჯელის შესაბამისობაში მოყვანისას სახალხო სასამართლოების შეცდომები იმით არის გამოწვეული, რომ სახალხო მოსამართლეები არასათანადოდ სწავლობენ კანონებს, რომ ახალი კანონის ცხოვრებაში გატარებას თან ახლავს მრავალი სიძნელეები.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ე. ტაყიძე ვრცლად შეჩერდა ძარცვის საქმეებზე სასჯელების შესაბამისობაში მოყვანის დაშვებულ ნაკლოვანებებზე.

განხილულ საკითხებზე პლენუმმა მიიღო დადგენილება¹.

პლენუმმა განიხილა აგრეთვე სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის პროტესტები სისხლისა და სამოქალაქო სამართლის ცალკეულ საქმეებზე.

* * *

მ. წ. 25 დეკემბერს შედგა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს მე-4 პლენუმი.

პლენუმმა განიხილა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, საქართველოს სსრ რესპუბლიკის პროკურორის და სსრ კავშირის გენერალური პროკურორის მოადგილის პროტესტები სისხლის სამართლის

და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო შესაბამისი დადგენილებები.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ პროკურორმა ანხ. პ. ბერძენიშვილმა.

პროკურატურის გაუმჯობესებლად სახალხო მოსამართლეების კარგი საუბაობა

სავამომხიებლო საქმიანობაში მეცნიერული მეთოდების გამოყენება ერთ-ერთი საუკეთესო პირობაა დანაშაულის დროული გახსნისა და საერთოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურად წარმართვისათვის. გამომხიებელი რაც უფრო სრულყოფილად იყენებს სა-

მეცნიერო-ტექნიკურ საშუალებებს, მით უფრო ადვილად ხსნის და ადგენს დანაშაულის ადგილზე აღმოჩენილ სხვადასხვა ნივთმტკიცებებსა და კვალის ნიშნებს.

გამომხიებელთა ასეთ დახელოვნებას ემსახურება საქართველოს სსრ რესპუბლიკის პრო-

¹ პლენუმის აღნიშნული დადგენილება გამოქვეყნდება ჩვენი ჟურნალის მორიგ ნომერში.



კურატურის საგამომძიებლო განყოფილებასთან ახლანან შექმნილი კრიმინალისტიკის კაბინეტი.

კრიმინალისტიკის კაბინეტში ყოველდღე ტარდება სემინარები. სხვადასხვა რაიონებიდან ჩამოსული გამომძიებლები იღებენ კონსულტაციებს პროცესუალური და ტექნიკური გამოკვლევის საქმეებზე, გადიან თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას. სემინარების ჩასატარებლად მოწვეული არიან კრიმინალისტიკის-პეტრები დ. როსტიაშვილი, აბ. მიქელაძე, თ. მგელაძე, გ. ვაჩიშვილი, კ. ბანცაძე და სხვ. კაბინეტის ნაყოფიერ მუშაობას ხელს უწყობს მდიდრული მონაცემები. აქ ყოველი დეტალი — ხელნაწერების ნიშნები, სხვადასხვა სახის იარაღების ნიმუშები, ავტო-ავარიის და მკვლელობის გამომსახველი მკაცრები, ხელის თითებისა და ფეხის კვალის დადგენის სახეები, დაფილმების ეკრანი, მიკროსკოპები, ფოტო-ლაბორატორია, მდიდარი ბიბლიოთეკა, სხვადასხვა სტენდები და სხვ. ემსახურება სემინარის მსმენელთა მიერ მასალის სრულყოფილად ათვისებას.

კრიმინალისტიკის კაბინეტის მუშაობა მართო სასწავლო-მეთოდური მუშაობით არ ამოწურება. აქ ხდება გამომძიებელთა მუშაობის გამოცდილებათა ურთიერთ გაზიარება. კაბინეტი ეხმარება მათ ცალკეულ საგამომძიებლო საქმის წარმოებაში, უშუალოდ მონაწილეობს სამეცნიერო-ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით სხვადასხვა ნივთმტკიცებათა დათვალიერებასა და ამოცნობაში და საერთოდ დანაშაულის გახსნაში.

მაგალითად, გასულ წელს რუსთავში ერთერთ

ოჯახში მოხდა მკვლელობა. ხანგრძლივი ვაჭაობის შემდეგ (გამომძიებელი დ. წერეთელი) დაადგინეს, რომ ოჯახის წევრმა დისახლისმა ლევჩენკომ თავი მოიკლა. იგი ოფიციალურად დაადასტურეს ზემდგომმა ორგანოებმაც და საქმე წარმოებით მოისპო. ამ საქმეზე კრიმინალისტიკის კაბინეტში გამოცხადდა რუსთავის პროკურატურის გამომძიებელი შ. დუშუაშვილი, რომელმაც დახმარება და საქმის ხელახალი აღმზარა მოითხოვა. რუსუბლიკის პროკურატურის მითითებით საქმეში ჩაება პროკურორ-კრიმინალისტი თ. ქლენტი, დაიწყო ხელახალი ძიება. გამოყენებული იქნა ტექნიკური კვლევის ყველა შესაძლებლობა. ბოლოს და ბოლოს დადგინილი იქნა, რომ ადგილი ჰქონდა არა თვითმკვლელობას, არამედ მკვლელობას...

კრიმინალისტიკის კაბინეტს, მუშაობის უკეთესად წარმართვის მიზნით, მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული საკავშირო პროკურატურასთან არსებულ კრიმინალისტიკის ინსტიტუტთან, საიდანაც ბევრ საჭირო მითითებებს იღებს.

კაბინეტს გადაწყვეტილი აქვს უახლოეს ხანში კიდევ უფრო ფართოდ გაშალოს მუშაობა. განზრახულია ურთიერთ გამოცდილების გაზიარების მიზნით კავშირი დამყარდეს ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში არსებულ კრიმინალისტიკის კაბინეტებთან.

ღნიშნული ღონისძიებანი კიდევ უფრო საინტერესოს გახდის კრიმინალისტიკის კაბინეტის მუშაობას.

შ. შოთაძე



კრიმინალისტიკის კაბინეტში უფროსი ექსპერტი გ. ვაჩიშვილი ატარებს მორიგ მეცადინეობას.



იხილავენ აქტუალურ საკითხებს

ნაყოფიერ და საინტერესო მუშაობას ეწევა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტთა თბილისის სამეცნიერო საზოგადოება. სისტემატურად, თვეში ერთხელ საზოგადოების სხდომებზე განიხილავენ უბრალო და სამედიცინო ღირსების მუშაკთა ახლად გამოცემულ შრომებს და სხვა აქტუალურ საკითხებს.

ამ ცოტა ხნის წინათ საზოგადოების სხდომაზე მოისმინეს თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტიკური ლაბორატორიის უფროსი ექსპერტის ო. მგელაძის მოხსენება — „ქართული ტერმინოლოგიის ზოგიერთი საკითხის შესახებ ტექსტებისა და ხელმოწერების კრიმინალისტიკური ექსპერტიზის ჩატარებისას“, აგრეთვე, თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსის გ. ყორღანიას მოხსენება — რ. ჭოლოშვილის ნაშრომის შესახებ — „კოლმეურნეობებში მარცვლეულისა და მემინდვრეობის სხვა პროდუქტების დატაცების გამოძიება“.

თავის მოხსენებაში ო. მგელაძემ აღნიშნა, რომ ექსპერტიზებს შორის ერთერთი გავრცელებული სახეა ქართულ ენაზე შესრულებული ტექსტებისა და ხელმოწერების გამოკვლევა. გამოკვლევის ამ სახეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფო და საზოგადო ქონების გაფლანგვა-მტაცებლობის საქმეთა განხილვა-გამოძიებისას. კრიმინალისტიკური ლაბორატორიის ჩამოყალიბების პირველ ხანებში, იმასთან დაკავშირებით, რომ ჯერ კიდევ დამუშავებული არ იყო გრაფიკული ექსპერტიზის ქართული ტერმინოლოგია, ექსპერტიზის აქტები დგებოდა რუსულ ენაზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ აუცილებელია გრაფიკული ექსპერტიზის ქართული ტერმინოლოგიის დამუშავება.

ო. მგელაძემ განიხილა რამდენიმე ტერმინი და წამოაყენა თავისი მოსაზრებანი.

მოხსენების ირგვლივ გაიმართა კამათი, რომლის მონაწილეებმა დადებითად შეაფასეს ო. მგელაძის მოხსენება. ამასთან გამოთქვეს თავიანთი შენიშვნები. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ა. ფალიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ საკითხის განხილვა დროულია. მან საეჭვოდ მიიჩნია ზოგიერთი ტერმინი, რომლის შემოღებაც მომხსენებელმა საჭიროდ ჩათვალა.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დოცენტმა ვ. შანიძემ, შეეხო რა მომხსენებელის მიერ წამოყენებულ ახალ ტერმი-


ნებს, აღნიშნა, რომ მუშაობა ამ მიმართულებით უნდა გვაძლიეროთ, შემდგომ გავაძლიეროთ გრაფიკული ექსპერტიზის ქართული ტერმინოლოგია.

კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მთავარი სასამართლო-სამედიცინო ბიუროს უფროსმა რ. გვეტაძემ, ექიმ-ექსპერტმა გ. კალანდაძემ და სხვ.

მეორე საკითხზე მომხსენებელმა ქ. თბილისის პროკურატურის საგამომძიებლო განყოფილების უფროსმა გ. ყორღანიამ განიხილა რ. ჭოლოშვილის შრომა „კოლმეურნეობებში მარცვლეულისა და მემინდვრეობის სხვა პროდუქტების დატაცების გამოძიება“. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა იურიდიული ლიტერატურაში ძალიან ცოტაა გამოცემული ნაშრომები, რომლებიც საბჭოთა კრიმინალისტიკის მტკიცებულ საკითხებს ეხებიან, განსაკუთრებით კრიმინალისტიკის ისეთ დარგს, როგორცაა ცალკეულ დანაშაულთა გამოძიების მეთოდიკა. რ. ჭოლოშვილის ნაშრომი „კოლმეურნეობებში მარცვლეულის და მემინდვრეობის პროდუქტების დატაცების გამოძიება“ პირველი ნაშრომია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ საბჭოთა კრიმინალისტიკურ ლიტერატურაში. მასში მოცემულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დატაცების საქმეთა გამოძიების დროს მთელი რიგი საგამომძიებლო მოქმედებათა ჩატარების თეორიული დასაბუთება. ნაშრომში განზოგადებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დატაცებათა გამოძიების პრაქტიკა. სწორად არის გაშუქებული კოლმეურნეობებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დატაცების გამოძიების თავისებურებანი, სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მოწმეთა დაკითხვის მომზადება, აგროტექნიკური ექსპერტიზის ჩატარება და სხვა.

ნაშრომში მოცემულია დამაჯერებელი მაგალითები გამოძიების პრაქტიკიდან. ავტორი იძლევა პრაქტიკულ მითითებას და გამოაქვს სწორი თეორიული დასკვნები.

მომხსენებელმა დასასრულს გამოთქვა ზოგიერთი შენიშვნა. კერძოდ მან თქვა, რომ ნაშ-



რომი მოიგებდა, მასში მოცემული რომ ყო-
ვლიყო კატეგორიის დანაშაულის ზოგადი
პრევენცია. გამოძიების ძირითადი მიზანია, არა
მარტო გახსნას დანაშაული და გამოავლინოს
დამნაშავე, არამედ, რაც მთავარია, შეძლოს
ღონისძიების მიღება, რომლითაც მომავალში
აცილებული იქნება დანაშაულის ჩადენა. სა-
ჭირო იყო ნაშრომში განხილულიყო კვალიფი-
კაციის საკითხები.

ნაშრომის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს

ვ. შანიძემ, ბ. აბაშიძემ, ადვოკატმა თ. ლასნი-
შვილმა, უფროსმა ექსპერტმა ო. შველაძემ,
რომლებმაც ნაშრომი ძირითადად დადებითად
დაახასიათეს, ამასთანავე გამოთქვეს საკუთარი
შენიშვნები.

შრომის ავტორმა რ. კოლოშვილმა მადლობა
გადაუხადა გამოსულ ამხანაგებს და აღუთქვა
მათ, რომ გამოთქმულ შენიშვნებს მხედველო-
ბაში მიიღებს შემდგომ მუშაობაში.

უ. ესიტაშვილი

ქართველ კრიმინალისტთა მონაწილეობით

ქ. ტაშვენტში, უზბეკეთის სსრ მინისტრთა
საბჭოსთან არსებულ იურიდიული კომისიის
ტაშვენტის სასამართლო-ექსპერტიზის სამეც-
ნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოაწყო სამეც-
ნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა სასა-
მართლო ექსპერტიზის აქტუალურ საკითხებს.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მი-
იღეს სასამართლო-პროკურატურის ორგანოე-
ბის, კრიმინალისტური ექსპერტიზის დაწესე-
ბულებების ექსპერტებმა, მეცნიერ-მუშაკებმა.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა უზ-
ბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ, უზბე-
კეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემი-
კოსმა ხ. ს. სულეიმანოვმა.

კონფერენციის პლენარულ სხდომებსა და
სექციებში მოსმენილი იქნა ბევრი საინტერე-
სო მოხსენება. ყურადღება მიიქცევს ქართველი
იურისტების ა. ფალააშვილის და გ. ციმაკური-
ძის, (თბილისი) და ი. არაბულის (ქ. ტაშვენტი)
მოხსენებებმა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უფ-
როსი მასწავლებელი, იურიდიულ მეცნიერებათა

კანდიდატი ა. ი. ფალააშვილი შეეხო სასამართ-
ლო ექსპერტიზის სახეებს, კერძოდ პირველად,
დამატებით და განმეორებით ექსპერტიზებს.
აღნიშნა, რომ აუცილებელია პირველადი ექს-
პერტიზიდან განვასხვაოთ დამატებითი და გან-
მეორებალი. როგორც მან აღნიშნა, სასამართ-
ლო-სამედიცინო ლიტერატურაში ე. წ. ორმო-
მენტიანი (თანმიმდევრული) ექსპერტიზა გა-
მოყოფილია სასამართლო ექსპერტიზის ცალკე
სახედ. ფაქტიურად იგი დამატებით ექსპერტი-
ზის სახეა, რამდენადაც მას თავისი დამახასია-
თებელი სპეციალური ნიშნები არ აქვს.

თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინა-
ლისტიკური ლაბორატორიის გამგემ, იური-
დიულ მეცნიერებათა კანდიდატმა გ. ციმაკური-
ძემ თავისი მოხსენება მიუძღვნა სახელწაწე-
რო ექსპერტიზის საკითხს.

ქართველმა კრიმინალისტებმა თავიანთი მონა-
წილეობით ხელი შეუწყვეს კონფერენციის წარ-
მატებით საქმიანობას.

საპროკურორო გელახედელოზის



პ რ ა ქ ტ ი კ ა

საერთო ზელახედელოზის საქმიანება

რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილება ვერ დაბეგრავს მოქალაქეს, როდესაც ამ მოქალაქის დაბეგრვის კანონიერებაზე არსებობს სახალხო და უმაღლესი სასამართლოს დადგენილებანი.

ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაისაბჭოს აღმასკომის საფინანსო განყოფილებამ მოქ. მ. ვ. მოიბოროდა დაბეგრა 2.010 მანეთით (ძველი ფულით), რადგან იგი სარეგისტრაციო მოწოდების გარეშე ეწეოდა ტანსაცმელის კერვას.

მოქ. მ. ვ. მოიბოროდას დაბეგრა უკანონო იყო, რადგან საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმის 1960 წლის 4 აპრილის დადგენილებით, მოქ. მ. ვ. მოიბოროდასათვის 2.010 მანეთის გადახდის დაკისრების შესახებ ქ. თბილისის პირველი მაისის სახელობის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 22 იანვრის დადგენილება გაუქმებულია.

მოქ. მოიბოროდას დაბეგრვის კანონიერების შემოწმების მიზნით მასალები გადაეგზავნა საქართველოს სსრ პროკურატურას, რომელმაც თავის მხრივ მასალები აღნიშნულ საქმეზე გადაუგზავნა საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ სათანადო შემოწმებით მოქ. მ. ვ. მოიბოროდას დაბეგრა ჩათვალა უკანონოდ.

იხელმძღვანელა რა საქართველოს სსრ კონსტიტუციის 127 მუხლით საქართველოს სსრ პროკურატურამ შეიტანა პროტესტი მოქ. მ. ვ. მოიბოროდას 2.010 მანეთით დაბეგრვის გაუქმების შესახებ, როგორც კანონსაწინააღმდეგო. აღნიშნული პროტესტის საფუძველზე პირველი მაისის რაისაბჭოს აღმასკომმა გააუქმა მოქ. მ. ვ. მოიბოროდას დაბეგრა და ჩამოაწერა მასზე რიცხული 2.010 მანეთი.

სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო გადაწყვეტილების დარღვევისათვის ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 1 მანეთს.

ლენინგორის მშრომელთა დებუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომმა 1960 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებით დააწესა ფულადი ჯარიმა 50 — 150 მანეთამდე იმ პირთა მიმართ, რომლებიც თავის დროზე არ გაატარებენ რეგისტრაციაში ახლად დაბადებულ ბავშვებს.

აღმასკომის აღნიშნული გადაწყვეტილება არა კანონიერია, რადგან საქართველოს სსრ ცაკისა და საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1931 წლის დადგენილებით დამტკიცებულ დებულების მე-14 პუნქტით, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სავალდებულო გადაწყვეტილების დარღვევისათვის ჯარიმა შეიძლება და-

წესებულ იქნეს მხოლოდ 10 მანეთამდე. (ძველი ფულით).


ამრიგად, ლენინგორის მშრომელთა დებუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1960 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილება, რომლითაც დაწესებულ იქნა ჯარიმა 50-150 მანეთამდე, კანონიერ საფუძველს მოკლებულია.

საქართველოს სს რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე ლენინგორის მშრომელთა დებუტატების სასოფლო საბჭოს აღმასკომის 1960 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებაზე შეტანილ იქნა პროტესტი შესწორებით, რაც გაზიარებულ იქნა.

ადმინისტრაციის უფლება არა აქვს დაჯარიმოს თანამშრომელი ნათესა წახდენისა და ნარგავთა დაზიანებისათვის

დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის 1959 წლის 27 აპრილის ბრძანებით, იმავე მეურნეობის სამნეო ნაწილის გამგე გ. ი.

ბიგავა დაჯარიმებულ იქნა 100 მანეთით, დასახელებულ მეურნეობის ბოსტნეულის პირუტყვისაგან დაზიანებისათვის.



დირექტორის აღნიშნული ბრძანება მოკლებულია კანონიერ ხაფუნეებს, რადგან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1955 წლის 11 იანვრის ბრძანებულებით „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესა წახდენისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ მეხუთე პუნქტით ნათესა წახდენისა და ნარგავთა დაზიანებით გამოწვეული ზარალის და ჯარიმის გადახდევინება წარმოებს მშრომელთა

დებუტატების სასოფლო ან სადაბო, საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით. საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტის საფუძველზე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჩაისა და ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველის 1960 წლის 10 ივნისის № 369 ბრძანებით გაუქმებულ იქნა დიდი ჭყონის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორის ზემოთაღნიშნული ბრძანება, როგორც კანონსაწინააღმდეგო.

სამოქალაქო საქმეებზე

სარჩელის უსაფუძვლობა არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული, თუ მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის მიხედვით მარცხი გამოწვეულია, როგორც მოპასუხის, ასევე დაზარალებულის გაუფრთხილებლობით.

პ. რაზმაძემ სარჩელი აღძრა ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოში საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოს მიმართ და აღნიშნა, რომ 1953 წლის 7 ივლისს მოპასუხე ორგანიზაციის მიერ მიან მან მიიღო სხეულის დაზიანება, რის გამოც მოითხოვდა ხელფასისა და პენსიის სხვაობას. ლენინის რაიონის სახალხო სასამართლომ 1958 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სარჩელში უარი უთხრა, როგორც უსაფუძვლობის, ასევე ხანდაზმულობის ვადის გაშვების გამო. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიამ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დატოვა ძალაში.

სარჩელის უსაფუძვლობა არ შეიძლება სწორად იქნეს მიჩნეული, რადგან მომხდარი უბედური შემთხვევის აქტის მიხედვით მარცხი გამოწვეულია, როგორც მოპასუხის, ასევე დაზარალებულის გაუფრთხილებლობით და ამდენად სარჩელზე მთლიანად უარის თქმა არ იქნებოდა სწორი. აგრეთვე, მართალია მოსარჩელეს სარჩელის აღძვრის ხანდაზმულობის ვადა გაშვებული აქვს, მაგრამ თუ სასამართლო მხედველობაში მიიღებდა სარჩელის საერთო მდგომარეობას, შეეძლო ხანდაზმულობის ვადის აღდგენა და სარჩელის დაკმაყოფილება სარჩელის აღძვრის დღიდან.

სახალხო სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილების და უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილების გაუქმება და საქმის ხელმეორედ განხილვა პროტესტით მოითხოვა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა გააუქმა ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს 1958 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1958 წლის 15 მაისის დადგენილება საქმეზე სარჩელისა გამო პ. ს. რაზმაძის, მოპასუხე — საქართველოს გეოლოგიურ სამმართველოსთან, დასახიჩრებით მიყენებული ზარალის ანაზღაურების შესახებ და საქმე ხელმეორედ განსახილველად გადაეგზავნა იმავე რაიონის სახალხო სასამართლოს.

საქ. სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა პროტესტის საფუძვლიანობა და სცნო, რომ პროტესტის მოთხოვნა სწორია და ის მიღებულ უნდა იქნეს, შემდეგ გარემოებათა გამო: სახალხო სასამართლომ მოსარჩელეს სარჩელში უარი უთხრა ხანდაზმულობის ვადის გაშვებისა და სარჩელის უსაფუძვლობის გამო.

სასამართლომ დეტალურად უნდა გამოიკვიროს მამიებლის შრომისუნარიან დაკარგვის მიზეზები, რის შედეგადაც გამოიტანს გადაწყვეტილებას.

ე. კ. ვორონოვამ სარჩელი აღძრა სახალხო სასამართლოში და აღნიშნავდა, რომ 1947 წლიდან იგი ფაქტობრივ ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში იმყოფებოდა მოპასუხე ა. ნ. ზავგოროდნისთან, 1954 წელს კი გატარდნენ ქორწინების

რეგისტრაციაში. ერთად ცხოვრების პერიოდში მოსარჩელე დაავადდა, შრომის უნარი დაკარგა 50 პროცენტით. ავადმყოფობის პერიოდში ა. ნ. ზავგოროდნიმ თავი მიანება ე. კ. ვორონოვას; მოსარჩელე მოითხოვდა თანახმად საქ. სსრ საპროკურორო

ქორწინო, საოჯახო და სამეურვეო კანონთა კოდექსის 22 მუხლისა მოპასუხეს დაკისრებოდა მოსარჩელის სასარგებლოდ ყოველთვიური სარჩო.

ქ. თბილისის სამგორის რაიონის სახალხო სასამართლომ 1959 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებით დააკმაყოფილა ვორონოვას სარჩელი და ა. ნ. ზავგოროდნის დაეკისრა ყოველთვიურად 200 მანეთის გადახდა შრომისუნარ მოკლებულ მეუღლის სასარგებლოდ მდგომარეობის შეცვლამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1959 წლის 24 სექტემბრის დადგენილებით სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩა ძალაში.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმში აღნიშნულ საქმის გამო პროტესტით შევიდა საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილე, რომელიც მოითხოვდა ქ. თბილისის სამგორის რაიონის სახალხო სასამართლოს 1959 წლის 31 აგვისტოს გადაწყვეტილებისა და საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს 1959 წლის 24 სექტემბრის დადგენილების გაუქმებას და საქმის ხელმოკრედ გადაგზავნას იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად პროკურორის მონაწილეობით შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალების მიხედვით სასამართლოს არ გამოუკვლევია მძიმების შრომის უნარის დაკარგვა, რაც ავადმყოფობით არის გამოწვეული, რაც დროიდან წარმოიშვა ავადმყოფობა, ქორწინებამდე, ქორწინების ყოფნის დროს, ქორწინების შემდეგ თუ ქორწინებასთან დაკავშირებით.

როგორც ზედწესით დართული გადაწყვეტილების ასლიდან ირკვევა ე. კ. ვორონოვა 1945 წლიდან რეგისტრირებულ ქორწინებაში ყოფილა ი. დ. ვოზიანთან. აღნიშნული გადაწყვეტილებით ვორონოვასა და ზავგოროდნის ქორწინება ბათილად არის ცნობილი.

გათვალისწინებულა აგრეთვე ის გარემოებაც, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხე ზავგოროდნის დაეკისრა საზრდოს გადახდა მდგომარეობის შეცვლამდე, რის უფლებაც სასამართლოს არ ქონდა, რადგან ასეთ პირობებში მოპასუხე ვალდებულია შრომის უნარმოკლებულ მეუღლეს საზრდო უხადოს 3 წლის განმავლობაში, რის შემდეგ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან.

იხელმძღვანელა რა სსკ 229 მუხლით, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა მიიღო საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტი.

სისხლის სამართლის საქმეებზე

უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის დადგენილება საქმის დამატებით გამოძიების დაბრუნების შესახებ უსწორია თუ კოლეგიას არ შეუფასებია წინასწარი, სამსჯავრო, გამოძიების მასალები და გადაწყვეტილი არ არის ბრალეულობის საკითხი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 22 დეკემბრის დადგენილებით გაუქმებულ იქნა ქ. თბილისის პირველი მისის რაიონის სახალხო სასამართლოს 1960 წლის 9 დეკემბრის განაჩენი ა. ა. ირემაძის მიმართ და დამატებით გამოძიებისათვის დაუბრუნდა საქართველოს სსრ პროკურატურას.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილემ პროტესტით მოითხოვა აღნიშნული დადგენილების გაუქმება და საქმის დაბრუნება სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის უმაღლესობაზე საკასაციო წესით განსახილველად.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა განიხილა პროტესტის საფუძველიანობა და სცნო, რომ პროტესტის მოთხოვნა

სწორია და ის მიღებულ უნდა იქნეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სახალხო სასამართლოს განაჩენით ა. ა. ირემაძეს მსჯავრი დაედო მასში, რომ მუშაობდა რა თბილისის კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის ღამის დარაჯად, მოიპარა 1.520 კგ. ლურსმანი, ღირებული 5.684 მანეთად.

კოლეგიის დადგენილებაში დაყენებული საკითხები, რომლის გამორკვევასაც ავალებს პროკურატურას, არ არის სწორი და დამატებითი საგამომძიებლო მოქმედების ჩატარება საჭირო არ არის.

კოლეგიამ უნდა შეაფასოს საქმეში არსებული წინასწარი და სამსჯავრო გამოძიების მასალები და ისე გადაწყვიტოს ბრალეულობის საკითხი.

პრეზიდიუმმა დააკმაყოფილა პროტესტის მოთხოვნა და დაადგინა გაუქმდეს საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1960

წლის 22 დეკემბრის დადგენილება მამის მიმართ და საქმე გადაეცეს იმევე კოლეგიის სხვა შემადგენლობას საკასაციო წესით განსახილველად.

ავტოავარიის შემთხვევების საქმეთა განხილვისას სასამართლო ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ მომხდარი შედეგის ხასიათი.

ქ. თბილისის 26 კომისრების რაიონის სახალხო სასამართლომ ე. ნ. ქევხიევს მიუსაჯა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა და 2 წლით მანქანის მართვის უფლების ჩამორთმევა.

მართავდა რა ავტომანქანა „ვოლგას“, ე. ნ. ქევხიევმა 1960 წლის 12 სექტემბერს უხეშად დაარღვია ქუჩაში მოძრაობის წესები და ქ. თბილისში ბარათაშვილის აღმართზე № 13 სახლთან მანქანა დააჯახა ქუჩაში გადამავალ 8 წლის ს. საკიანს, რომელმაც მიიღო სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ე. ნ. ქევხიევს სასჯელი შეუმცირა 3 წლითა და 6 თვით და საბოლოოდ მოსახდელად დაეტოვა ერთი წელი და 6 თვე თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტი ე. ნ. ქევხიევის საქმეზე მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პრეზიდიუმმა. პროტესტი მოითხოვდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილების გაუქმებას ე. ნ. ქევხიევის მიმართ, როგორც ლმობიერი და საქმის გადაცე-

მას იმავე სასამართლო ინსტანციის კოლეგიაზე მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას საკასაციო წესით განსახილველად.

როგორც პროტესტში იყო აღნიშნული, საგზაო შემთხვევისა და ტრანსპორტის დათვალიერების ოქმებით, მოწმეთა ჩვენებებით და საქმეში მოთავსებულ სხვა მასალებით დადგენილია, რომ ე. ნ. ქევხიევმა უხეშად დაარღვია მოძრაობის წესები.

სასამართლო-სამედიცინო შემოწმების აქტით დადგენილია, რომ სააკიანმა მომხდარი ავტოავარიის შედეგად მიიღო სხეულის მძიმე კატეგორიის დაზიანება და ტვინის შერყევა. სასამართლო კოლეგიამ კი არ გაითვალისწინა ავტოავარიით მომხდარი შედეგის ხასიათი და სათანადო საფუძვლის უქონლად ე. ნ. ქევხიევს არასწორად შეუმცირა სასჯელის ზომა.

საქართველოს სსრ პროკურორის მოადგილის პროტესტი მიღებულ იქნა და პრეზიდიუმის დადგენილებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო კოლეგიის 1960 წლის 3 ნოემბრის დადგენილება ე. ნ. ქევხიევის მიმართ გაუქმდა და საქმე საკასაციო წესით ხელაწა განსახილველად გადაეცა იმავე სასამართლო კოლეგიის მოსამართლეთა სხვა შემადგენლობას.

3260 50 333.

6-100



СОВЕТСКОЕ ПРАВО № 6

(на грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Юридической Комиссии при Совете Министров
Грузинской ССР